№2 (14)-2017

ᲐᲠᲐᲓᲘᲡ



ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

ალავი

ჟურნალი გამოდის
2016 წლის იანვრიდან,
გამოსცემს სამცხე-
ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

№2 (14) - 2017

რედაქტორი – **მერაბ ბერიძე**

მოადგილე – **მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე**

სარედაქციო საბჭო: **გიორგი ბუცხრიკიძე**
ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, *თბილისი*
რეზო შეროზია, *ზუგდიდი*
ზაირა კეღოშვილი, *ათენი*
ნუგეშა გაგნიძე, *ქუთაისი*

უცხოეთთან თანამშრომლობის
ბიურო: **ლალი ბერიძე**
მაია ქუქჩიშვილი

მხატვრები: **ბექა კოპაძე**
ლელა ფერაძე
ნანა ყორანაშვილი
თამარ თამარაძე

მდივანი – **ზაირა გელაძე**
მენეჯერი - **ნონა საანიშვილი**

საგამომცემლო ჯგუფი: **ლია ზედგინიძე**
ლარისა გურგენიძე

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106
© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017
ISSN 2346-836X

პოეზია

ვაჟა ოთარაშვილი



ვაჟა ოთარაშვილი - პოეტი. ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის და სხვა ლიტერატურული პრემიების ლაურეატი, დაიბადა 1955 წ. 7 ნოემბერს ქ. კასპში, პედაგოგების ოჯახში. 1972 წელს მედალზე დაამთავრა კასპის მე-3 საშ. სკოლა, 1976 წელს – წარჩინებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. შემდეგ ასპირანტურა. 1980-2006 წლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს ტექნიკურ უნივერისტეტში. 1992-1995 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 2004-2014 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. 2011 წლამდე იყო გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორი. არის ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი. მედიაკავშირ „ობიექტივის“- წამყვანი და მრავალი წიგნის ავტორი.

***

ვაზის გამსხვლელი აღარ დარჩა სოფელში კაცი,
ვაზის გამსხვლელი აღარაა ქვეყნად კაცი და...
თბილისისაკენ წამოვედი... სამთავისს გავცდი –
ზურგს უკან ვგრძნობდი, ჩემს სოფელში როგორ აცივდა...

***

ეფერებიან ფოთლები ფოთლებს –
ნოემბრის თვეში სულ სხვანაირად...
საწოლის ფეხთან დაცლილი ბოთლი,
კედელზე ბებოს ძველი დაირა...
გულში კი შენზე დარდი მარადი
და იწურება ჟამი მოთმენის...
სანამ ქარები მოიპარავენ,
ეფერებიან ფოთლებს ფოთლები...

***

ვიყავ დარდის და ცრემლის მთესველი,
ახლა ტკივილის გობელენს ვართავ...
ერთი სიკეთე მაინც შევძელი, –
შენ დაგაბრუნე საკუთარ თავთან...

***

„რატომ არ მიწერ ლექსებს?
იქნებ, არ დარდობ ჩემზე?“
ვფიქრობ, საღამოს ექვსზე,
ოდნავ იწევი ცერზე...
გდარდობ საღამოს ცხრაზე,
გული მევსება სევდით...
მელანქოლია მავსებს,
იქნებ, ტყუილა გდევდი?
და ღამის თორმეტს ვუმზერ,
არ ციფერბლატის ჩაკვრას...
დარდი მაწვება გულზე,
უკვე პირველმაც დაჰკრა...
და მენატრება დილის
ფოთლის შეკრთომის ჩქამი,
ნახშირისფერი ტილო –
ღამის მრისხანე სამი...
და მისდევს წუთი წუთებს,
ტყუილი სხეულს მინგრევს,
ეს ლექსი ღამეს გითევს,
სიმართლე მითხრა, იქნებ...

13.04.2016

განშორების გახსენება

იწვის დაისი, განშორების ჟამი ახლოა...
ააელვარებს ჩამავალ მზის სხივები ღრუბლებს,
ჩემს გულში შენი სიყვარულის სამოსახლოა
და ჭაღარისფრად იფერფლება დარდებით შუბლი...
მაინც მიდიხარ, შეჩერება ვეღარ შევძელი
და თუ ოდესმე მოგაგონდეს ის ალუბლები,
კვლავ გაიხსენე მორთმეული კოცნაც ენძელის
და ჩამავალ მზეს შეყინული თეთრი ღრუბლები...

***

ო, რა სიმშვიდე შემოიტანე,
მიუხედავად მძიმე შეცდომის...
ტკივილებს ვუძლებ, როგორც ტიტანი,
შენგან ტანჯული, ნეტა გეცნობი?
მომეჩვენება, რომ ისევ ის ხარ,
ხელჩაკიდებულს გატარებ ისევ...
ეჭვით ვუყურებ დღეს ყველა მისხალს
და ყოველ ღამე სევდის ჯამს ვივსებ...
ღმერთო, მასწავლე დარდის ატანა,
გზა – ტაძრისაკენ კვლავ ამიყვავდეს...
აღარ გაფრინდეს გოგო, პატარა
და სულ ვუყვარდე და სულ მიყვარდეს...

ადამის მონოლოგი

აღარ მიყვარხარ, არ მინდიხარ, აღარც გენდობი,
ვის მიეყიდე, რის ფასად და ვისკენ წახვედი?
გადახრუკულა ენძელებით სავსე ფერდობი
და ვეღარ იტანს ნაფაშატარს – სხვისგან გახედნილს...
გველი კი არა, რამდენ კაცთან შესცოდე, ევა?
კვლავ სიმარტოვე მირჩევნია მშვიდი, უბრალო...
ბევრი ვეცადე, მაგრამ გულმა ვერ მიუტევა,
შენ მაპატიე, ჩემო უფალო!

***

მე ვუბრუნდები საკუთარ ტკივილს,
ვერცხლისფერია, თუმც წვერ-ულვაში...
ასეთი ტანჯვით ტყვია თუ კივის,
ჩაბრუნებული თოფის ლულაში...
მაგრამ მიყვარხარ და სხვა არავინ
არ მყვარებია ასეთი გზნებით...
შენა ხარ ჩემი სულის კარავი,
რომი... და მისკენ სავალი გზებიც...

***

მე შენ ღალატი გაპატიე, თანაც როგორი,
მე შენ ღალატი გაპატიე, თანაც რამდენი...
მოვიგონებ და თვალებიდან ცრემლი მოგორავს –
შენა ხარ გულის ჭრილობიდან სისხლის დამდენი...
ვიცი, არ გიყვარს გახსენება შენი წარსულის
და ურცხვად იტყვი: „ეგ ღალატიც შენი ბრალია“...
რუდაქის ლექსი გამახსენდა, ერთი, სპარსული:
„აძველებს ჟამი ყოველივეს, რაც ახალია“...

***

ეჰ, დედა, შენი ჭკვიანი ბიჭი
სულ გადარია ყოფამ ცბიერმა...
არავის უნდა ხალასი ნიჭი,
ანდა ვაჟკაცი – სულით ძლიერი...
ცვედანების და ქოსების დროა,
ანადგურებენ ცხადლივ რაინდებს...
ხედავ, მოჭრილი მარჯვენა მოაქვს
იმ მტარვალს, შენ რომ ერთხელ დაინდე...

პასუხი ევას

სულ მენატრები და ღამეებს სუნთქვა ეკვრება,
შენც უჩემობას, ქალბატონო, ჩუმად განიცდი...
ეგ სხეული ხომ გამოძერწეს ჩემმა ნეკნებმა –
მე ვარ ადამი, შენ კი ევა, განა არ იცი?!
ნუ მიბრაზდები, ჩემო ერთავ, ჩემო ბუტია,
ისევ გიპოვნე ცხრა მთას იქით გადაკარგული...
შენი სიზმრები ჩემს სიზმრებში ჩამიხუტია
და დილით ლექსად გიგალობე ტკბილი ქართულით...

დიდი მოურავის დაბრუნება

დავით თარხან-მოურავს

სულ ჩემია ეს პატარა მიწა-წყალი,
მაგრამ ამ გულს ჩახუტებად არ ჰყოფნის...
ივერიის სიცოტავე ნუ გაწვალებთ,
მოვიგონოთ დიდგორი და მარტყოფი...
გამოკვეთა გმირის სახე – აზრი ქვაში,
შემოსეულ მტრის სისხლი რომ ბანს ომში...
ისევ ვხედავ მაუზერით მაზნიაშვილს,
ქართულ ჯარით თურქით სავსე ბათუმში...
ვერ ჩააქრეს აჭარული ნაღვერდალი,
ყველა ქართველს გენაცვალეთ სარფიდან!
ამ მიწაში დევს მატათას ორივ თვალი,
თუმცა, სული ზეცისაკენ გაფრინდა...
ჭოროხს იქით სიო ისევ ქართულია,
პონტოს ზღვაზე კვლავ ტალღების დოღია...
ვაზის ჯვარი ცაში კვლავ აღმართულია,
წმინდა ნინო უმზერს კაბადოკიას...
ვერ წაგვაქცევს მოძალადე ქარიშხალი!
ყური ვუგდოთ ნენეს, ტკბილად მოუბარს!..
საქართველოს კვლავ უელავს ქარში ხმალი –
გაუმარჯოს ხმალშემართულ მოურავს!

პოეზია

გიგა ვეფხვაძე

დავიბადე ქალაქ რუსთავში 1969 წელს. დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამსახური ბევრი მაქვს გამოცვლილი კინოსტუდიიდან დაწყებული სახელმწიფო სამსახურებამდე. მიღებული მაქვს პატრიარქის სიგელი, როგორც ანტინარკოტიკული ფილმების სცენარების ავტორებს შორის გამარჯვებულს. ჩემი ნოველები იბეჭდება ჟურნალებში.

***

ნუ გეგონება, ისეთი ვარ
რასაც ლექსად ვწერ,
სულაც არ მიყვარს ყვავილებით
წვიმაში დგომა.
და აფეთქებულს გაზაფხულზე
ალუჩის რტოებს
აჭრელებული მირჩევნია
მე შემოდგომა.
რამდენჯერ მითქვამს, აგაწყვეტო
გულის პირს ღილებს,
ვერ გაუძლებსო ჩემს სურვილებს
ეგ ჩითის კაბა,
თუმცა ყოველთვის მიზიდავდა
ალერსი ნაზი
და თბილი კოცნა ყოველგვარი
მიზეზის გარდა.
არ მიფიქრია არასოდეს
ტუჩებზე კბენა
და არც შენს კერტებს ეშინოდეთ
ჩემი დღეს უნდა,

მე ჩახუტება, შეციებულ
პატარას როგორც
და მოფერება ობოლივით
ყოველთვის მსურდა.

ნუ გეგონება, რომ დიდი ვარ,
ძალიან თანაც,
გულის ტკივილი არ თხოულობს
რაიმე საბაბს,
თუმც მხიარული, გიჟმაჟივით
სიყვარულს ვხატავ,
ჩემს სულში მაინც მარტოობა
ბორკილებს აბამს.

ნუ გეგონება, ისეთი ვარ,
როგორც ლექსად ვწერ,
სულაც არ მიყვარს ყვავილებით
წვიმაში დგომა
და აფეთქებულს გაზაფხულზე
ალუჩის რტოებს
აჭრელებული მირჩევნია
მე შემოდგომა....

***

რვის მერე გავიდა რვა წელი.
ჟანგიც კი გაუჩნდა იარაღს.

ვინ იცის, ახლა რა გაკურნავს,
იმ ომის უძირო იარას.

ცრემლით რწყავს დაკარგულ საფლავებს,
ზეციდან მოსული ნათლია.
კვლავ ისმის დედების კივილი,
მათ მკერდზე კვლავ ცეცხლი ანთია.
ერთ წუთში გაუქმდა სულ ყველა,
მომავლის ნაყიდი ბილეთი.
ვინ იცის, რამდენი გაფრინდა
პატარა ბიჭების იმედი.
ზურგი კი ვერ ნახა მომხდურმა
ნამდვილი ქართველი მეომრის,

მათ ფასი იცოდნენ სამშობლოს
და თუნდაც დაჭრილი მეგობრის.
ბავშვები დარბიან უმამოდ,
ყვინჩილა ბიჭების შვილები.
და როგორც მამები, ისინიც
ხვალ დაიზრდებიან გმირები!

***

ხახადამშრალი დევებივით
პირდაღებული,
შემომცქერიან წინაპრების
ჭურისთავები.
როგორც შრომისგან გადაღლილი
მოხუცებული,
გულაბის ხეზე მიწოლილან
ძველი ბარები.
შაფრანის ტოტზე გაუდია
ცხვირი დაღლილ ცელს,
გამოლეულა ჭურის ფხანით
მამის სარცხელი.
სარებს შორის აქვს გაკიდული
თავი ორშიმოს,
მთვრალი კაცივით გაფარჩხულა
იქვე ორხელი.
ღობის თავებზე შეუწყვიათ
ბადიმები და
დევის თვალებად ანათებენ
შავი სარქვლები.
გაზეპილია აყალოთი
ყველა კუნჭული,
ძველი ჩაფი კი, გაბზარული
თაფლის სანთელით.
ბიის ტოტებზე შეუკიდავთ
სქელი გოდრები,
ყურძნით კი არა, გაუვსიათ
ახლა ფუჩეჩით.
ჩამოუკრეფავთ ხეებიდან

უკვე კაჭიჭი
და საწნახელიც მიუდგიათ
უკვე კუთხეში.
მზითვად მოტანილს, უჭრიალებს
კარი ნალიას.
უტყვი მცველივით რომ დაყურებს
ავსებულ ჭურებს.
ატალახებულ კარის ნაპირს
ვაშრობ ნაქურჩლით
და თვალით ვარჩევ შემონახულ
ათასგვარ სმურებს.
ნალიაშივე გაჯგიმულა
ქვაბი დიდრონი
ჭაჭის სახდელი, შესკუპული
რკინის სამფეხზე.
თოკი, ნამგალი, ნივრის გალა,
ლამპა, ნალები
შეუკიდია ბაბუაჩემს
მაღლა ლამფებზე.
გარეთ ხარდანზე კისერს იფხანს
დიდრონი ხარი
და ტალავერზე კონწიალობს
კვახი-ყვითელი,
გუთანზე რკინით შეუცვლიათ
ურთხმელის კავი,
ასეთ ადგილას დაიბადნენ
ალბათ მითები.
ბაბუაჩემი სანამ იყო
ცოცხალი, მახსოვს,
ღობეს იქიდან თუ გვაწვდიდა
ბებო ხელადას.
თვითონ არასდროს შემოსულა
ამ ჭურის თავზე,
გობით მოჰქონდა ყველაფერი,
რაც კი ებადა.
გიორგობაზე იხსნებოდა
ადრეც ჭურები,

მანამდე ღვინო ბავშვიაო -
ბაბუ ამბობდა.
წყნარი ღიღინით ქეიფობდა
ჭურის თავი და
იქვე ხურმაზე შემომჯდარი
 შაშვი გალობდა...

***

ღმერთო, მე შენთან საუბარი
გადამავიწყდა.
მგონი, სანთლებსაც დაეკარგათ
ძველი სინათლე,
თუმცა კი ხშირად გაგიხსენე
მარტოობისას
და როგორც ბავშვმა სიბნელეში
დედა, გინატრე...
ვეღარ გავიგე, სად ვიარე
გზააბნეულმა.
ვეღარ ვიცანი ტყუილი და
ვეღარც სიმართლე.
ქარწაღებული ფოთოლივით
დამაფარფატებს,
მე უშენობით ეს ცხოვრება,
თუმც კი გიწამე.
გთხოვ, არ დამტოვო გაქცეული
შვილი უძღები
და სიკეთისკენ საფიქრალი
ჩემი მიმართე,
მე უშენობით გადაღლილი,
მაინც უშენოდ,
კვლავ მარტოობის გაუსაძლის
უღელს მივათრევ.
ღმერთო, მე შენთან საუბარი
გადამავიწყდა.
მგონი, სანთლებსაც დაეკარგათ
ძველი სინათლე,

თუმცა კი ხშირად გაგიხსენე
მარტოობისას
და როგორც ბავშვმა, სიბნელეში
დედა,
გინატრე...

***

ერთხელ მეც მინდა, რომ მოვიწყინო
სახალხოდ, გულში ისედაც ვტირი,
მე სულ უბრალო ვარ, მარტოსული,
როდესაც მავანს ვგონივარ გმირი.
ქვიშის ქარიშხლებს დავდევ ქამანდით,
გულში სიცივეს ვებრძვი ლოცვებით.
თქვენ რომ იცოდეთ, რა პატარა ვარ,
გაგიკვირდებათ და გაოცდებით.
ზეცაში დავფრენ მერცხლებზე მაღლა,
არ მამძიმებენ მძიმე ცოდვები,
მე ტკივილებით შეწუხებული,
ვიცი, ღიმილით მაინც მოვკვდები.
ცუდია, დიდი დამბადა დედამ.
ამბობენ, ლომებს უჭირთო უფრო.
სახარებაში წერია - იგებს
მხარე, რომელიც მეორეს უთმობს.
არაფერს ნიშნავს, მე რომ ლექსებს ვწერ,
არასდროს ვფიქრობ, რომ ვარ პოეტი.
მე შემიძლა რითმაში ჩავსვა,
ცხოვრების უტყვი მიეთ-მოეთი.
ხშირად მშიერი სხვას ვუყოფ ლუკმას,
სხვის გამოწვდილზეც არ ვამბობ უარს.
მჯერა, ღმერთამდე ყველა გზა მივა
გაუთელავი ბოროტით თუა.
დავდივარ ქვეყნად, ვეძებ სიკეთეს
და მერე სხვაგან ჩუმ-ჩუმად ვთესავ.
თუმც ხშირად გაზრდილ ეკალ-ბარდებზე
დახეულ სამოსს ნუგეშით ვკემსავ.
მჯერა, რომ სადღაც ზეიმობს მართლა
სიყვარული და სიკეთე წმინდა,

მაგრამ იმდენად მძიმეა ტვირთად,
მე ცოდვილს ხშირად გადაყრაც მინდა...
ერთხელ მეც მინდა, რომ მოვიწყინო,
სახალხოდ, გულში ისედაც ვტირი,
მე სულ უბრალო ვარ მარტოსული,
როდესაც მავანს ვგონივარ გმირი...

***

ბარდნის და ბუხარში ტკაცუნობს წიფელი.
ხურჯინი სავსეა თხილით და კაკალით.
ტოლჩაში პუტუნებს ადესა წითელი.
საბუდარს აყრუებს დედლების კაკანი.

დაბერდა, თავისთვის ჭრიალებს ნალია.
ფუჩეჩში დარბიან მცივანა თაგვები.
სახლში კი წინაპრის ჩრდილები დადიან
და ძველი ზღაპრებით დამთბარი ამბები.

ღამდება, კეცებზე დაუსვამთ მჭადები.
ლობიო თუხთუხებს, მარხვაა შობამდე.
ხურმაზე შემსხდარან მსუქანი შაშვები.
კვალია გასული მეზობლის ოდამდე.

- ჯამბულო!
- რა იყო?
- გადმოდი, სადა ხარ?
- პრასი გაქვს?
- მეიტა.
- არაყი?
- ადესა!
ბუნებამ ამ კუთხეს
არა რა დააკლო,
მერე კი ქართულმა
გენებმა გალექსა...

პროზა

გიორგი სოსიაშვილი

სალამანდერ...

არ ჩერდება ტელეფონი, დახტის მაგიდაზე, რეკავს და დავლურს უვლის თავისთვის.

„როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ყუთლუარსლანმა კარავი ისანში დადგა“...

ზარი ჩავუწიე ტელეფონს, ახლა ზმუილი დაიწყო, ზმუილით ხტოდა მაგიდაზე.

– ოხ, გოჩა!

სტუდენტები მომჩერებიან.

– სულ ერთი წუთით რა, პატარა ლიახვის ხეობის დიდი მკვლევარი მირეკავს და ახლავე... ლექციაზე ვარ... ლექციაზე... – ვეჩურჩულები, სადღაც ალბათ მინდორშია, ან ჭალაში, გოჩას ხმაზე მეტად, ქარის ღმუილი მესმის.

– ლექციაზე ვარ... ცოტა ხანში...

– არ გამითიშო, მოიცა, ლექციას მერეც ჩაატარებ, რო იცოდე, რა ვიპოვე, რო იცოდე, რა აღმოვაჩინე.

თითქო არც ესმის ჩემი.

ეს ვინა ყოფილა, კაცო, ვინა ყოფილა. გავუთიშე, ბავშვებს გავუღიმე და ისევ გავაგრძელე ყუთლუარსლანზე საუბარი. სადღაც ჭალაში ჩამოიქროლა ყუთლუს სულმა, გოჩას იმდენი უკვლიტინა, რო ჩემთან დაარეკინა და ლექცია ლამის ჩამიშალა. ეე, ეს წოპიანი აზრები ყველა ადამიანის თავში კრთება ხოლმე და მე რაღა ვარ.

„აჯანყებულებთან თამარმა ორი დიდგვაროვანი ქალბატონი მიგზავნა კრავაი ...“

არ მეშვება, ისევ აზმუვლდა ჩემი ტელეფონი, თან როგორ მიწერია? პატარა ლიახვის ხეობის დიდი მკვლევარი, მამაო, არქეოლოგი. ვიცი, რო ვერაფერი გაიგეთ. რა შუაშია ჩემს მეგობარ გოჩასთან ან მამაო, ან არქეოლოგი.

1. მამაო იმიტომ, რო მღვდლობა უნდოდა, მაგრამ ჯერ გადახტი და ოპა მერე დაიძახეო, თითქო ეგრე გამოუვიდა, წვერი წინასწარ კი მოუშვა და მღვდლის სახელი „გაიგდო“, მაგრამ ვერ გახდა მღვდელი, ეპარქიაში მაშინ რომელი მეუფე იყო... ოთხმოცდაათიანებში. მეუფე ვახტანგი? მგონი... არ მისცეს მღვდლობა. ვოლოგდაში კი სწავლობდა, მაგრამ გაჭირვების გამო, ვერ დაამთავრა ბოლომდე, დიპლომი ვერ აიღო და მარტო ვოლოგდაში გატარებული დღეები დარჩა მისი ცხოვრების წიგნში და ვოლოგდაში ნასწავლი სიმღერა „ახ ადესა...“ იმდენად უყვარდა ეს სიმღერა ჩვენს გოჩიკოს, რო „ადესაც“ კი დაარქვეს, ვიდრე „მამაო“ გახდებოდა. ერთი სიტყვით, მღვდელი ვერ გახდა, მაგრამ მეტსახელი „მამაო“ და წვერი შერჩა, თუმცა, მთელი ცხოვრება არ მოშორებია არბოს წმინდა გიორგის ტაძარს. სულ იქ არის, სტიქაროსნის შინდისფერი ანაფორა აცვია და იქაურ სიწმინდეებს დაჰფოფინებს.

2. არქეოლოგი.

ამაზე ჩემს ერთ-ერთ წიგნში დავწერე კიდეც, მაგრამ ორიოდე სიტყვით აქაც გავიხსენებ. პატარა ლიახვის ხეობაში ასე ბორიალ-ბორიალში ჭალის პირზე რკინის სკულპტურა აღმოაჩინა, მამაკაცის სკულპტურა, რომელიც მცირე ხნით ვთხოვე, უნივერსიტეტში ჩემს სტუდენტებს ვაჩვენებ-მეთქი. წამოვიღე და მთელი ევროპა მოვატარე, ხელჩანთაში შემთხვევით დამრჩა და ყოველ აეროპორტში მიხდებოდა ახსნა, რო პარიზში არქეოლოგთა კონფერენციაზე მივდიოდი, რო სკულპტურის აღმომჩენი იყო ცნობილი მეცნიერი, არქეოლოგი, პროფესორი გოჩა მაისურაძე. გავაპროფესორ-გავაარქეოლოგე მოკლედ, ... ამიტომაც ეწერება მის ყოველ დარეკილზე „მამაო არქეოლოგი“.

– ხო გითხარი ლექციაზე ვარ-მეთქი, ხანძარი ხო არ გიკიდია. ლიახვის ნაპირიდან დატიშული ქარი ძვრება ტელეფონში.

– კარგად არ მესმის შენი, ცუდი ქარია... ხოდა, რო არ მესმის, დამირეკავ?

– დაგირეკავ... – ისევ გავთიშე.

არ დამამთავრებინა ამ ოჯახგაფოფინებულმა ყუთლუარსლანზე საუბარი. ვა�ა, გული მომდის.

როგორც კი კრავაი ჯაყელის და ხვაშაქ ცოქალის კარავისელებთან მისვლაზე და მოლაპარაკებებზე განვაგრძე საუბარი, ისევ დაეწერა ტელეფოზე „მამაო არქეოლოგი“ და ფხუკუნი აუტყდათ სტუდენტებს.

– დაბერდი, ეტყობა.

– რატო დავბერდი?

– რა გითხარი, ადამიანო?

– რა მითხარი?

– ლექციაზე ვარ-მეთქი.

– ვიცი, გავიგე.

– მერე?

– რა მერე?

– რო გაიგე, რა გააკეთე.

– რა უნდა გამეკეთებინა.

– დამამთავრებინე ლექცია და მე თვითონ გადმოგირეკავ.

– ხმა წყდება, ხო გითხარი მაგარი ქარია-მეთქი.

– თუ მაგარი ქარია, რას აკეთებ?

– რო იცოდე, რა ვიპოვე, რო იცოდე.

ზარი აწკრიალდა. დამთავრდა ლექცია. ყუთლუ არსლანი იმას და ჯანდაბა.

– ოხ, გოჩა!

– პატივცემულო! სემინარი უნდა მოგეცათ.

– სემინარი? კი, კი ეხლავე ჩაგაწერინებთ სათაურს.

– რა სემინარი, რას ჩამაწერინებ, – გოჩა ჩამკივის ტელეფონში.

– შენ არაფერს, კაცო, დამელოდე ცოტა ხანს, – ტელეფონი არ გამითიშავს, ეგრევე დავდე.

– ალო, ალო, არ ისმის არაფერი, კაცო! -ტელეფონს ჩაჰკივის გოჩა.

– სემინარის თემა ჩაიწერეთ.

რვეულები გადაშალეს, ერთი, ყველაზე ძალიან რო ფხუკუნებდა „მამაო არქეოლოგის“ დარეკვაზე, შემომცქერის.

– ვიცი, რაც უნდა მითხრა, კალამი არ გაქვს. აჰა, ჩემი შავტუშა (და არა შავტუხა), კალამი მივაწოდე, ორი პიესაა ამ კალმით დაწერილი, აბა! შენ რა გგონია, მესამის შესავალია დაწყებული. თუ შენც შეგყარა ეგ უშველებელი სენი მაგ კალამმა, ჯოჯოხეთად გადაგექცევა ცხოვრება, ტკბილ-მწარე ჯოჯოხეთად. ვერაფერსაც ვერ მიხვდა ჩემი სტუდენტი, ინგლისურ ფილოლოგიაზე რო სწავლობს „ძირითადში“ და ისტორია რო არჩეული აქვს „მეიჯორი მინორში“, როგორი სიტყვები შემოვიღეთ უცხო ჯიშის ცხვრებივით. არადა ქართულ ცხვარზე გიჟდებიან... რა პიესები, რა წერის ატანა, დაბნეული, აწენილ-დაწეწილი ლექტორის შთაბეჭდილება მოვახდინე მგონი.

– ოხ. გოჩა!

ერთი სიტყვით, სემინარი მეორე კვირისთვის, ლიტერატურა იცით, თავს მიქნევენ. აბა, არ იზარმაცოთ. ალაგებენ კალმებს და რვეულებს.

– მართლა გინდა პიესები დაწერო?

სტუდენტი მიღიმის.

– ღმერთმა დამიფაროს, რა პიესები პატივცემულო, რად მინდა პიესები, ინებეთ თქვენი კალამი.

ერთი ამას უყურე!

გაიკრიფნენ სათითაოდ. გასვლისას მომიბრუნდა მეტიჩარა სტუდენტ – ჩემს ძმასაც აქვს ზუსტად ასეთი კალამი – გამიღიმა და გაქრა.

ვაი, რა დღეა! დათარსული ვარ. ეს გოჩა კი მაგიდაზე მარტო დარჩენილ ტელეფონს ჩაყვირის, რომელიც არ გამითიშია.

– რა დაგემართა კაცო, არ გესმის? – დავწვდი, როგორც იქნა ტელეფონს.

– შენ შეგჭამოს მგელმა, როგორც ზაურ წაქაძემ იცოდა ხოლმე, ცხონებულ შერგილ სუხიტაშვილს რო დაუცაცხანებდა. შერგილი, შერგილი... წავიდა შერგილი...

– მე უკვე შემჭამა მგელმა, – იცინის.

– კარგად ვერ შეგჭამა, თუმცა შენ ისეთი ხარ, მგელსაც დაიჭერდი და ძაღლივით ეზოში დააბამდი.

– ნახე ხო?

– ხო ვნახე, აბა, ნახე „ქართლი ჯი“-ზე. ძლევიჯვრელმა რო დააბა მგელი, ეზოში. – ხითხითებს.

– რა გინდა, ბოლო-ბოლო მითხარი.

– აბა, რა ვიპოვე, თუ მიხვდები.

– რას იპოვიდი, ან რკინის კაცუნას, ან მონეტას, ან ისრისპირს.

– ვერ გამოიცანი და ვერც გამოიცნობ.

– ეხლა ეგ მითხარი „წითელ წიგნს“ რო ადგენენ, ხო არავინ გყავს ნაცნობი.

„სულ გადაირია ეს კაცი, რა წითელი წიგნი, რა ნაცნობი“.

თუმცა ამ უცნაური კაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია. ის კი არა, შეიძლება გინესის წიგნშიც მოხვდეს. ოცდაათი წლის ნაგავი აქვს შენახული. ბუნებას არ აბინძურებს. ტომრებში ულაგია საბჭოთა პერიოდის ქილები და ბოთლები. ეს უკვე ისტორიული ნაგავია და არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ამ საკითხით დაინტერესებული ადამიანები მიადგნენ პატარა ლიახვის ხეობის დიდ მკვლევარს.

ნაგავი... ოცდაათი წლის. ამას გოჩას მეტი არავინ გააკეთებს.

– ბოლო-ბოლო მითხარი, რა წითელი წიგნისა აგიტყდა, გამაგებინე, რა გინდა.

– მთელი ახალგაზრდობა ისეთ გაჭირვებაში გავატარე, ჯერ ეხლა როგორ ვარ და მაშინ მართლა წყალი არ წამიღებდა. ვოცნებობდი ათას რამეზე. ოცნების მეტი კი, არაფერი მიკეთებია. დავწვებოდი ბაღში გულაღმა, ავცქეროდი ვარსკვლავებით სავსე ცას და ათას რამეზე ვოცნებობდი.

– გამაგებინე, რა გინდა?

– გეტყვი, თუ დამაცდი. ერთ გოგოზე ვოცნებობდი, ჩვენს სოფელში ცხოვრობდა. ძალიან მიყვარდა, მეკეტებოდა, კაცოო... ბრაზიანი მამა ჰყავდა, რო ამოსხამდა ხოლმე. სად მქონდა იმის თავი... მანქანაზე ვოცნებობდი, რო მყოლოდა ახალთახალი თეთრი „ჟიგ-ული“, ჩამესვა ის გოგო და გადავკარგულიყა ცხრა მთას იქით. კიდე სალამანდრებზე ვოცნებობდი, თეთრ სალამანდრებზე, ვინ მომა-შავებდა სალამანდრებს, ძირგაცვეთილ ტუფლებს ვპოულობდი, სხვა ძირებზე „გადავაწყობდი“ ხოლმე. სალამანდრების ღირსს ვინ გამხდიდა. ვერც ერთი ოცნება ვერ ავიხდინე და შეიძლება, ასეთი თავისებური იმიტომაც დავრჩი. ოცნებების ახდენა აუცილებელია ადამიანებისათვის, რო უფრო კარგ რაღაცეებზე იოცნებო, უფრო კარგი რაღაცეები ინატრო. მე ვერც ერთი ნატვრა ვერ ავიხდინე. ერთი ნატვრა თუ მაინც არ აგიხდა ბავშვობაში, მთელი ცხოვრება გტანჯავს მერე ფიქრი, გაწვალებს... სალამანდრები ჩემს მეზობელ სოლომონოვიჩს ეცვა ხოლმე, სურამში ყიდულობდა, მაშინ არაფერი იშოვებოდა ხეირიანი, თბილისისა კი ეყარა, მაგრამ ცხვირთან არავის მიჰქონდა გეგმის შესრულების მიზნით დამზადებული ფეხსაცმელი, თუ ტანსაცმელი.

თეთრად ქათქათებდა სალამანდრები. მოკლედ, ბავშვობაში დავბ-რუნდი, მგონი, დღესა და ამიტომაც აგიფეთქე ტელეფონი, ისევ იქ აღმოვჩნდი. რაღაცნაირად მომაწვა მოგონებები. ეგრე ლიახვის პირზე ვიჯექი, ჭალას გავცქეროდი და ჩემსავე ტვინში დავეხეტებოდი. არაფერი არ ქრება, არაფერი არ იკარგება, განვლილი გზა, თავის ბავშვობიანად თითქოს აკეცილია და სადღაც გაქვს შენახული. სანამ ცოცხალი ხარ, შენთან ერთად არსებობს შენი ცხოვრების თითოეული დღე, საათი, წუთი და წამი. ცუდი ის არი, რომ ვეღარასოდეს განმეორდები აქა... მიწიერია, წარმავალია, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც სხვა ეშხი აქვს.

მოკლედ, ტბებისკენ ავიარე, ჩვენებურებმა თევზი გაუშვეს. მაინტერესებდა. ხო გახსოვს, ჩვენი ტბები, შაშვზე რო ვიყავით, წყლის შაშვებს რო ესროდი მიზანში.

– კი, მახსოვს.

– კარგია, რო არ დაგავიწყდა.

– რატო უნდა დამავიწყდეს.

– რა ვიცი, მაგნაირები გვავიწყდება? აიქ ვიყა, ერთი სიტყვით. ხო გითხარი, დილიდანვე ვერ ვიყა კარგად, რაღაცეები მახსენდებოდა, ბავშვობა თითქოს მითრევდა. შეიძლება თქვა, გააფრინაო, იქნებ გავაფრინე კიდეც... ფრენა, როგორიც არ უნდა იყოს, კარგია.

ერთი სიტყვით, ბევრი რო არ გიბურღო ეგ ისედაც გადაღლილი ტვინი, ნაირ-ნაირი ინფორმაციები რო გაქვს ჩაწნეხილი. ტბის ნაპირზე ვიყა და სალამანდრა ამოვიდა ტბიდან.

– რა სალამანდრა კაცო!

– ჰი, ჰი, ჰი, – ქირქილებს, – არა გჯერა არა? ტბიდან ამოვიდა. დავიჭირე და ეხლა აქ მყავს.

„სულ გადაირია“.

გრძნეულივით მიხვდა, რაც გავიფიქრე.

– არ გადავრეულვარ, მართლა დავიჭირე. იფიქრა, იფიქრა სალამანდრამ, ახალგაზრდობის ოცნება ვერ აიხდინა კაცმა, სალამანდრას ტუფლების ღირსი ვერ გახდაო, ადგა და თვითონ მოვიდა.

თავი ვეღარ შევიკავე, აქეთ მე ვფშუკუნებ, იქიდან-ის.

– ყველაფერი შენ როგორ უნდა გადაგხდეს.

– ტუფლები ვერა, მაგრამ ცოცხალი სალამანდრა ვიშოვე, სალამანდერ... – უარესად ჩაბჟირდა.

– წითელი წიგნის ხალხი გვინდა.

– შენ რა გითხარი... პატარა ლიახვის ხეობის დიდი მკვლევარი ხარ... – ისევ მეცინება, – შენს მეტი ლიახვის პირზე სალამანდრას ვინ იპოვიდა...

29 იგრიკა – აპრილი, წითელი პარასკევი
2016 წელი, დიცი



მხატვარი- ნანა ყორანაშვილი

გადაქართულება

იტყვი, რო ამან მოგვიტანა თავისუფლება. შეხე, როგორ იღერებს ყელს. სად იყავით, სადაო, თქვე გამოქლიავებულებო, თქვენა, მე რო დავეძგერე იმოდენა ჯოჯოხეთ სახელმწიფოსაო.

ესენიც როგორ გატვრენილან, ძუძუს გოჭებივით შესცქერიან.

ვუყურებ და მის მაგივრად მცხვენიან. აი, ორი ხელი შემოიტ-ყაპუნა ლოყებზე. ტორებივით ხელები და ნათითურები დააჩნდა. სხვას რო შემოერტყა, ეგრე არ დაეტყობოდა.

არ ვიცი, ძმაო, სადღა არი ნამუს-სინდისი, თფუი. ან ეს ხალხი რამ დაამუნჯა, შესცქერიან ეგრე.

გატვრენილები უყურებენ. თითქო ეშინიათ. რას გაიგებ ამ ნახირისას.

ნახირს თენგიზას ბიჭი ვანე მოუქნევს სახრეს, თუ კაცია ამირანი, სულ ერთი არ არი? იმათთვინ მარტო სახრეა მთავარი. ჯოხის ამქნევი ვინ იქნება, რა აზრი აქვს?

არ უყურებენ. იტანენ და ჯოხი რო არ აუქნიო, უარესიც იქნება რჩოლა-რჩოლით აიკლებენ ერთი-მეორეს. დაეძგერებიან, ნაზამთრალმა საქონელმა რო იცის ხოლმე, სანამ შეეჩვევიან ერთმა-ნეთს, დასუნავენ, ახედ-ჩახედავენ, ვერ ხვდებიან, რო ორიოდ-სამი-ოდე თვის წინ ესენი ერთად იყვნენ, ერთადა ბალახობდნენ, ერთად დადიოდნენ ნახირში. ორ-სამ თვემ ისე გადაავიწყა ერთი-მეორე, რქენა-რქენით დასდევენ ერთიმეორეს.

ხალხიც გულმავიწყია, არ მინდა რო ნახირს შევადარო, მაგრამ რას იზამ, ასეა, გულმავიწყია. უცბად გადაქართულდებათ ყველაფერი. აი, როგორი სიტყვა გვაქვს – გადაქართულება. მარტივად იტყვი, რო გადაგავიწყდება რაღაც – გადამქართულდაო. ქართულთან ბევრი რამ არის დაკავშირებული, მაგრამ დავიწყებაც ქართულთან არის და-კავშირებული.

– შენ რას იტყვი. – ულვაშები მიიქექ-მოიქექა ბესამ და დათას შეხედა. დათა ბესაზე უფროსი იყო ასაკით. სიბერემ როგორც კი შემოუღრინა, ქალაქიდან სოფელში გამოეშურა და ისე გამოიყურე-ბოდა, ისე ეცვა, იტყოდი, რო ქალაქში ერთხელაც არ იყო ნამყოფი. აჯაჯულ-დაჯაჯული კაკუჩით დადიოდა, ჭაღარა წვერი მოეშვა და მეზობლის ნაჩუქარი ნაბდის ქუდი ჩამოემხო თავზე. ასეთი ჩაცმულო-ბით თითქო ებოდიშებოდა სოფელს, თითქო ქედს უხრიდა იმ წლების გამო, რაც ქალაქად გაეტარებინა.

თავჩაღუნული იდგა დათა. მიწას დაშტერებოდა, თითქო არც უსმენდა მეზობლის ბჟუტურს. მიწას თვალს არ აშორებდა.

– დათა, არ მისმენდი? – არ მოეშვა ბესა.

– გისმენდი, გისმენდი. – ისე დაუქნია თავი, არც აუწევია. დაენანა, რო მიწისთვის მზერა მოეწყვიტა.

– მერე...

– რა მერე, რა გითხრა... არი ეგეთი და...

– შვილი უარესია, შვილი.

– შვილს არ ვიცნობ, – თავი გაიქნია დათამ.

– მაგნაირი გაქნილი და ოხერია.

– გაუშვი, რაც არი, არი, – დათამ უფრო თავისთვის ჩაიბურტყუნა, ვიდრე ბესასთვის.

– გაუშვი კარგია. რო იბრალებენ ყველაფერსა.

– შენც დაიბრალე... – დათამ თავი აწია და წამიერად შეხედა ბესას. ბესამ ვერაფერი გაიგო მისი ნათქვამიდან.

– რა დავიბრალო კაცო... – გამწყრალი ხმით ამოიზმუკუნა.

– რავი...

– ეე, – ხელი ჩაიქნია ბესამ. ერთი ხანობა იდგა და ხმაამოუღებლად გასცქეროდა ნაწისქვილარის მაღლა ნამეწყრალ ფერდობს. ვეება კაკლების ფესვები მიცვალებულების ნეშტებივით რო გამოეჩინა. ასწლოვანი ხეები, მიწაში აზელილი ბუჩქები ზემოდან ეყარა მეწყერქვეშ მოყოლილ წისქვილს. უყურა, უყურა ბესამ და მაინც ვერ ჩაიტოვა სათქმელი. ისევ დაიწყო საუბარი, ოღონდ უფრო თავის თავს ელაპარაკებოდა, ვიდრე მეზობელს. თან გული მოსდიოდა, დათამ რო კვერი არ დაუკრა, მხარი რო არ დაუჭირა.

– ცხრა მაისები ხო გახსომს.

დათამ უღიმღამოდ შეხედა.

– შვიდი ნოემბრებიც ხო გახსომს.

– აი, ეგა, დღეს რო სიტყვით გამოდიოდა. ხო გაიგონე, რა თქვა. თქვენ რო კომუნისტების მონები იყათ და თავმჯდომარეებს აძლევდითო, ეროვნულ მოძრაობაში ვიყა და ქვეყნის თავისუფლებისთვის ვბრძოლობდი. რა ჩემი საქმეა, მაგრამ... – ოდნავ შეყოვნდა ბესა, – დააჯილდოვეს კაცი, დააჯილდოვეს, რა ჩემ ფეხებათ მინდა, ან ჯილდო, ან მენდალი, მაგრამ სიმართლე ხო უნდა თქვას კაცმა. ჩემ გვერდით რამდენჯერ მდგარა პარადზე ეგ შობელძაღლი როსტომა. პარადზე, თითქო მაშინ აქ არ ცხოვრობდა, ცხრა

მაისობაზე... ცხინვალში ჩემს გვერდით იდგა და მიუძღვოდა სტუ-დენტებს წინა. დროშა ჯერ მაგას ეჭირა, მერე ცოტა ხნით მე გამ-ოვართვი, მერე ისევ წამგლიჯა. დროშა, წითელი დროშა მე მაგის... მაგის ბიჭი იყო, კომკავშირელთა ბელადათ რო მოჰქონდა თავი.

დგანან და შესცქერიან. ერთი ბეწვიც არ ჩამოუვარდება სირცხვილით. კომუნისტების მონები იყავითო. ის არაფორმალებიც როგორ უჯერებენ. დასდევენ ეგრე ლეკვებივით და უჯერებენ. ერთი უნდა გამომეტანებინა და მეჩვენებინა... იმ სურათებს სად გაექცევა... ეხლა რო სოფლის თავკაცი გახდა და ახალ მთავრობას მოერგო. იქნება გონია, რო სადმე გადავყარე სურათები. ნეტავ დაგანახა როგორ მიაბიჯებს პარადზე და მიუძღვება სტუდენტებს. არაფორმ-ალებს რო ის სურათი ვაჩვენო, წურწურით გაუვა მაგ შობელძაღლს ფსელი.

ჩვენი ხალხი... ჩვენი ხალხი... ძუძუს გოჭებივით შესცქერიან.

– რა უნდა ქნან... – უცბათ ამოიღო ხმა დათამ.

– რა უნდა ქნან? – პირი დააღო ბესამ, – რა უნდა ქნან და ჭიტ-ლაყი ამოუჭირონ.

– შენ ამოუჭირე...

ბესას ისე მოუვიდა ამ ძალათ გლეხის როყიო სიტყვებზე გული, ლამის დათას ამოუჭირა პანჩური, მაგრამ ამის გამბედაობა არ ეყო.

–გადაქართულდათ ყველაფერი ბესაა... – ჩაეცინა დათას და მე-ზობელს უფრო გამაღიზიანებლად შეხედა.

– ყველა ერთნაირები რო ვართ, ვერა ხვდები? რა გაატრაქტორე, კაცო, საქმე. ერთნაირები, ერთნაირები, ისიც, შენც, მეც და ყველა. შენც იგივეს გააკეთებდი, რო გქონოდა ამის თავი და მეც იგივეს გავაკეთებდი. აბა, დაეჭირათ ჩემთვის იმ არაფორმალებს მხარი. გად-მოვდგებოდი ტრიბუნაზე და დედას გიტირებდით, გქონოდა ის გად-აღებული სურათები, ვის რას მოშჭამდი. ისე დაგაბოლებდით, ისე, ისე რომა, – ხითხითებს, ხითხითებს დათა. ბესა კიდე შესცქერის ეგრე გამოშტერებული – „ამ გოთვერანს უყურე, ამას, იტყვი, ჭიას არ გააღვიძებსო“.

8 აპნისი, 2016
დიცი

პროზა

ზვიად ბერიძე

გველი

ბავშვები არ ეშვებოდნენ კომპიუტერზე თამაშს, ვერც ამტყუნებდა მათ, ვინაიდან ზაფხულის ცხელი დღეები იდგა. იწვოდა თბილისი. ნაადრევად დაეწყოთ ფოთოლცვენა ჭადრებს, შემომხმარიყო სუსტფესვიანი მცენარეების ფოთლები და უბანში პრაქტიკულდ აღარავინ დარჩენილიყო, ყველას გაეკრიფა აგარაკებზე ბავშვები, იქ, სადაც სიგრილეა და შეიძლება საღამოობით ქურთუკებსაც კი იცვამენ, რომ არ შესცივდეთ. მან კი, ვერ შეძლო ოჯახის დასასვენებლად წაყვანა, ფული ვერ იშოვა, მსესხებელიც აღარავინ ჰყავდა. ამიტომ ისხდნენ კომპიუტერთან ბავშვები და შედარებით სიგრილეში „ითხრიდნენ“ თვალებს. ეზოში ჩასვლა შეუძლებელი იყო, ისეთი მზე აცხუნებდა, ასფალტს ადნობდა და ბავშვს გაშვება გარეთ უფრო მეტ ზიანს მოუტანდა, ვიდრე კომპიუტერი.

ხდება ხოლმე ცხოვრებაში, არ გიმართლებს და მორჩა, „დღეს ასეა ხვალ ისე იქნება“, - იმშვიდებდა თავს ავთო. დროებით უმუშევარს ეძახიან ასეთ ადამიანებს, ვისაც პოლიტიკური შეხედულების გამო არ გაუმართლა და თავისი მყარი პიზიცია დააფიქსირა იქ, სადაც არ უნდა დაეფიქსირებინა. ცუდად ყოფნა მოიმიზეზა სამსახურში და გაეთავისუფლა. მეორე დილით სამსახურის უფროსმა დაიბარა და უთხრა: „სამსახურის საათებში ოპოზიციის მიტინგზე რა გინდოდაო“. ერთ-ერთი რეიტინგული ოპოზიციური ტელევიზიის გადაცემის

მსვლელობისას, კადრი პირდაპირ დროშამომარჯვებულ ავთოზე გაჩერდა და ასე იყო მთელი საღამო, სანამ პოლიტიკური „თოქშოუ“ არ დამთავრდა. მოკლედ, სამსახურს ეძებდა ავთო და ვერაფრით ეპოვა, - არა, საკუთარი პროფესიით არა, რაიმე სამუშაო უნდოდა, მაგრამ ჯერჯერობით ნინო აცხოვრებდა, მისი მეუღლე, რომელიც საბავშვო ბაღში მუშაობდა და რის ვაივაგლახით გაჰქონდათ თავი.

თავში ათასი რამ უტრიალებდა, უცხოეთში წასვლა, ტაქსაობა, პატარა მაღაზიის გახსნა, ფერმის გაკეთება, ხეხილის მოყვანა, მაგრამ ფიქრებს ვერ ალაგებდა თავში, იწყებდა თუ არა რაიმეს დაგეგმვას, უმალვე აწყდებოდა პრობლემას, რომელიც მისთვის გადაულახავი იყო. ფულს ვერ შოულობდა საქმის დასაწყებად... მიუხედავად ყველაფრისა, რაღაც უნდა მოემოქმედებინა, ამოტომაც კარგა ხნის დავიწყებულ პაპისეულ სახლში გაემგზავრა.

ცხელოდა კახეთში, ისე ცხელოდა, როგორც არასდროს. ივრის ხეობას, რომ გადახედავდა კაცი, ბუღი ასდიოდა და სივრცეც, რომლითაც ასე ხიბლავს თვალს პეიზაჟი, ნაცრისფერ ფერებს შთაენთქა. იორი დაღლილი მგზავრივით მილასლასებდა უდაბნოს გახურებულ გულმკერდზე და ილეოდა თვალსაწიერში გადაღვრილი.

ჩვეულებრივი დღე იდგა კახეთში, იქაც ცხელოდა, მაგრამ ისე არა, როგორც თბილისში. შეაღო პაპისეული სახლის ალაყაფის კარი, ეზოში ამოსული ბალახი კისრამდე მიწვდა, ცოტათი შეცბა კიდეც სტუმარ-მასპინძელი, მცურავი არ იყოსო, ფეხით მიტკეპნა იქაურობა, სიგარეტსაც არ მოუკიდა, ისე იყო გადამხმარი ბალახი, რომ მის ასაალებლად ერთი ნაპერწკალიც საკმარისი იქნებოდა. გზა გაიკვალა კლიტედადებულ სახლამდე შიშით. შესასვლელ კართან საყვავილე ქოთანი გადაწია, სადაც კაქტუსი დაერგო ოდესღაც „ბაბუშკა“ ოლიას, უჩვეულოდ ნარინჯისფერი ყვავილი გამოეტანა ეგზოტიკურ მცენარეს, ბედნიერად გადაშლილიყო და მცხუნვარე მზის სხივებში უდარდელად ყვაოდა. ქოთნის ქვევიდან გასაღები გამოაცურა და ბოქლომს მოარგო. პაპის სახლის კარს ძველებური, რკინის დიდი ბოქლომი ედო. დაჟანგებული, მაგრამ მაინც ერთგული გუშაგი გაუძალიანდა ავთოს და ცოტა ხნის სიჯიუტის შემდეგ, თავისივე სიმძიმისგან ჩამოიწია და მორჩილად გაიღო. რამდენი ხანია, აღარ ჩასულა, არც გახსენებია, არც მოუკითხავს, არც დაჭირვებია ეს სახლი, თან საკუთარი და ედავებოდა დიდხანს, არც ავთოს ცოლს უყვარდა აქ ჩამოსვლა მაინცდამაინც, ვერც ერთი მიახვედრა ვერაფერს, ამიტომაც ხმას აღარ სცემენ ერთმანეთს.

მხატვარი - ლელა ფერაძე

პაპისეულ სახლს ძალიან სქელი კედლები ჰქონდა. ზაფხულში გრილი იყო, ზამთარში - თბილი. დაღვინებული, დაფიქრებული, მძიმე კახელი კაცის ნაშენი იყო, ოჯახის ფასი რომ კარგად იცის. მაგრამ ავთოს ქალაქი უყვარდა, ძალიან უყვარდა, მოსწონდა ქუჩების კაკაფონია, ხმაური, აქტიური ცხოვრება, პერსპექტივა, მომავლის შანსი... ნინოც იქ მუშაობდა, ბავშვები სწავლობდნენ, თითქოს ფულიც უნდა ეშოვნა, ბინაც უფრო დიდი უნდა ჰქონოდა, თითქოს ყველაფერი უკეთ უნდა ყოფილიყო. ფიქრებს პაუზა მოჰყვა. შუქს, რომ ანთებ ოთახში და არ ინთება, ისეთი. რამდენჯერმე დააწკაპუნა ჩამრთველი, მაგრამ ოთახში ყველაფერი ძველებურად იყო, ხაკისფერ კედლებზე ხალიჩა და წინაპრების სურათები ლურსმნებზე ეკიდა მყარად, ძველი ტელევიზორის სადგამზე ასეთივე ძველი ტელევიზორი იდგა და „ბაბუშკას“ მოქარგული თეთრი გადასაფარებელი ეფარა. „ბაბუშკა ოლია“ რუსი იყო წარმოშობით. ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა ახალგაზრდობაში. ოლიას მამა მეტერთმეტე არმიას

შემოჰყოლია საქართველოში და დასახლებულა წითელწყაროში, ოლიაც იქ დაბადებულა და დროთა განმავლობაში ბუღალტრად დაუწყია მუშაობა საგარეჯოს ფოსტაში. ბინა უქირავებია იქვე, კაკო პაპას მეზობლად. იქ შეუმჩნევია პირველად კაკოსაც და გულში ჩავარდნია. არც კაკო იყო ურიგო კაცი, შავგვრემანი, სიმპატიური ცხვირპირით, ახოვანი, გამრჯე და მშრომელი. შეყვარებიათ ერთმანეთი და ოჯახიც შეუქმნიათ. საბჭოთა კავშირის, დაშლის შემდეგ, კაკო პაპა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როდესაც სუფრაზე კამათი წარმოიშვებოდა რუსეთ-საქართველოს მტრობაზე, დინჯად დადგამდა ჭიქას და ოლიას დაუძახებდა, „ბაბუშკაც“ მორჩილად მოვიდოდა სუფრასთან, ელოდა, რას ეტყოდა პაპა, კაკოც მოეფერებოდა თავისებურად და სუფრაზე რაიმე კერძის შემატებას სთხოვდა - ეხლავეო-უპასუხებდა რუსული აქცენტით ქართულად ოლია და სამზარეულოში შევიდოდა... ოდნავად დაფიქრებული ადამიანი მინიმუმ ერთ კიხვაზე მაინც მიიღებდა კაკოს ამ საქციელით პასუხს. ჭკვიანი და დინჯი კაცი იყო კაკო, შვილიშვილებში განსაკუთრებით უყვარდა ავთო, მასაც ხომ ოლიასავით დიდი ლურჯი თვალები ჰქონდა. ქორწინების წინააღმდეგი ყოფილა ოლიას დედა, ქართველისთვის არ უნდოდა ქალიშვილი ცოლად გაეტანებინა, ბევრჯერ უცდია ხელის შეშლა, მაგრამ ვერაფერი გაუწყია და შეგუებია. საბოლოოდ, ისევ ამ სახლიდან გაუსვენებიათ სიბერეში ანია, კაკოს გარდა პატრონი აღარავინ დარჩენია. ამიტომაც, სახლს კახურ სიდინჯესთან ერთად, რუსული პენიც დაჰკრავდა. ოდნავ გაცვეთილ, წითლად შეღებილ და დამტვერილ იატაკს ფეხი დააბიჯა და ნაკვალევი დაამჩნია ავთომ. ოთახის სხვადასხვა მხარეს კედელთან რკინის, მონიკელებული, რიკულებიანი ორი საწოლი იდგა, ხის კარადის გვერდით პატარა კარი სამზარეულოში გადიოდა. კედელში ჩაშენებული განჯინები ფერადი, ყვავილებით ნაქარგი თეთრი ტილოს ქსოვილებით დაეფარათ. ავთომ ტილო გადაწია და განჯინა გამოაღო, სადაც პაპის ნაქონი ვერცხლისქილებიანი, ჩრჩილების ნაჭამი, შინდისფერი ჩოხა ეგულებოდა, იქვე კი, დიდი პაპის - იოსებას ფანდური ეკიდა. ოთახის შუაგულში მაგიდაზე წამწვარი, ხორბლით სავსე ჭიქაში ჩამქრალი სანთელი დარჩენილიყო წლისთავიდან, რუსული „ლოცვანი“, საბჭოთა კავშირის დროინდელი გრაფინი და ნათალი ჭიქა ისევ ისე იდო ხის მაგიდაზე, როგორც დიდი ხნის წინათ.

ავთომ მიკეტა განჯინა, სენტიმენტები დაიოკა და კარადის თავიდან მეორე სართულის გასაღები ჩამოიღო, შეუყვა რკინის მოაჯირიან

კიბეს, ცოტა ხანს აივანზე გაჩერდა და საღებავგადაცლილი თეთრი ხის კარი შეაღო, საიდანაც ბებერი სახლის და ლამაზი ბავშვობის სუნი შეეგება. მეორე სართულზე პატარა შესასვლელი, დიდი ოთახი და ორი საძინებელი გაეთავსებინათ, ძველებურ ყაიდაზე გაწყობილ სახლში ყველაფერი იყო იმისთვის, რომ ოჯახს ეცხოვრა. ერთა-დერთი ეზოს ბოლოში დადგმული „ჩეჩმა“ უშლიდა ხელს, სადაც სახლიდან ფეხით უნდა გევლო, არ უყვარდა ნინოს არაკომფორტული სახლები, მაგრამ რას იზამდა ავთო... გომიდან ცელი გამოიტანა და გამხმარი ბალახის თიბვა დაიწყო, ბლაგვი ცელით დაღლილმა ნამ-გალი მოიმარჯვა და ეზოს გასუფთავება განაგრძო, თან ჩუმად თავისთვის ღიღინებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ: „ნამ გალო ჩე მო რკი ნაო“. შუადღისთვის ხეივანზე შემორჩენილი ვაზის ჩეროში იჯდა და ეზოში გაყვანილი ონკანიდან წყლის მოსვლას ელოდებოდა, ონკანმაც დააცემინა, დაიფრუტუნა და ცივი სათავის წყალი გადმოედინა, საოცარი შვება იგრძნო ავთომ, ჯერ კიდევ ჟანგიანი წყალი სახეზე შეისხა და თმაზე გადაისვა, იმ წუთას ძალიან ბედნიერი იყო, პატრონად გრძნობდა თავს, თამამად შეაღო დიდი ალაყაფის ორივე კარი და მანქანა ეზოში შეაყენა, ეზო გაცოცხლდა თითქოს, გამხმარი ბალახის ძირებზე მწვანეც კი გამოჩნდა. რაღაც ძალიან უხაროდა, ძალიან უხაროდა და ეიმედებოდა.

- თედოსთან ჩადი და შუქს ჩაგირთავს, - მოესმა შესაღები ღობის იქიდან ავთოს. ის იყო, ფარდულის ძირიდან გამხმარი ლენცოფა ფეს-ვიანად ამოგლიჯა და ჩამოჯდა. ქოლგამომარჯვებული, სამოც წელს გადაცილებული, ლურჯკოპლებიან ყვითელ კაბაში გამოწყობილი თამრუა შესვენებაზე ამოსულიყო სამსახურიდან, მაღალქუსლიან ლაქის ფეხსაცმელებზე შემდგარიყო, ფიცარმომტვრეული ღობიდან ეზოში იხედებოდა და თან საქმეში ჩართულ ავთუას უღიმოდა.

- დახმარება ხომ არ გჭირდება რამეში? - ყოველი შემთხვევისთვის შეაწია სიტყვა თამრომ

- არა, ჯერ არა, ერთი მოვასუფთავო და მერე ვნახოთ, - უპასუხა ავთუამ.

- კარგი გიქნია, რომ ჩამოსულხარ, თორე სულ გავერანდა აქაურობა. ისე, ფრთხილად იყავ, იმ დღეს რაღაცა შესრიალდა მანდა და არ გიკბინოს, - სასხვათაშორისოდ თქვა მეზობელმა და „თუ რამე დაგჭირდეს, სახლში ვართო“, – დაამატა, შემდეგ შეტრიალდა და გზა განაგრძო...

გეგმადალაგებულ ავთოს სისხლი აუვარდა თავში, ეშინოდა გველების და სამუშაოც დაუმძიმდა. გომურის პატარა კარი შეაღო და ნაგვის ასაღებად ნიჩაბს დაუწყო ძებნა, მცირე სარკმლიდან შუქი აღწევდა და კუთხეში, ათას ძველმანს, გაცვეთილ „ტაშტებსა“ და საკვამლე მილებს შორის თოხი, ბარი და ნიჩაბი გამოჩნდა, გადასასვლელად ფეხი დაჟანგებულ კასრს დაადგა და ზედ შედგა, ხელი სახურავის უხეშად გათლილ კოჭს წაავლო, რომელზეც ჯერ კიდევ მომართული თაგვის ხაფანგი იდო და წონა გადაანაწილა, თუმცა ძველმა კასრმა ვერ გაუძლო და სახურავი ჩაერღვა. იდგა წონაგადანაწილებული ავთო კასრში ფეხჩავარდნილი და ვერც ხელს უშვებდა კოჭს და ვერც ფეხს იღებდა კასრიდან, ამ დროს კი, კედელზე მიმაგრებულ თაროზე მოწნულ გიდელში დახვეული მსხვილი, წითელი „შლანგი“ გაცოცხლდა, გველი ამოძრავდა, წამოიმართა, გადმოიწია და ავთოს თვალებში ჩახედა, თითქოს მომხვდურისგან შეწუხებისთვის ბოდიშის მოხდას ითხოვსო. სისხლი გაეყინა ჩამოკიდებულ ავთოს ძარღვებში, სუნქვა შეეკრა, გაქვავდა, იგრძნო, როგორ ჩაერჭო კოჭში ფრჩხილები და ხელები აეწვა. უზარმაზარი გველი და გაფითრებული სტუმარი ერთმანეთს თვალებში უყურებდნენ, თითქმის ცხვირზე მიადო თავი გველმა, შემდეგ ძირს დაეშვა და გომურიდან გასრიალდა. ცოტა ხნის შემდეგ ხმაურითა და დედის გინებით ჩავარდა ავთო ძველმანებში, თოხი კოჭში მოხვდა, იდაყვი თუნუქის საკვამურზე გადაიშვლიპა, ფრჩხილები ტკიოდა და ხახაგამომშრალს ხელში ნიჩაბი ეჭირა, გველი აღარსად ჩანდა. ერთი სული ჰქონდა, წყალი დაელია, ეზოში ნიჩაბმომარჯვებული გამოვიდა, შიშით მივიდა ონკანამდე, თავი შეუშვირა და მოუშვა. წყალმა გახურებული თავი უცბად დაუმშვიდა. მანქანიდან პირსახოცი ამოიღო, სახე შეიმშრალა, ხეივნის ნარჩენ ჩეროში ჩამოჯდა და მოეშვა. გველი, გულის აჩქარებასავით, აღარსად ჩანდა, მუშაობის გაგრძელება შეიძლებოდა. ცოტა ხანში ნაგავი მოაგროვა და ურიკით რიყეზე წაიღო გადასყრელად.

იქ, სადაც გველია, ვერ იცხოვრებდა ავთო და ვერც თავის ოჯახს აცხოვრებდა, ამიტომაც გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა გველის სახსენებელი გაეწყვიტა კარმიდამოში. სასწრაფოდ მანქანა დაქოქა, ეზოდან გააყენა და ალაყაფის კარიც მიხურა. ქალაქის ცენტრში აგროქიმიის მაღაზიის მოძებნა არ გაჭირვებია, მივიდა გამყიდველთან და თავისი გასაჭირი უამბო.

- მე კი მოგცემ წამალსა, ძმაო, ეგ შენი საქმეა, მაგრამ მაგ გველს ნუ მოიკლამ, ფუძისაა, ეგ არაფერს დაგიშავებს, ბარაქისა და სიმშვიდის მამტანია, თუ სახლსა ფუძის გველი არ ყავს, არ ვარგა. თუ ეზოს მოიწამლავ, ერთი სამი დღე მაინც აღარ უნდა იარო, მერე წვიმა მოვა და ჩაირეცხამს, - ურჩია კოპწიად ჩაცმულმა, ცისფერ პერანგიანმა გამყიდველმა. ავთომ აინუნშიც არ ჩააგდო და „საწამლი“ საშუალება გამოართვა. სახლში აბრუნდა, გომიდან ყველაფერი გარეთ გამოიტანა, ზოგი სანაგვეზე გადაყარა, ზოგი დატოვა, შემდეგ რისი მოპნევა, დაწვა-დაბოლება და დაყრა შეიძლებოდა, ყველაფერი ინსტრუქციის მიხედვით გააკეთა და ეზო-კარმიდამო გველის წამლით გააჯერა. ამ გაწამაწიაში მოსაღამოვდა და დედაქალაქში დაბრუნების დროც დადგა. დასუფთავებულ ეზოს თვალი მოავლო ავთომ - მოეწონა, სახლს ნინო და ბავშვები მოუვლიანო, - გაიფიქრა, ყველაფერი გამოკეტა, გასაღებები ჯიბეში ჩაიდო და თბილისისკენ გაემგზავრა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ფულნასესხები, კახური შემართებით წელგამართული, თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში, ძმაკაცისგან ნათხოვარ ჯიპს ავთო მთელი სულით და გულით ტვირთავდა, როდესაც მანქანის საბარგულში წითელ რეზინის მილს მოჰკრა თვალი, ძარღვებში სისხლი გაეყინა, ცივმა ოფლმა დაასხა და მექანიკურად ჯოხს დაუწყო ძებნა. ეზოში ალვის ხის მოზრდილი ტოტი მოტეხა და შეიარაღებულმა ფრთხილად გამოაღო მანქანის საბარგული, მაგრამ მილი უმოძრაოდ იწვა და ცალი მხარე სითხის ამოსაღებად მოხერხებული რომ ყოფილიყო, ირიბადაც ჰქონდა ათლილი. უყვარდა დალევა მანქანის პატრონს - გივის და ღვინის „შლანგი“ მანქანაში რა გასაკვირიაო, - გაიფიქრა, საკუთარ თავზე გაეცინა და დამშვიდებულმა განაგრძო ჩანთებისა და ცელოფნების ჩალაგება. უხაროდა, რომ ნინოც დაიყოლია წასვლაზე და რახან უკვე ყველანაირად გაუსაძლისი გახდა დედაქალაქში ყოფნა, პაპისეულ სახლში, ოჯახთან ერთად, თამამად შეიძლებოდა გამგზავრება.

ჯერ კიდევ დილის სიგრილე შერჩენილი ჰქონდა შუადღეს, როდესაც ალაყაფის კარი შეაღო ავთომ, მართლაც ახალი ბალახი წამოსულიყო ეზოში, სიმწვანეს ამოეყარა ადგილ-ადგილ, ეტყობა, ეწვიმა რამდენიმე დღის წინ. ნინოსაც კი გაუკვირდა ისე უჩვეულოდ ლამაზად გამოიყურებოდა პაპისეული ბებერი სახლი. ბოქლომიც აღარ გაძალიანებია ავთოს, ჩამოწია ურდული და თედოს პატივისცემის წყალობით ოთახში შუქი აანთო. სოფელში დაბარგების პირველი

დღე ყოველთვის დამღლელია, ავთო შებრუნდა მანქანისკენ და ჩანთების სახლში შეტანა დაიწყო, რამდენიმე ჯერზე ყველაფერი შეიტანა, ბოლოს ცარიელ საბარგულში სველი ტილო გამოუსვა, გამოასუფთავა და გახარებულმა სულაც ვერ შეამჩნია რეზინის „შლანგი“, რომელიც საბარგულიდან გადმოსრიალდა და გომურის შესაღები კარის ქვეშ შესრიალდა.

საღამოს სახლის სიგრილიდან ეზოს სიგრილეში გადმოინაცვლა ოჯახმა. ნინომ და ბავშვებმა სახლი მოალაგეს, მოაკოპწიავეს, ვახშამი შეაკოწიწეს და ასეთ საიამოვნო საღამოს რამდენიმე ჭიქა ღვინის დალევას არაფერი სჯობდა. გივის გამოტანებული ღვინის ათლიტრიანი ბოცა გრილად რომ ყოფილიყო, სამზარეულოში შეეტანა დილით ავთოს და რადგან ძაბრი ვერ იპოვა, მანქანის გასაღები აიღო და საბარგულიდან „შლანგის“ ამოსაღებად გასწია.

მხატვარი - ბექა კოპაძე

ემიგრანტული პოეზია

ნანა მეფარიშვილი, აშშ

ვიდეო ვნახე, ლალეო მღეროდნენ... ალბათ ემიგრანტები იყვნენ... მეტკინა და მაინც გავიხარე...

გავიხარე, რადგან ამ ქვეყნად ერთი სამოთხეა და ისიც – ჩემი!

ალბათ ემიგრანტების უმრავლესობა მუდამ ამ სიმღერას ღიღინებს გულში...

„ლალე, ლალე, ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალე!“

***

ზოგჯერ, როცა ამ უცხო ქვეყნის ქუჩებში დავდივარ, მგონია, რომ კამერა დამყვება... რომ ფილმში მიღებენ...

დიახ, თითქოს რომელიღაც ამერიკული ფილმის „გმირი“ ვარ, საქართველოდან „მოწვეული“...

ამ დროს თავს ავწევ და ვიპრანჭები, არა როგორც ქალი, არამედ როგორც ქართველი...

„ლალე, ლალე, დივლი დალალალე, ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე“..

მე ვღიღინებ, ვღიღინებ მუდამ, მაშინაც კი, როცა ბაგე მდუმარე მაქვს...

გულში ვღიღინებ, როცა მიკრძალავენ გადაღების დროს ხმის ამოღებას...

- Hi, – მეუბნება გამვლელი და მიღიმის...

მეც ვუღიმი და გულში ხმამაღლა ვამბობ:

- გამარჯობა!

კამერა კი დამყვება და ყველაფერს იღებს...

როლი ძალიან უჩვეულოა...

პანტომიმის მსახიობს ვგავარ, თითქოს...

როცა არ ვმეტყველებ ქართულად, უცხო ენაზე საუბრის დროსაც კი, ვარ მდუმარე...

რადგან შიგნით ქართულად ვაზროვნებ, ქართულად ვფიქრობ და ქართულად მესიზმრება...

თითქოს, ამერიკული ფილმის მთავარი გმირი ვარ...

საქართველოდან „მოწვეული“...

ხშირად მთხოვენ ღიმილს... და დუმილს... ქართულის დუმილს...

არადა, ქართულის დადუმება შეუძლებელია!...

არადა, გული არ ჩერდება...

„ლალე ლალე, დივლი დალალალე, ჩემო ლამაზო სამშობლოვ,

შენ კი გენაცვალე“...

სამშობლო – ჩემი საგალობელი

მე ფარი შენი ვიქნები,
შენ - ჩემი სისხლის დულილი,
ღამენათევი ფიქრები,
ჩემი დარდი და წუხილი.
მე შენი მკლავი ვიქნები,
ბრძოლაში ძალგაუცლელი,
შენთვის ზვარაკად ნაშობი,
შენს სიყვარულში უცვლელი.
მხარე არ დარჩა ამქვეყნად,
სამყაროს გაშლილ გულზედა,
ყველა შენს ზეცას ნატრობდა,
ყველა შენს მიწას უმზერდა.
ვერასდროს შევეგუები,
გულგრილად გელაპარაკონ,
დედა-სამყაროს ედემო,
ამოსახსნელო არაკო.
რამდენი ჭირი გინახავს,
რამდენი ცრემლი გდენია,

მირონ-გაჟღენთილ გულმკერდზე,
სისხლი ზღვად გადაგდენია,
ზურგში რამდენჯერ დაჭრილხარ,
თან მოძმე ერქვა შენი და
ივერის დედა გლოცავდა,
მისი წყალობა გშველიდა.
სასწაული ხარ ხილული,
სამშობლო, მშობო სამთაო,
მამა ღმერთისა, ძე ღმერთის
და დედის გფარავს კალთაო.
მე შენი ჰანგი ვიქნები,
არ დავიღლები მღერითა,
შენ, ჩემი სულის წალკოტი,
სავსე ერით და ბერითა.
მე შენი ძარღვის ფეთქვა ვარ
და შენი სისხლით ვდუღილობ,
ასახდენელო ოცნებავ,
ჩემო ჭექავ და ქუხილო.
ვიქნები შენი მელექსე,
კართან დავდგები დარაჯად,
შენი სიცოცხლის დამცველი
შენი ხმალი და ფარაჯა.
მე შენი ყლორტი ვიქნები,
შენი მომავლის ნაყოფი,
მტრის წინ გაშლილი გულმკერდით,
ერთ დიდ სიცოცხლედ სამყოფი.
შენი ყიჟინა ვიქნები,
ჩაუგებელი მახვილი,
„ლამაზად შვილის გამზრდელი“
და წინაპართა ძახილი.
არად შემარგოს ის ლუკმა,
შენს მტვერშიც თუკი გავცვალე,
თუ შვილნი იმით განვაძღე,
ეს სული ამომაცალე.
გონი არ მქონდა, საბრალოს,
თავი მეგონა ღარიბი,
შენა ხარ ჩემი სიმდიდრე,

მე, შენი სულის ტარიგი.
შენ ჩემი დილის ნამი ხარ,
მომავლის გზები ნათელი,
მე, შენზე შეყვარებული,
ჭკუაშეშლილი ქართველი.
შენ ჩემი თავსასთუმალი,
და ჩემი „იავნანა“ ხარ,
სული ობოლი მგონია,
ჩემო, იქ სადაც არა ხარ.
კაცთა არსობის აზრი ხარ,
ურყევი რწმენა მზიანი,
ქართველთა დიდი მფარველი
და ანგელოზი ფრთიანი.
სამტროდ მომზირალს ვურჩევდი,
ხმალი არ ამიხმიანო,
მასთან მისვლამდე მოგიწევს,
მკვდარს გულზე გადამიარო.
მადლი ხარ სიყვარულისა,
გზა, მისასვლელი მიზნამდე,
მე, ფარი შენი გულისა,
დავრჩები უკუნისამდე.

ანდერძად შვილთა

ქართველობის გამო სხვანაირი ვალი
გერგო, ამიტომაც მინდა, რომ გახსოვდეს,
სხვა სისხლი გაქვს ძარღვში და სხვა გულის კარი,
სუყველაფერს იგრძნობ, გაიზრდები ოდეს.
შენი ხვალინდელი შენივ რწმენაშია,
სიმართლეა მუდამ სათნოების ფარი,
გაუტეხე ლუკმა იმას, ვისაც შია,
თვალებსა და გულში შემოუშვი დარი.
იცოდე, რომ გვერდით ანგელოზთან ერთად,
ბოროტება ცოდვის საცდურს გიფერადებს,
კარგ საქმეთა მუდამ შეგრაცხავენ ღმერთად,
თვით სატანა გიპყრობს, ავი საქმის ჩამდენს.

სამშობლოსთვის, ჩემო, არ დაზოგო თავი,
მის გარეშე ვერსად გაიხარებ ვერცა,
არც ვის შეარჩინო, თუ აკადრა ავი,
რადგან მოვისრებით, ის თუ წამოგვექცა.
სიყვარულის ძალით გული ამოივსე,
რასაც რწმენით ითხოვ, გიწყალობებს ღმერთი,
ქართველს რომ შეშვენის, იქართველე ისე,
ოღონს შეიყვაროთ უნდა ერთმანეთი.
ღრეობას და ლხენას თუ უფალი გაცლის,
ესე იგი ლოცვის უნდა იხმო ძალა,
გაიყოლე დარდი დაჩაგრული კაცის,
რადგან მჩაგვრელს ღმერთმა მადლი გააცალა.
ძირს დაცემულს მუდამ შეაშველე ხელი,
გზასაცდენილს მარტო ნუ დატოვებ ხრამთან,
თვალცრემლიანს მუდამ შეუმშრალე ცრემლი,
შენი საქმით მიხვალ სასუფევლის კართან.
მშველელად და მხსნელად არ ჩათვალო ფული,
თუ ცდუნებას სძლიე, ბოროტებას ამხელ,
არასოდეს აღარ მოგერევა რული,
თუკი სულის თვალებს კარგად გამოახელ.
ანგელოზი შენი, სულ რომ გვერდით გიზის,
მძიმე ცოდვის გამო, გთხოვ, ნუ დააღონებ,
ილოცვიდე მუდამ, ილოცვიდე შვიდგზის
და ძახილი გულის უფალს გააგონე.
მე იმდენი ცუდი და ვაება ვნახე,
ჩემი ცოდვის გამო არ მსურს, დაისაჯო,
ყველა საიდუმლო გულში დაიმარხე,
რომ სიკეთის თესვით მუდამ გაიმარჯვო.
ავი კაცის ნაბიჯს ხმა მიჰყვება კრულვის,
გულმზიანი მუდამ დაგავიწყებს ურვას,
ნურასოდეს ქვეყნად უღალატებ ნურვის,
ნურასოდეს, ჩემო, მოიპარავ ნურას.
შენი მომავალი წარსულიდან იშვა,
საქართველოსათვის არ დაზოგო თავი,
წმინდანების დასი მოგცა შენმა ჯიშმა,
შემწედ გვიდგას, რადგან დედა მარიამი.
შენი გული ქრისტეს სარკესავით უდევს,

ყველა მოწყალება საზრდო არის ობლის.
ნუ აირჩევ, შვილო, გზას ცდომილს და მრუდეს,
კარგად დაიხსომე დარიგება მშობლის.
გულ-მშიშარი კაცი გაიმარჯვებს როდი,
არ შეუდრკე, თუნდაც მტერმა ჯვარზე გაცვას,
შენს ერშია, შვილო, სულის (დ)ახსნის კოდი,
თვით სამყაროს შველად ის აღვივებს მარცვალს.
თუ მონაზვნის კაბით გვერდს ჩაგივლის ბერი,
გამოსთხოვე ლოცვა, დაუდექი მუხლზე,
წმინდანია, იქნებ და ვერა სცნობს ერი,
თვით უფალთან მიდის, იქნებ ღამის მწუხრზე.
გააჩინე ბევრი ვაჟკაცი და ქალი,
და გაავსე ეზო მათი ჟრიამულით,
იქნებ, ასე მაინც სულ მცირედი ვალი,
გადუხადო უფალს მადლიერი გულით.
ყველა კარგი ნატვრა, რასაც გული გთხოვდეს,
აიხდინე, მერე ლოცვით მიდი ტაძრად,
ესე დარიგება ანდერძივით გქონდეს,
სხვას ვერაფერს, შვილო, ვერ გიტოვებ განძად.

საიდუმლო შენი სულის

„აი, ია, აი, თითი,
აი, ჩვენი ანი- ბანი“
ხვალეს გახსნის მასზე მითი,
ღმერთი იტყვის – აბა, განი.
აი, ზეცა, აი მიწა,
აი, მთები ათასფერი,
აკვნები რომ გადაირწა,
წმინდანების გამომზრდელი.
აი, ჩვენი სალოცავი,
ეს კი დედო-ზარებია,
აი, მგელი, აი, კრავი,
აქ სამოთხის კარებია.
აი, წიგნი, საზრდო სულის,
აი, ჩვენი სახარება,
საქართველო - თაიგული,

მისი მოძმის გახარება.
აი, ჩვენი საძვალე და,
მამა-პაპის წმიდა სული,
აი, ჩვენი გუთნის დედა,
აი მიწა, აი, ხნული.
აი, ხატი ივერისა,
აი, ზღვა და აი, გზები,
ეს სხივები თავად მზისა,
აი, ვაზი, აი, ზვრები.
აი, მადლი, აი, ცოდვა,
ეს კი, სანთლის ალებია,
აი, შენი ძველი ოდა,
მასში მამის თვალებია.
აი, იგი – მცნება ათი,
ესეც გზაა, მხოლოდ ერთი,
აი, მცხეთა, აი, კვართი,
აი, ბერი - თავად ღმერთი.
აი, მზე და აი, მთვარე,
აი, ვაჟას შველის ნუკრი,
აბა, კარგად გაითვალე,
ეს სამოთხე, ესეც კუპრი.
ეს ტაძრების ნათელია,
აი, მისი შესასვლელი,
ეს ნამდვილი ქართველია,
ის ნამდვილი არაგველი.
შენი ენა, შენივ სული,
გადამრჩენი შენთა შვილთა,
აი, ვერცხლი, აი, ფული,
აი, საფლავები გმირთა.
აი, შენი სახლის კარი,
აი, ცვარი, აი, ნამი,
შენი მიწა და მტკაველი,
აი, დედა მარიამი.
აი, პური, მადლი გუთნის,
იქ გახედე მტრედთა ხუნდებს,
ახლა ჯერი შენ გეკუთვნის,
აირჩიე, რაიც გსურდეს.

ცხოვრების წესი

დარაბებს შიგნით
შეიძლება, ისე სციოდეს,
როგორც იანვრის სუსხი დაჰქრის
დარაბებს იქით
და მოგიზგიზე ბუხრის პირას
ყინულის ლოდებს
მოჰგავდეს გული,
ორის გული, თან ღვინის ჭიქით.
ღამეებს ცლიდეს
ბახუსიდან მოსული ალი,
ან მოჩვენება,
უფრო სწორად, სიცარიელე,
დარაბებს შიგნით
იქნებ, ქმართან ცხოვრობდეს ქალი
და ცრემლებს ღვრიდეს
უსულგულო ალერსის მერე.
დარაბებს შიგნით
გაზაფხული ყვავილობს ხანაც,
არც ვინ კითხულობს,
გარეთ ამ დროს რა ამინდია,
ღარიბი იყოს იქნებ, ტაბლა,
ეზოში ყანაც,
მაგრამ მზე მაინც კიაფობდეს,
როცა ბინდია.
რამდენი რამე ხდება, ალბათ,
დარაბებს შიგნით,
ვიღაც სიცილით მიაცილებს
ვნებიან ღამეს,
ვიღაცა, ისევ ხელმძღვანელობს
ცხოვრების წიგნით
და იმ დროს ფურცლავს,
სიყვარულს რომ გამოასალმეს.
მთელი სოფელი
არენაა მოთქმის და მითქმის,
წლებს მისი მიაქვს, ავ-კარგს მაინც

გაუდის ხანი,
დარაბებს შიგნით ყველა სახლის
კერაზე თითქმის,
თუხთუხებს თითო ტკივილის
და დარდის ქოთანი.

***

ნასიცხარ ხეებზე ჩამოსხდნენ ჩიტები,
ციცინათელებთან დავდივარ ბარბაცით,
არდასმულ კითხვაზე გპასუხობ –
მინდები,
უშენოდ ვსუნთქავ და
სუნთქვასაც არ მაცლი.
გულიდან ამოდის სხვა ხმა და სხვა სითბო,
ჩემს ირგვლივ ამინდიც იცვლება მალიმალ,
არნათქვამ თხოვნაზე –
სიცოცხლე დაგითმო,
გთანხმდები
და ვხვდები, შეშლილი ქალი ვარ.
ცრემლებმა წაშალა ბავშვური ნაკვთები,
სიყვარულს არასდროს
ვუწოდებ წამებას,
გაუმხელ სურვილად ხელებში გაკვდები
და სულ არ ვინანებ
ამ გარდაცვალებას.

მაია ქუქჩიშვილი

სომხეთის ქართული სათვისტომო „ივერია“

სომხეთის ქართული სათვისტომო „ივერია“ დაარსდა 1997 წელს ქ. ერევანში, მისი პირველი პრეზიდენტის, აკადემიკოს თინათინ ასათიანის თაოსნობით. სათვისტომომ გააერთიანა სომხეთში გაფანტული ქართველები. მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სომხეთსა და საქართველოს შორის კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირების გამყარება, სომხეთისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა. 2000 წელს სომხეთის პრეზიდენტთან შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ სათვისტომოს ამოცანად ეროვნული ენისა და კულტურის შენარჩუნება დასახა.

სომხეთის მთავრობა სათვისტომოს ყოველწლიურ ფინანსურ დახმარებას უწევს.

სათვისტომო 250-მდე წევრს ითვლის. ამჟამად მისი პრეზიდენტია ქალბატონი სვეტლანა ნამჩევაძე.

თავისი არსებობის ორი ათეული წლის განმავლობაში „ივერიამ“ სხვადასხვა სფეროში განახორციელა მრავალი პროექტი. სპიტაკის მიწისძვრის შემდეგ ცენტრ „არალეზსა“ (ვანაძორი) და „წითელ ჯვარს“ დაეხმარა ბავშვთა ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში, საზღვარგარეთელ კოლეგებთან ერთად, ქალბატონმა თინათინ ასათიანმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ცენტრ „ფაროსისა“ და „უნისონის“ ინვალიდებს საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილეო-

ბის მიღებაში ინგლისში, იტალიაში, საქართველოში და სხვ. კომპიუ-ტერული კლასების დაარსებაში, სადაც წლების განმავლობაში სწავ-ლობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები.

სათვისტომომ თავისი არსებობის პერიოდში გამართა მრავალი სემინარი და საგანმანათლებლო ლექცია, ლიტერატურულ-მუსიკა-ლური კომპოზიცია, საღამო, გამოფენა, კონცერტი, მათ შორის ერ-თობლივი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს სომხეთში გამართულ ფესტივალებში, კონფერენციებში, კონკურსებში.

სათვისტომოს ჰყავს ორი ვიცე-პრეზიდენტი და გამგეობის რვა წევრი.

სათვისტომოს წევრები დადიან სომხეთში მოქმედ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში (წინამძღვარი დეკანოზი ალექსან-დრე შკარბანენკო). ეკლესია იესო ქრისტეს ამაღლების სახელობისაა, სადაც ყოველ კვირა დღეს ტარდება წირვა და აღინიშნება საეკლესიო დღესასწაულები.

1998 წ. სათვისტომოში შეიქმნა საკვირაო სკოლა, სომხეთში საქართველოს ელჩის (1998-2004წ.) ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილის ინი-ციატივით. პირველ წლებში საკვირაო სკოლა საქართველოს საელჩოს შენობაში ფუნქციონირებდა, სადაც ასევე აღინიშნებოდა ქართული ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები. საელჩოს თანამშრომ-ლების ყურადღებიანმა და თბილმა დამოკიდებულებამ დიდად შეუწყო ხელი სათვისტომოს ერთ ოჯახად გადაქცევას.

საკვირაო სკოლის პირველი პედაგოგი იყო საქართვე-ლოსა და სომხეთის მწერალთა კავშირების წევრი, მრავალი ჯილდოს მფლობელი, ცნობი-ლი მთარგმნელი მაყვალა გეურკოვა, რომელიც წლების განმავლობაში თავდადებით ემსახურება მამულიშვილურ საქმეს.

საკვირაო სკოლის პირველი მასწავლებელი მაყვალა გეურკოვა-სააკიანი და ნინო სპანდერაშვილი.

ამჟამად საკვირაო სკოლაში მოქმედებს ქართული ენის შემსწავ-ლელი პირველი (მასწავლებელი ლიანა სამადალაშვილი) და მეორე (მასწავლებელი ნინო სპანდერაშვილი) საფეხურები, სიმღერის (ხელ. ნონა დერცაკიანი) და ცეკვის (ხელ. ლიანა სამადალაშვილი) შემს-წავლელი წრეები

საკვირაო სკოლაში (უფასოდ) სწავლობენ როგორც ქართველი, ასევე სომეხი მოსწავლეები, რომლებიც ყოველ კვირა დღეს საქართველოსა და ქართული კულტურის სიყვარულის თანაზიარნი ხდებიან. ამჟამად სკოლაში სწავლობს 25 მოსწავლე. მოსწავლეების ასაკი არ არის შეზღუდული, ამჟამად გვყავს ოთხი წლის მოსწავლე, ხოლო უხუცესი წევრი 80 წელს არის გადაცილებული.

საკვირაო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ტარდება ღო-ნისძიებები:

1. ანბანის ყოველწლიური დღესასაწაული (სასწავლო წლის დამ-თავრებისას);
2. დედაენის დღე;
3. დედის დღე;
4. ქართველი პოეტებისა და მწერლების იუბილეები

საკვირაო სკოლის მოსწავლეები ასევე მონაწილეობას იღებენ სათ-ვისტომოს მიერ ეროვნული და საეკლესიო დღესასწაულების აღნიშ-ვნაში.

დედაენის დღე.

2004 წლის სექტემბრიდან გამოდის სათვისტომოს გაზეთი „ივერია“, რომელიც მაყვალა გეურკოვასა და ნაირა ჭოველიძის თაოსნობით შეიქმნა. საქართველოს სიყვარულით გამსჭვალულმა ამ ორმა „ივერიელმა“ გაზეთს ქართული სული ჩაუდგა და იგი სამშობლოდან შორს მყოფი ქართველებისთვის ყოველივე ქართულის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებად აქცია.

გაზეთი „ივერია“ ორენოვანია, გამოდის ქართულ და რუსულ ენებზე, რადგან იგი საქართველოს ახალ ამბებს, კულტურულ და სპორტულ მიღწევებს, სათვისტომოს მიმდინარე საქმიანობას აცნობს, არა მხოლოდ ქართული სათვისტომოს წევრებს, არამედ სომხეთის ოფიციალურ და არაოფიციალურ უწყებებს, სომხეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს. გაზეთის რედაქცია ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოში მომხდარ მოვლენებსა და „ივერია-ში“ საკუთარ ხედვას წარმოადგენს. გაზეთი გამოდის ყოველთვიურად. გაზეთს აქვს საინტერესო რუბრიკები, როგორიცა: ქრონიკა, რელიგია, ტრადიციები, ცნობილი ქართველები, საქართველოს ისტორია, კულტურა და სპორტი, სათვისტომოს წევრების შემოქმედება და კალეიდოსკოპი. ამჟამად გაზეთის სარედაქციო ჯგუფი სამი წევ-რისგან შედგება: სვეტლანა ნამჩევაძე, ნინო სპანდერაშვილი, ნელი თორჩიანი.

გაზეთი დასაწყისში სათვისტომოს სახსრებით, ყოველგვარი დაფინანსებისა და შემოწირულობების გარეშე, სარედაქციო ჯგუფის ენთუზიაზმით გამოდიოდა. მის გამოცემასთან დაკავშირებით სხვა-დასხვა სირთულე წარმოიშვა. შეიქმნა დაფინანსების წყაროს მოძებ-ნის აუცილებლობა. 2008 წელს სომხეთის მთავრობამ დახმარების ხელი გაუწოდა გაზეთს და დღემდე აგრძელებს ფინანსურ მხარ-დაჭერას.

დროთა განმავლობაში გაზეთმა შინაარსობრივი და ტექნიკური სახეცვლილება განიცადა და პროფესიონალურად ჩამოყალიბდა. ცვლილება განიცადა ტირაჟმა, სარედაქციო ჯგუფმა. თანდათან გააქტიურდა სათვისტომოს წევრების ჩართულობა ინფორმაციის მიწოდებასა და შემოქმედებითი მასალების წარმოდგენაში. გაზეთმა ექსპერიმენტული ნომრებიც გამოუშვა, რაც ერთდროულად ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე სტატიების დაბეჭდვით გამოიხატა. სადღესასწაულო ნომრების პირველი და მერვე გვერდი ფერადი გამოდიოდა. პერიოდულად იცვლებოდა გაზეთის რუბრიკებიც.

სარედაქციო ჯგუფი სამომავალოდ გეგმავს გაზეთის გაფართოებას, ფერად გამოცემას, ელექტრონული საიტის გახსნას.

2011 წელს ნაირა ჭოველიძის თაოსნობით სათვისტომოში შეიქმნა გუნდი „ციცინათელა“, რომელმაც სათვისტომოს სიმღერის მოყვარული პენსიონერი ქალები გააერთიანა. გუნდი პერიოდულად მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ფესტივალსა (მათ შორის, „ჩვენებურები“) და კონკურსზე.

სათვისტომოს მიერ გამოიცა წიგნები: მ. ა. აივაზიანის „გევორქ გრიგორიანი (ჯოტო)“, დიანა უკლებას ლექსების კრებული, სათვისტომოს წევრების პოეტური კრებული „ჩვენი თბილისი“, ქართველ მწერალთა მოთხრობების კრებული „ჩემი და შენი საქართველო“, ნაწყვეტები ჭაბუა ამირეჯიბის ნაწარმოებებიდან, ქართული ზღაპრები სომხურ ენაზე (თარგმანი მაყვალა გეურკოვა-სააკიანისა), სომხეთში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შემოქმედების „ალმანახი“ პირველი და მეორე წიგნები.

სომხეთის ქართულ სათვისტომოს ვუსურვებთ წარმატებებს ქართულ-სომხური მეგობრული კავშირის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.

ემიგრანტული პოეზია

ნინო სპანდერაშვილი, სომხეთი

ნინო სპანდერაშვილი დაიბადა 1966 წელს კახეთში, წნორში. დაამთავრა სტავროპოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. 1985 წლიდან ცხოვრობს ქ. ერევანში და ეწევა საინტერესო საქმიანობას. 2000 წლიდან სომხეთის ქართული სათვისტომო „ივერიის" გამგეობის წევრია, ხოლო 2014 წლიდან, მისი ვიცე-პრეზიდენტი. ერევნის საკვირაო სკოლაში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას, ასევე სათვისტომოს გაზეთ „ივერიის" ქართული ნაწილის რედაქტორია. ამჟამად მუშაობს სანოტარო მოქმედებების ქართულ-სომხური ენების ლიცენზირებულ მთარგმნელად.

ნინო სპანდერაშვილის ლექსები და თარგმანები დაიბეჭდა ეროვნულ უმცირესობათა შემოქმედების ალმანახში. პერიოდულად იბეჭდება სათვისტომოს გაზეთ „ივერიაში".

მისი ლექსების ქართულ და სომხურ ვარიანტებზე შექმნილია შვიდი სიმღერა.

ფესვების ძახილი

თმენით მივყვები ბედის აღმართს, სავსე ვარ რწმენით,
რომ კვლავ ვიხილავ წინაპრების საფლავებს წმინდას,
მოვეფერები სისხლის წვეთებს ალაზნის ველზე,
ყაყაჩოებად რომ მოედო გაპოხილ მიწას.

ვემთხვევი ყანას, სახნავ-სათესს, ზვარსა და ვენახს,
კახეთის ღვინის ფერითა და სურნელით მთვრალი.
სულიერ აკვანს დავუჩოქებ და შევთხოვ უფალს,
მიბოძოს ძალა, უცხო ცის ქვეშ კვლავ ვზიდო ჯვარი.

შენი მოდგმა ვარ, საწუთროს მზე ვიდრე დამნათის,
მიხმობს ფესვები, წინაპართა ნათელი კვალი,
დაგიბრუნდები, ბრძოლის ცეცხლში ვითარც ნაწრთობი,
დარტყმებისაგან დაჭყლეტილი ერთგული ხმალი.

სამეულის „ქარტია“

ვუძღვნი საქართველოს ფარგლებს
გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს:
ხათუნა შავგულიძესა და ზურაბ პაპიაშვილს

თუმცა სამივეს შემოდგომის მზე დაგვდგომია,
ჯერ სიჭაბუკის ზმანებანი არ ჩაგვქრობია.

მშობლიურ ფესვთა ფეთქვა გვესმის უცხო მიწაზეც,
საქართველო და მისი ზეცა ღმერთად ვიწამეთ.

ტკივილით დაგვაქვს მონატრების მძიმე ბორკილი,
გული სამშობლოს ხვაშიადის მონა-მორჩილი.

ნებით, თუ ბედით გავმამლუქდით, გადავიკარგეთ,
თუმც, უცხოეთშიც ვიქართველეთ, ყველგან ვივარგეთ.

სისხლი გვიყივის უნიკალურ ქართულ გენისა,
მშობელ მიწაზე დაბრუნება თუკი გვეღირსა...

უღალატო ყმად შევიქმნებით ახალ დროისა,
ჩვენი ფესვები ყლორტებსა და ფოთლებს მოისხამს.

უქართველებოდ არ გვწამს მიწა ჩვენ მამულისა,
ვერ შეაშინებს ძირძველ მუხას რიცხვი მუმლისა.

შემაერთებელ ხიდად გავდებთ მონატრებულ გულს,
სანთლად დავინთებთ საქართველოს რწმენას, სიყვარულს.

ვუძღვნი აფხაზეთიდან ლტოლვილ თანამემამულეს

ჩვენ საქართველო გვერგო სამშობლოდ
და გულით დაგვაქვს ქართული ჯვარი.
შენ გენატრება შავი ზღვისპირი,
მე კი - კახეთის საღამო წყნარი.

აფხაზეთიდან გიხმობს სიზმრებში,
დატოვებული სახლი და კარი,
მე მელანდება ალაზნის ველი
ქარვაშესხმული ვაზი და ზვარი.

ჩვენ ქართველებად დავბადებულვართ,
ძარღვებში გვიჩქეფს ქართული სისხლი,
თუმცა სხვა მხარეც ვცანით სამშობლოდ,
უცხო მიწა-წყალს ვუთხარით ფიცი.

სამშობლოსაგან დაშორებულნი
სხვაგვარად ვხედავთ აწმყოს და წარსულს,
მაგრამ ქართულად აღვავლენთ ლოცვას
და სიყვარულსაც დავეძებთ ქართულს.

***

უცებ მოვარდა სიყვარული ქარტეხილივით,
მხრებზე მომასხა პოეტობის ცეცხლის მანტია,
შემომაგება ჩემი წილი ბედნიერება,
ახალგაზრდობის ბილიკებზე რაც დამფანტია.
ამიბობოქრა შემოდგომა გაზაფხულივით,
ჭრელი ფოთლები ყვავილებად მიმოაბნია,
ჩამავალი მზის სიდიადე შემომაპარა,
ფერთა პალიტრას მაზიარა და დამაბნია.
გამომშრალ ყელში მაჭარივით ჩამოიწმინდა,
ძარღვებს მოედო მათრობელად და გადამრია,
გაფრენილ ფიქრებს დაუბრუნა სითამამე და
ყურში ლექსებად ჩამჩურჩულა, რაც მინატრია.

ულმოგელი დრო

ვლამობ, გავექცე სიცოცხლის დამლევს,
დაბინდულ წარსულს, გაცრეცილ ლანდებს,
მაგრამ უაზრო რბოლას აყოლილს
შმაგი ტკივილი ფეხდაფეხ დამდევს.
სხვისი ყოფილა, ჩემად რომ ვთვლიდი,
ყოფნის სურვილი, არყოფნის არსი,
და ღამღამობით ვცოდავ სიკვდილთან,
რომ დილით ვიგრძნო სიცოცხლის ფასი.
ულმობლად შთანთქავს დარჩენილ წამებს
დრო - სიყალბის და ნიღბის მსახვრელი.
განგებას ვანდე ჩემი ცხოვრება -
ოცნებისა და გრძნობის ნამსხვრევი.

სულის კივილი

ცის სილურჯეში გაცვდა ფერები,
სულს შეეჩვია ჩუმი წვალება.
და მისხალ-მისხალ აწონილ სათქმელს
ერგო გვემა და გარდაცვალება.
გულისთქმა, ლოცვით ნასაზრდოები,
უთქმელ სიტყვებად გამჩრია ყელში,
უკომპრომისო წყენას ბურთივით
ნატკენი გული უჭირავს ხელში.
საყვედურის და წყრომის გრიგალით
ძარღვებჩამწყდარი გზები გაიყო.
დასძახის ბედი ჩემს ორჭოფობას:
„დათმე წარსული, ვითომ არც იყო“.
უნუგეშობის ცრემლები აწვიმს
მოგუდულ სათქმელს, ჩარჩენილ ტკივილს,
სული უსასო, პატივაყრილი,
უმწეოდ იწყებს განწირულ კივილს.

ფიფქების ალერსი

მხრებზე, ტუჩებზე, თმებზე,
ფიფქები თეთრად გათოვს,
ალერსად დნება თოვლიც,
შენი სუნთქვა რომ ათბობს.
შევენაცვლები ფიქრით
ამ მოარშიყე ფიფქებს,
რომ გიკოცნიან ბაგეს,
თოვლში გათოშილ თითებს.
მოგეალერსო, ვნატრობ,
ფარფატა ფიფქად ვიქცე,
შენთან შეხების სითბომ,
თუნდაც დამადნოს მყისვე.

ამქვეყნიური ჯოჯოხეთი

წყალწაღებული ვეჭიდები ხავსს ძველებურად,
გარდასულმა დღემ ყველა ნერვი ერთად დაჭიმა.
პილატეს მსგავსად, ხელებს იბანს ბნელის მეგზური,
ნეშტადქცეულმა ძველმა ცოდვამ თავზე მაწვიმა.
ვერდამარხული სინანულით სავსე თვალიდან
კვლავ ტკივილების სამხილი მდის, ცრემლი - ლაჩარი.
სჯობდა, დამენყო ეს ცხოვრება, ალბათ თავიდან,
როცა არ იყო ჯერ არც ცეცხლი და არც ნაცარი.
უმწეობისგან უფსკრულისკენ მივექანები
სატანამ კლანჭი ჩამჭიდა და მიცქერს მაცდურად.
ვიდრე სამსჯავროს წარვუდგები უფლის განგებით
ამქვეყნიურმა ჯოჯოხეთმა სული დათრგუნა.

***

რუსთველის გამზირს მისდევდა წყვილი,
ერთურთის თვალთა სხივით გამთბარი.
აპრილს მარტისთვის დრო დაესესხა
და გიჟმაჟობდა თბილისის ქარი.
პირქუში ზეცა სამშობლოს ნატრულთ
მშობლის სიმკაცრით ეგებებოდა,
გული სიშორით ნაიარევი
ირგვლივ ყველა ქვას ეფერებოდა.
ჭირვეულობდა გაზაფხულის მზეც
ღრუბელთ ჭიდილით ოდნავ შემცბარი.
შინ დაბრუნებას ზარზეიმობდა
შორს გაფრენილი ორი მერცხალი.

***

ბედმა მოგვიწყო მწარე გამოცდა,
აღარ მაღელვებს შენი ღიმილი,
ფიქრარეული დავეძებ მიზეზს,
რომ საბოლოო დავსვა წერტილი.
შენკენ სავალი გზა აღარ მიხმობს,
გულს ჩაურაზავს სულყველა კარი,
კერაზე უკვე მინავლებულ ცეცხლს
ალბათ, ბოლომდე ჩააქრობს ქარი.
გარდასულ დღეებს გაჰყვა განცდები,
ჩვენს ერთად ყოფნას გასვლია ყავლი,
ერთ დროს მშფოთვარე და მოგიზგიზე
გრძნობა ჩამქრალა, თვალებს წვავს კვამლი.
სული აივსო გრძნობის ნამსხვრევით,
დრომ შეიწირა განცდები ხარკად,
ის, რაც მიმაჩნდა მარადიულად,
ორივესათვის ქცეულა ბარგად.
გადააბიჯა მოთმენის საზღვარს
ემოციებით დაღლილმა გულმა,
დაასამარა აწ და მარადის,
წარსული აწმყომ ხელმოცარულმა.

ემიგრანტული პოეზია

ლიანა სამადალაშვილი, სომხეთი

ლიანა სამადალაშვილი დაიბადა 1959 წელს ქ. ცხინვალში. 1976 წ. დაამთავრა ცხინვალის №1 საშუალო ქართული სკოლა და სწავლა გააგრძელა ერევნის პედაგოგიურ სასწავლებელში სკოლამდელი აღზრდის სპეციალობაზე.

ამჟამად მუშაობს ჯანდაცვის სამინისტროს ჯანდაცვის სახელმწიფო ინსპექციის საქმეთა მმართველად.

ხელმძღვანელობს სომხეთში ქართულ სათვისტომოსთან არსებულ საკვირაო სკოლას, ამავდროულად, საკვირაო სკოლაში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას, ხელმძღვანელობს ცეკვის წრეს.

ლიანა სამადალაშვილის ლექსები ქართულ და სომხურ ენებზე დაიბეჭდა ეროვნულ უმცირესობათა შემოქმედების ალმანახში.

***

ამ ცისქვეშეთში დასაბამიდან
მთელი სამყარო ცვალებადია.
სიჩუმის წრიალს ხმაური არღვევს,
წყვილად შექმნილა ძუ და ხვადია.

დღის ორმოტრიალს ცვლის წყნარი ღამე,
მზის ბოლო სხივზე ბატონობს მთვარე,
ერთ ბილიკს მისდევს სიკეთე-მტრობა,
გემოდ ქცეულა ტკბილი და მწარე.

მაგრამ ჟამთასვლას ვერარა შეცვლის,
თუმცა ტრიალებს მუდმივად ჩარხი,
ღვთიურმა ძალამ შექმნა ყოველი,
ზეცის განგებით არსებობს ხალხი.

შემოდგომა

დღე გაიცრიცა, მზემ დატოვა ობლად დაისი,
ძაძაჩაცმულმა ზეცამ ცხარე ცრემლი დაღვარა.
ჭადრის ფოთლები ულიმღამო სევდამ მოიცვა,
ქარმა შემოჰკრა შემოდგომის ბუკი-ნაღარა.

სხივჩამქრალ ზეცას გაერიდა ფრინველთა გუნდი,
მთების მწვერვალი შეიმოსა პატარძლის კაბით.
შიშველ ხის ძირას ფართხალებენ ჭრელი ფოთლები,
ქარი დაჰყვება მათ კვალდაკვალ საჭერი ბადით.

ღრუბლის ხვეულმა გადაკაწრა ნაგვემი ზეცა,
მძიმედ სუნთქავენ შიშველი კლდის ცივი ლოდები.
მეც თან მივყვები შემოდგომას ნისლიან გზაზე
და ზამთრის სუსხსაც მასთან ერთად დაველოდები.

დაბრუნდი

ჩემს ღრმა, ნისლიან ფიქრებში,
ხარ სახიფათო ზვავი,
ცხარე ცრემლების მორევის
შორს მოფარფატე ნავი.

ხარ თოვლიანი მწვერვალი
შიშველი, სალი კლდისა
და შორეული ვარსკვლავი
უკიდეგანო ცისა.

შენით იწყება აისი,
შენ ხარ სამყარო მთელი,
გამიუცხოვდი, მე მაინც
შენს გამოჩენას ველი.

***

როცა ბობოქრობს და ღელავს ზღვა
ნაპირზე რიყავს ქვიშას და ქვას.
ბუნების ძალა გვახსენებს თავს,
სტიქიით აპირებს რაღაცის თქმას.

შავი ღრუბლები ფარავენ ცას,
ძალუმად მიმოაქვს ტალღები ქარს,
თითქოს წალეკვას უპირებს ბარს,
ვფიქრობთ, ვუშველოთ საკუთარ თავს.

როს ღელავს, იქნებ გვემდურის ზღვა,
ჩვენ შფოთვის მიზეზს ვაბრალებთ სხვას
და დამნაშავედ არა ვგრძნობთ თავს,
როგორ ვეპყობით ბუნების კარს.

რატომ ვშლით ბუნების პირვანდელ კვალს,
მომავალ თაობას რას ვეტყვით ხვალ,
თუ მის დასაცავად მხარს მივცემთ მხარს,
მოვიხდით ბუნების წინაშე ვალს.

ბუმბულის სამყაროში



მასზე ხშირად დაუწერიათ. საგულდაგულოდ ინახავს იმ გამოცემებსა და სიგელებს, სადაც მისი სახელი და გვარი ფიგურირებს. თავდაუზოგავად შრომობს დასახული მიზნის მისაღწევად. მისი ნამუშევრები საზოგადოებისათვის ნაცნობია. ქარგვა, კერვა და საინტერესო ტექნიკით — ბუმბულების გამოყენებით კომპოზიების შექმნა, მისი ცხოვრების კრედოდ იქცა. სათუთად ინახავს დედის ნამუშევრებს და ცდილობს, წინაპართა მიერ შექმნილი ნაქარგები შთამომავლობას შეუნახოს.

გაგაცნობთ ქალბატონ **გულნარა ხუციშვილს,** რომელმაც თავისი სიძლიერითა და სიმტკიცით, არაერთ წარმატებას მიაღწია. ბრძოლა გამოუცხადა რთულ დაავადებასაც და წარმატებას ჩვეულმა ქალბატონმა, აქაც გაიმარჯვა. სრულიად ახალი ტექნიკით — ბუმბულებით კომპოზიციების შექმნა მხატვრის - ლია ბარნაბიშვილის გამოფენამ შთააგონა. თავადაც დაიწყო სხვადასხვა ფრინველის ბუმბულების შეგროვება. ამ დროს მას მძიმე დიაგნოზს უსვამენ. იწყება მკურნალობა და გამარჯვებისათვის ბრძოლა. იცის, რომ არ უნდა უღალატოს საკუთარ მიზნებსა და ოცნებებს. ეს ასეც ხდება.

ხელოვნების მოყვარული ქალბატონი არ ჩერდება, ბუმბულებით შექმნილი ნამუშევრები ხდება მისი სავიზიტო ბარათი. ქალბატონი გულნარას საცხოვრებელი სახლის საგამოფენო სივრცედ ქცეულ

ოთახში ყველა ნამუშევარს თავისი ისტორია აქვს. ბუმბულებით შექმნილ კომპოზიციებს წინასწარ წარმოსახვაში ქმნის, შემდეგ დაუნაწევრებელ კირიონის, თუთიყუშის, როჭოს, ხოხბის, თუ სხვა ფრინველთა ბუმბულებს ერთმანეთთან წებოთი აკავშირებს. დარჩენილ მასალას ახალი იდეის გაჩენამდე საგულდაგულოდ ინახავს. ასე შეიქმნა ქალბატონი გულნარას ნამუშევრები - „დათოვლილი მთები“, „მდინარის კალაპოტი“, „ჭაობის მცენარეები“, „ტყე“, „მესტია“, „ჩანჩქერი“, შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის შექმნილი „ქაჯეთის ციხე.“...ბუმბულებით შექმნილი პირველი კომპოზიცია თავის მკურნალ ექიმს — ირაკლი გარსევანიშვილს აჩუქა. ქალბატონ გულნარას კომპოზიცია მოუწონეს, რაც შემდეგი ნამუშევრების შექმნის სტიმული გახდა.

გარდა ბუმბულით შექმნილი კომპოზიციებისა, ქალბატონი გულნარა კერავს და ქარგავს. ამბობს, რომ მისი ეს საქმიანობა, გასული საუკუნის უშუქობის, უპურობის, უფულობის 90-იან წლებში, „უცნაური“ შემოსავლის წყაროც კი იყო. მკერავ ქალბატონს შრომის სანაცვლოდ ტკბილეულეულსა თუ შესაკერ ნაჭერს მიართმევდნენ ხოლმე.

ქალბატონმა გულნარამ ახალგაზრდობის წლებზეც მოგვითხრო. სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩააბარა. მამა ადრე გარდაეცვალა. აბიტურიენტობის დროს დედა ავად გაუხდა და ვერ დატოვა. სწავლის გაგრძელება მსუბუქი მრეწველობის სპეციალობით სურდა. რადგან მეორე წელს ჩაბარებისთვის სამუშაო სტაჟი სჭირდებოდა, მამიდამ — სონა გიორგაძემ ვალეში, სამკერვალო სასწავლებელში წაიყვანა. ამ კურსების დამთავრების შემდეგ თუ წითელ დიპლომს აიღებდა, უმაღლესში ერთი გამოცდით ჩააბარებდა. ქალბატონი გულნარა ოთხი ჯგუფიდან ყველაზე კარგად სწავლობდა, რისთვისაც მას ჯილდოც გადასცეს. თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ერთ საგანში ოთხი გამოაყოლეს. წითელი დიპლომი ვერ აიღო, ეს პერიოდი სტაჟშიც არ ჩაუთვალეს. შემდეგ ახალგაზრდა გოგონაზე დეიდამ — როზა ოქრომელიძემ იზრუნა. ასპინძაში საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში კერვის კურსებზე წაიყვანა. პედაგოგმა თინა ცინაძემ კერვაში უფრო დაახელოვნა. ექვსთვიანი კურსების გავლის შემდეგ ქალბატონი გულნარა სამუშაოდ იქვე დარჩა და მეტიც, ექვსკაციანი კერვის ჯგუფის ხელმძღვანელიც გახდა. კერავდა ქალისა და ბავშვის ტანისამოსს. მასზე და მის მოსწავლეებზე „ახალგაზრდა კომუნისტში“, „სოფლის ცხოვრებაში“ ხშირად წერდნენ.

1987 წელს საქართველოს მასშტაბით გამართულ მოსახლეობის სფეროში კომკავშირულ შეჯიბრებაში, პირველი ადგილი აიღო. ამის გამო კომკავშირის ცეკამ ქალბატონი გულნარა იუგოსლავიაში გამგზავრებით დააჯილდოვა და სამოცდაათი პროცენტი დაუფინანსა. მერე აირჩიეს კომკავშირის კომიტეტის პირველადი ორგანიზაციის მდივნად, შემდეგ, პარტორგანიზაციის მდივნად, რაიონის საბჭოს დეპუტატად. სარგებლობდა საბუთით, რომლითაც რაიონის მასშტაბით უფასოდ დადიოდა. მიღებული აქვს ბევრი ჯილდო - სამკერდე ნიშნითა და დიპლომით დაწყებული, 2015-2016 წლებში, შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილ გამოფენაზე მიღებული დიპლომით დამთავრებული.

ქალბატონ გულნარას უმაღლეს სასწავლებელში სწავლის სურვილი ყოველთვის ჰქონდა. სხვა პროფესიის დაუფლების მიზნით, ხაშურში, საექთნო სასწავლებელში ჩააბარა. სწავლის დამთავრების შემდგომ სოფელ ოშორაში ექთნად დაიწყო მუშაობა. ჯერ ლაბორატორიაში რეგისტრატორი იყო, შემდეგ შესახვევი კაბინეტის ექთნად გადაიყვანეს. 1992 წელს შექმნა ოჯახი, ბედი ნოე ხუციშვილს დაუკავშირა. საცხოვრებლად ახალციხეში გადავიდა და ამის გამო, ახალციხის რაიონულ საავადმყოფოში კარდიოლოგიური განყოფილების ექთნად დაიწყო მუშაობა. ამ სფეროშიც კარგი სპეციალისტი დადგა, მაგრამ შვილის გაჩენისა და გაყინული ხელფასების გამო, სამსახურს თავი დაანება. სახლში შვილების აღზრდისა და მოვლის გარდა აქტიურად კერავდა და ქარგავდა.

ქალბატონ გულნარას ხელოვნებისადმი მიდრეკილება ბავშვობაშივე შეამჩნიეს. მეექვსე კლასში ყოფნის დროს, რაიონის მასშტაბით გამართულ ხატვის კონკურსში პირველი ადგილი აიღო. გამარჯვებული ნახატი, თბილისშიც გააგზავნეს. სკოლაში ხატვის პედაგოგის დავალებებს კარგად ასრულებდა. ერთხელ, საშინაო დავალებად მიცემული მამლის დახატვის გამო ბებიას მამალი სახლშიც კი შეაყვანინა. იხსენებს, რომ განსხვავებული ბავშვობა ჰქონდა. მის სოფელს, შოლავერს, ტყე ახლოს ჰქონდა და ბიძაშვილებთან, დეიდაშვილებთან თუ მეგობრებთან ერთად ამ ტყეში სათამაშოდ ხშირად დადიოდა. ბავშვები აშენებდნენ სახლებს, ამზადებდნენ სხვადასხვა კერძს, კრეფდნენ ლამაზ-ლამაზ ყვავილებს. გული წყდება, რომ დღეს ახალგაზრდებს სხვა მისწრაფებები და ინტერესის სფერო აქვთ. ბავშვობაში მცენარეებითაც ხატავდა. ახსოვს, როგორ აკეთებდა

ნეკერჩხლის ფოთლებისაგან ლამაზ მარაოებს. აქტიურად იყო ჩართული სკოლის კედლის გაზეთების გაფორმებაში. პიონერხელმძღვანელთან ერთად გოფრირებული ფერადი ქაღალდებით აღლუმზე გამოსასვლელ ვარდებსა და სხვა ყვავილებს აკეთებდა. დედის ავადმყოფობის გამო მინდორში სამუშაოდ მის მაგივრადაც დადიოდა. ამის გამო მშრომელი ბავშვი კომკავშირის ცეკამ „ქილილა და დამანას“ წიგნით დაასაჩუქრა.

ქარგვისა და კერვის სიყვარული დედისაგან - ნინა ოქრომელიძისგან შთაენერგა. მათ სახლში დივნის, მაგიდის გადასაფარებლები, ბალიშის თუ მუთაქების პირები დედის ნაქარგებით იყო გალამაზებული. ქალბატონი გულნარა დღემდე ინახავს ამ ნამუშევრებს. ბავშვობაში ხელნაკეთი სათამაშოებით პაპა და ბებოც ანებივრებდნენ. პაპა ხის აკვნებს უთლიდა, ბებო ბამბის თოჯინებს უკეთებდა. ოჯახისა და სკოლის გავლენამ ქალბატონ გულნარაზე, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედა.

2015-2016 წლების ფოლკლორის ცენტრის სახელმწიფო ფესტივალზე ბუმბულებით შესრულებულ ნამუშევრებთან ერთად დედის ნაქარგებიც წარადგინა. ფესტივალის ორგანიზატორებმა სთხოვეს, რომ ამ ტექნიკით შესრულებულ ნაქარგებს გაუფრთხილდეს და შთამომავლობას შემოუნახოს. თავად დედის არაერთ ნაქარგს გაუკეთა რესტავრაცია. ზოგი მათგანი მაგიდის, ზოგი კი დივნის გადასაფარებელზე გადაიტანა.

ასე გრძელდება ქალბატონი გულნარას შემოქმედებითი გზა. მუდამ სიახლის ძიებაშია. აპირებს, თიხით ხელნაკეთი თოჯინების დამზადებასაც მიჰყოს ხელი. თოჯინებს თავადვე შემოსავს. გაზაფხულისთვის თბილისში, ფოლკლორის ცენტრში გამოფენის მოსაწყობად ემზადება. იქ ასამდე ნამუშევარი უნდა წარადგინოს, ამიტომ აგროვებს ფრინველების ბუმბულებს და წარმოსახვაში სახავს ახალ იდეებს. გამოფენაზე ორგანიზატორების თხოვნით დედის ნაქარგებსაც წაიღებს. შვილებზე – შოთასა და გიორგიზე, მეუღლეზე, ნათესავებზე, საკუთარ შემოქმედებაზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი, არ ჩერდება. მის სახლში საგამოფენო სივრცედ ქცეულ ოთახს მატებს ახალ ნახატებს, რომლებიც არანაირი საღებავით, არანაირი დამუშავებით, მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი ბუმბულებით, ფერთა ჰარმონიული გამითა და განსხვავებული ხედვით იქმნება.

ლია ზაზაშვილი

ინტერვიუ

ბესო ადეიშვილი

დაიბადა 1986 წელს ტყიბულში, განათლება მიიღო თბილისში, მოსკოვსა და გერმანიაში.

ამჟამად მუშაობს ქალაქ შტუტგარტის ავტოდიზაინის სტუდიაში. ის ერთ-ერთი წარმატებულ ქართველთაგანია, რომელმაც ცხოვრების გზა დამოუკიდებლად გაიკვლია და დღეს გერმანიაში თავისი პროფესიით მოღვაწეობს.

„ცხოვრებაში ერთხელ მაინც სამშობლოს საზღვრებს უნდა გასცდე“

ჟურნალი „არავი“ ცდილობს, სისტემატურად მიაწოდოს მკითხველს ინფორმაცია უცხოეთში მოღვაწე წარმატებულ ახალგაზრდებზე - ვფიქრობთ, მათი გამოცდილება კარგი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდებისათვის. მათთვის, ვისაც წინ ცხოვრების რთული ბილიკები ელოდება, ვიდრე საკუთარ გზას მოძებნის და საქვეყნო საქმეების კეთებას შეძლებს.

ბესოს წარმატებების შესახებ ჯერ სოციალური ქსელიდან შევიტყვე - ჩემმა ახლობელმა სტუდენტმა, რომელიც ასევე გერმანიაში სწავლობს, სიამაყით გამოაქვეყნა ამონარიდი გერმანული პრესიდან ბესოს წარმატების შესახებ. დაინტერესებულმა და გახარებულმა იმით, რომ ქართველები უცხოეთში საქართველოს იმიჯს ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნიან და ამით უამრავი უარყოფითი ფაქტის საპირწონედ თავიანთ შრომისმოყვარეობას და ნიჭიერებას დებენ, მოვიკვლიე მასალები და თავად ბესოსაც მივწერე წერილი. საოცრად გულისხმიერი და პირიანი კაცი გამოდგა - მაშინვე გამომეხმაურა და მიუხედავად დატვირთული ყოველდღიურობისა, ჩვენი ინტერვიუ შედგა. მანამდე

კი გავეცანი საინტერესო მასალებს მისი წარმატების შესახებ, რომელიც გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 2015 წლის აპრილის ნომერში. ამ ვრცელ ინტერვიუში ბესოს შესახებ თითქმის ყველაფერია ნათქვამი. ამან კიდევ უფრო გაამყარა ჩემი აზრი, რომ ნამდვილად ღირდა, გამეცნო ბესო ადეიშვილი ჟურნალ „არავის“ მკითხველისათვის.

- მოგვითხრეთ თქვენ შესახებ. ადეიშვილები მესხეთშიც ცხოვრობენ, სადაური ბრძანდებით?

- 1986 წელს დავიბადე ტყიბულში, გავიზარდე თბილისში. 14-დან 20 წლამდე ვცხოვრობდი მოსკოვში, ოჯახთან ერთად. 21 წლის ასაკში, 2008 წელს გავაგზავნე საბუთები გერმანიაში, ქალაქ კილის ხელოვნებათა აკადემიაში, მივიღე მოწვევა და გერმანიაში ჩამოვედი სასწავლებლად. ბაბუაჩემი, მამაჩემის მამა, სოფელ ვანში დაიბადა, მამა და მე - ტყიბულში. სამი თვის ვიყავი, ჩემი მშობლები თბილისში საცხოვრებლად რომ გადავიდნენ. დედაჩემი თბილისელი, პაპაჩემი კი მარტყოფელია. ასე, რომ მესხეთთან დღემდე შეხება არ მქონია.

- შეიქმნა ასეთი რეალობა: თუ უცხოეთში გაქვს განათლება მიღებული, ესე იგი წარმატებული ხარ, მომავალი გარანტირებული გაქვს, თქვენი წარმატება უცხოეთში სწავლამ განაპირობა?

- ასე ვერ ვიტყოდი, ვფიქრობ, ჩემი გარკვეული მიღწევები, პირველ რიგში, ჩემი დამსახურებაა და მერე უცხოეთში მიღებული განათლების თუ გამოცდილების. თუმცა, ამანაც შეუწყო ხელი ჩემს დამოუკიდებლობას. მეშვიდე კლასამდე თბილისში ვსწავლობდი, შემდეგ - მოსკოვში, სადაც სწავლისადმი განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ, ვიდრე საქართველოში: იქ უფრო მეტი ყურადღება დისკუსიასა და წაკითხულის ანალიზს ეთმობოდა. ასევე უფრო მკაცრად ეკიდებოდნენ დისციპლინას და სპორტისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებას. უმაღლეს სასწავლებელშიც იქ ჩავირიცხე, მაგრამ მესამე კურსიდან იმ ცნობილი ამბების გამო, საქართველოში მოგვიწია დაბრუნება.

- რატომ გერმანია? რა ნიშნით აირჩიეთ ქვეყანა, სადაც განათლება გინდოდათ მიგეღოთ?

- მამის სურვილი იყო, რომ გერმანიაში მესწავლა, მას მეგობარი ჰყავს კილში და გვქონდა ინფორმაცია სამხატვრო აკადემიის შესახებ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა გერმანიაში. ჩემი პორტფოლიო მოეწონათ და მიმიწვიეს. ჩვენი თანამემამულეების და არა მარტო მათი, ინტერესი გერმანიაში სწავლის მიმართ იმანაც განაპირობა,

რომ გერმანიაში სწავლა უფასოა. ეს მეტ შესაძლებლობას აძლევს უცხოელ სტუდენტებს. უმაღლესი ტექნიკური აღჭურვილობა, პროფესიონალი კადრები, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მუშაობის შერწყმა - ესაა გერმანული საგანმანათლებლო სისტემის ძლიერი მხარე.

- როგორ აირჩიეთ პროფესია?

- კილის აკადემიაში მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ ერთი წელი ვსწავლობდი ხელოვნებას. აკადემიაში სწავლის დროს სხვადასხვა გამოფენებზე გავეცანი სამრეწველო დიზაინს, რომელმაც ძალიან დამაინტერესა. დავინახე, რომ საკმაოდ სერიოზული, მრავალფეროვანი და პრესტიჟული პროფესიაა. ძალიან მომეწონა იდეა, რომ შემეძლო შემექმნა რაიმე სასარგებლო, კომფორტული და ლამაზი ნივთი, რომელიც რომელიმე პრობლემას მოაგვარებდა, მერე გაიყიდებოდა და ვინმეს გულს გაუხარებდა. გარდა ამისა, ამ პროფესიას შემოქმედებითი და ტექნიკური აზროვნება სჭირდება. ასე, რომ გიწევს ამ კუთხითაც განვითარდე, რაც, გარკვეულწილად, მრავალმხრივ აზროვნებას გიყალიბებს, ეს კი ძალიან სასარგებლოა. მაშინ მივხვდი, რომ პროფესიის შეცვლა მინდოდა და ავირჩიე უფრო ტექნიკური სფერო, კერძოდ, ტექნიკის დიზაინი. ხელახლა მომიხდა მისაღები გამოცდების ჩაბარება, რათა სასწავლო ადგილი მიმეღო. 2010 წელს მაგდებურგის უმაღლეს სკოლაში წარმატებით გავიარე გამოცდები და ოთხი წლის მერე წარჩინებით დავამთავრე ტექნიკის დიზაინის ფაკულტეტი ბაკალავრის ხარისხით.

ბოლო ერთი წელია, ვმუშაობ ჩემი პროფესიით ქალაქ შტუტგარტის ავტოდიზაინის სტუდიაში. ეს სტუდია ისეთი ავტომობილების დიზაინზე მუშაობს, როგორიცაა პორშე, სმარტი და სხვა ცნობილი ავტომარკები.

- რამდენად განსხვავებულია გერმანიაში შრომისადმი დამოკიდებულება საქართველოსთან შედარებით?

- საქართველოში არ მიმუშავია, აქედან გამომდინარე, უფრო იმას ვიტყვი, გერმანიაში რა მიდგომაა. გერმანელებს შრომისადმი სერიოზული, კომპეტენტური და ხარისხიანი დამოკიდებულება ახასიათებთ, ამავდროულად, კონცენტრაცია და დეტალებზე მუშაობა. აღფრთოვანებას იწვევს ხოლმე ჩემში გერმანელების პერფექციონიზმი, ანუ იდეალურობისკენ სწრაფვა, დისციპლინა და შრომისუნარიანობა. არ ჩერდებიან ერთ ადგილზე და ცდილობენ, გაიღრმავონ ცოდნა და

უნარები. ასევე, ახასიათებთ ღრმა ანალიზი და ჯგუფური, ინტერდისციპლინური მუშაობა.

— უცხოეთში ცხოვრება, უცხო გარემო, განსხვავებული მენტალიტეტი! ალბათ გექნებათ ამაზე სათქმელი?

- ჩემთვის არც რუსეთში ცხოვრება იყო ადვილი და არც გერმანიაში არ არის მარტივი. უსიამოვნოა, როცა ზოგჯერ შენი წარმომავლობის გამო სწორად არ გაფასებენ. მიუხედავად იმისა, რომ „იქაურ ქუდს ვიხურავ“, სადაც ვცხოვრობ – ჩემი იდენტურობის დაკარგვის გარეშე – მაინც უცხოელად ვრჩები. ჩემი სახლი საქართველოა, სადაც ყველგან ვგრძნობ, რომ სახლში ვარ. ეს არაა მარტო მენტალიტეტის სხვაობის მიზეზი. მშობლიურ მიწა-წყალს მაინც სხვა ენერგეტიკა და მიზიდულობა აქვს.

მეორე მხრივ, რუსეთსა და გერმანიაში ცხოვრებამ ბევრი სხვადასხვა გამოცდილება შემძინა, ისეთი, რასაც საქართველოში ვერ შევიძენდი. **ვფიქრობ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც სამშობლოს საზღვრებს უნდა გასცდე** და ალტერნატიული, სხვანაირი ცხოვრება ნახო, საკუთარი თავი გამოცადო, სხვა კულტურის და აზროვნების ხალხს გაეცნო, სხვაგვარი ატმოსფერო შეიგრძნო, სხვისგან რამე ისწავლო. რაც უფრო მრავალფეროვანი გამოცდილება გაქვს, პიროვნულად გაზრდის მით უფრო მეტი საშუალება გეძლევა. შეგიძლია, შეადარო შენი ხალხისა და სხვა ერის მენტალიტეტი, აზროვნება, კულტურა და ფასეულობები.

- რითი იამაყებდით?

- სიამაყის გრძნობა ჩემთვის დამახასიათებელი არ არის, ვიტყოდი, რომ კმაყოფილი ვარ, მიხარია ის, რომ ცხოვრებაში არაერთი სიძნელე გადავლახე, შეცდომებზე სწავლა შემიძლია და ვფიქრობ, რომ საღად ვაზროვნებ.

ყველაზე მეტად კი კმაყოფილი იმით ვარ, რომ ჩემი თავი მე თვითონ განვავითარე და ჩამოვაყალიბე. ვერ ვიტყვი, რომ ნიჭიერი ან საინტერესო ბავშვი და მოზარდი ვიყავი, პირიქით, სხვებისგან არაფრით გამოვირჩეოდი. ჩემში არაერთი თვისების შეცვლა და გაუმჯობესება მომიწია. შეიძლება საკუთარი გარეგნობა ვერ შეიცვალო, სამაგიეროდ, შენი თვისებები: აზროვნება, ნებისყოფა, სიძლიერე, თუ წარმატებები შენს ხელშია. ნიჭი არაა ყველაფერი, ბევრი რამ მოტივაციაზე, მიზანდასახულობაზე, სტრატეგიასა და შრომაზეა დამოკიდებული.

ერთ-ერთი ჩემი უპირველესი მიზანია, საქართველოს განვითარებაში საკუთარი წვლილი შევიტანო, ეს თუ გამომივიდა, აი, მაშინ ძალიან კმაყოფილი ვიქნები.

- რას ურჩევდით ახალგაზრდებს?

- ძნელია, რამე უნივერსალური რჩევის მიცემა, ვიტყოდი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ფიქრი, კითხვა, დაკვირვება და კონცენტრაციაა. ის, რაც ადამიანს არ უნდა გეზარებოდეს, რადგან ეს აზროვნების საწინდარია. რაც უფრო დალაგებულად და ადეკვატურად აზროვნებ, მით უფრო ვითარდები, იყალიბებ ზნეობრივ ფასეულობებს და პრინციპებს, ცხოვრობ გააზრებულად, მოქმედებ გათვიცნობიერებულად და საკუთარ ცხოვრებას უკეთესად აკონტროლებ. ცნობილ უდიდეს ფრანგ ფილოსოფოსს რენე დეკარტეს აქვს ძალიან კარგად ნათქვამი: — **„ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“.** ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, კრეატიული, მრავალმხრივი აზროვნების განვითარება. კრეატიულობა უდიდესი ძალაა, რომლის დასტური ბუნების და ადამიანის შემოქმედების მრავალფეროვნებაა. იდეებზე დგას, როგორც კაცობრიობის, ასევე სახელმწიფოს და ადამიანის პროგრესი, თუ არსებობა. რაც უფრო განვითარებული ხარ ამ მხრივ, მით უფრო მეტი იდეები გექნება პრობლემების გადაჭრის დროს, შეგეძლება სხვადასხვა პერსპექტივიდან დააკვირდე საგნებს თუ მოვლენებს და თავადაც უფრო საინტერესო, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება იყო.

ძალიან სასარგებლოა სპორტი, არა მარტო ჯამრთელობისთვის, არამედ მენტალური სიძლიერისთვისაც. სპორტისთვის გიწევს სიზარმაცის დაძლევა, ძნელი და მტკივნეული ვარჯიშების შესრულება, რაც პირდაპირ აისახება ბრძოლისუნარიანობაზე. ცხოვრება კი სავსეა სიძნელეებით და გამოწვევებით, რომლის დასაძლევად არა მარტო შინაგანი სიძლიერე, არამედ ნებისყოფა და თვითმოტივაციის უნარი გეხმარება.

კარგია, თუ არ კმაყოფილდები მინიმალურით და ხარ მაქსიმალისტი. შეცდომაა, რამდენიმე წაკითხული წიგნის და ერთი წარმატების შემდეგ ფიქრობდე, რომ უკვე ძალიან ჭკვიანი და წარმატებული ხარ. ჩვენ, ქართველებს, სამწუხაროდ, ადეკვატური თვითშეფასების პრობლემა გვაქვს. სიამაყე და საკუთარი თავით კმაყოფილება ძალიან დამახასიათებელია ჩვენთვის. ჯანსაღი თვითკრიტიკა უფრო ბევრის მომტანია განვითარებისთვის, ვიდრე მუდმივი თვითკმაყოფილება.

ერთი რამ მინდა კიდევ გითხრათ: ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც გერმანელებში დავინახე, ეს მათი თითქმის ყველაფრისადმი საფუძვლიანი დამოკიდებულებაა. რამე ინფორმაციას ბევრჯერ გადაამოწმებენ, აწონ-დაწონიან, საქმეს კარგად გეგმავენ, ბოლომდე იხარჯებიან, რომ საუკეთესო ხარისხი მიიღონ. ძალიან ბევრ რამეს აქცევენ ყურადღებას, აანალიზებენ, ითვალისწინებენ და აფასებენ.

მახსოვს, ერთხელ, ბავშვობაში მამაჩემს სკოლიდან სახლში მოვყავდი, წამით შეჩერდა და დაბლა ასფალტში ამოსულ მცენარესყვავილს დააკვირდა. „ნახე შვილო, ამ ნაზმა მცენარემ ასფალტი გახეთქა, მზე რომ ენახა! აი, რა არის ბრძოლისუნარიანობაო!“. მე მაშინ რას გავიგებდი, უფრო უცნაურად მომეჩვენა, რომ საერთოდ ყურადღება მიაქცია ამას. დროთა განმავლობაში მივხვდი, რაოდენ მნიშვნელოვანია, გქონდეს დანახვის უნარი, განსაკუთრებით კი იმისა, რაც არც თუ ისე ადვილად ჩანს.

რაც უფრო მეტ კარგს და ღირებულს დაინახავ, მით უფრო აივსები, ისწავლი, მიბაძავ, გამოიყენებ, როგორც მაგალითს, განვითარდები, გაუზიარებ სხვებს და ისწავლი დაფასებას. ფასეულობების ჩამოყალიბება კი დანახვიდანაც იწყება. არ არის აუცილებელი ამისათვის შორს წასვლა, ჩვენ გარშემო უამრავი რამ არის, რაც გვიბიძგებს მომავალი წარმატებებისაკენ. შესანიშნავია, როცა შეგიძლია კარგი, ხარისხიანი ფილმის თუ კომპოზიციის აღქმა... სწორი და კეთილი მოქმედების შემჩნევა და დაფასება... შესაბამისი მომენტის დაჭერა... საინტერესო, კეთილი და ჭკვიანი ადამიანის აღმოჩენა... და ა.შ.

გისურვებთ, ახალგაზრდებო, ბევრი ფასეული, მნიშვნელოვანი და საინტერესო რამ აღმოაჩინოთ, შეამჩნიოთ, შეისწავლოთ და აღიქვათ ადამიანებში, თქვენს ცხოვრებასა თუ სამყაროში.

მადლობა ინტერვიუსათვის, გისურვებთ თქვენი ოცნებების განხორციელებას პირადად თქვენი და ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ინტერვიუერი ლალი ბერიძე

ზელიმხან მაღრაძე

მწყდართა გორა და მჭევარის მთა

სოფელ ნაქალაქევს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ასე ხუთასიოდე მეტრის სიმაღლის მთა დაჰყურებს, ქვა-ლოდიანი და გადახრიოკებული, თუმცა ამ ქვა-ლოდიან მთაზე საძოვარიც ბევრია. ეს მიდამო ადრე, ძალიან ადრე, ერთი დიდი და ღრმა ტბა იყო, ხოლო ამ ტბაში ეს მთა - კუნძული.

იმ უხსოვარ დროში აქაურობა გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული და შესაშურ ბუნებასთან ერთად, შესაშური ჰავაც ყოფილა. ამის დასტურია გარეშემო ტერასებად ქცეული მთის კალთები და საკმაოდ მჭიდრო დასახლება, რომლისგანაც მრავალი ნასოფლარებიღაა დარჩენილი. ეს მიდამო ვინ აღარ გადაწვა და ააწიოკა. სულ ბოლოს ოსმალებმა მოაოხრეს აქაურობა და შემოიმძღვანეს ყველაზე დაუნდობელი მტერი ამ მიდამოსი - ცხვარი; რის გამოც ამ გორებზე ტყემ ველარ გაიხარა; ამიტომ ეს გორა ურცხვივით შიშველია და გარშემო სოფლები თავისებურ ოაზისს წარმოადგენენ.

ერთადერთი ტბა დარჩა ამ ქვაბულში - წუნდის ტბა; საკმაოდ ღრმა და არც თუ ისე დიდი, მისი ფსკერი ხავსიანია და ამიტომ შორიდან მწვანე ფერისაა და ამ ფონზე, შორიდან რომ უყურებ, როგორც სარკეზე, ისე აირეკლება ყველაფერი.

ამ გორიდან, რომელსაც ნაქალაქეველები მოსე პაპას გორას ეძახიან, ხოლო უფრო ადრე ბასილაანთ გორას ეძახდნენ, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს ეს მიდამო და რამდენიმე სოფელსაც სწვდება ადამიანის თვალი: თმოგვის ციხის პირდაპირ სოფელი მარნისთავია, თურქებმა მერე მარგასტანი რომ დაარქვეს, ხოლო, როცა ისინი გაასახლეს, აგარიდან ჩამოსახლებულმა ხალხმა მას თმოგვი უწოდა. წუნდის ტბის თავზე კი იყო ქალაქი წუნდა, ყველაზე გავლენიანი, ძლიერი და ხანდაზმული ქალაქთა შორის, მასზე უფროსი ქალაქი საქართველოს ამჟამად არ გააჩნია. ის რომ დაეცა, მის ადგილზე გაშენდა სოფელი ნაქალაქევი. მტკვრის დინებას თუ მივყვებით, ნასოფლარი ჯოლდაა, მერე ფია და გელსუნდა. უფრო ქვემოთ, მტკვრისა და ფარავნისწყლის შესართავთან - ამაყი და ტანწერწეტა ხერთვისი; ხოლო ჯავახეთის ზეგანის სანაპიროზე, ამ მთის

ჩრდილო-აღმოსავლეთით ჯერ კვარშაა, ხოლო შემდეგ ქილდა. წუნდა-ნაქალაქევს აღმოსავლეთიდან დახვანდა დაჰყურებს, სამხრეთიდან კი - კუმურდო. აი, ასეთი ხედი გადაეშლება ამ მთაზე ასულ ადამიანს, ეს მიდამო მდიდარია გამოქვაბულებით, რომლებიც გარშემო არტყია ამ ქვაბულს და ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს მხარე ადვილად დასათმობი არ ყოფილა. ამ მიწის შვილობა არც ისე ადვილი უნდა ყოფილიყო. ამ გარემოში გაზრდილი ხალხი ძლიერი და შეუპოვარი იყო, სულითაც უდრეკნი იყვნენ; თვითონ გარემო ზრდიდა ვაჟკაცებად. ჩვენც, აქ გაზრდილი ბიჭები, სხვანაირ პასუხისმგებლობას ვგრძნობდით ამ ციხე-სიმაგრეების შემყურენი და ქვეშეცნეულად, უხილავად გვაწვა პატარა ბავშვურ მხრებზე მთელი სიმძიმე ამ მიწის შვილობისა. აუწერელი მოწიწება გვქონდა აქაურობის, განსაკუთრებით, ეკლესია-მონასტრების მიმართ. აქ დაირწა აკვანი ჩვენი ჭაბუკობისა. ამ მთებმა და კლდეებმა, რომლებზეც მრავალი ციხე-ეკლესიაა აგებული, ჩვენ კაცებად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. ამ გორაზე ვაძოვებდით კრავებს და მისი ყოველი ბილიკი და ლოდი დღესაც ზედმიწევნით მახსოვს. ჩვენ, ბავშვებს, სულ ცოტა, დღეში ორ-სამჯერ მაინც გვიხდებოდა ასვლა-ჩამოსვლა და ამით გარკვეულწილად ვკაჟდებოდით კიდეც.

ამ გორის წვერო ერთი პატარა მოედანია, სამხრეთით დახრილი სიბრტყეა, სადაც აშკარად ეტყობა, რომ ოდესღაც რაღაცა ნაგებობები ყოფილა, ხოლო ამ ზეგანს გალავანი ერტყა. ახლა ამ გორის წვერზე ვერც ჩრდილოეთის მხარეს და ვერც ცენტრში ისეთ ქვას, საშენად რომ გამოდგეს, ძალიანაც რომ გინდოდეს, ვეღარ ნახავთ, რადგან ჩვენ, იქ ასული ონავრები მიწიდან ვგლეჯდით ამ ქვებს და ვეზიდებოდით ჩრდილოეთის კალთაზე, რომელიც სრულიად სუფთაა. დავაწყობდით ყველა თავის „ფალავან“ ქვას, მერე ერთ დაძახილზე ვკრავდით ხელს და იყო კიჟინა და ქომაგი, თუ ვისი ქვა გაასწრებდა. ზოგჯერ ისე გავერთობოდით, რომ კრავები გვავიწყდებოდა და მერე მათ ძებნაში გადიოდა მთელი დარჩენილი დრო.

ასე უნებლიედ გავძარცვეთ და წავახდინეთ ჩვენ, პატარა ონავრებმა, ამ მთის და მიდამოს ისტორია და არავინ იყო ჭკუის დამრიგებელი, რომ აეხსნა, თუ რა უბედურებას ჩავდიოდით. მაშინ არც პატრონი და გულისშემატკივარი იყო ვინმე და არც ვინ იდგა სადარაჯოზე ამ, ყველასგან მივიწყებული მხარის ისტორიის სადარაჯოზე.

ამ მთის წვეროდან აღმოსავლეთით თუ დაუყვებით, ორასიოდე მეტრის დაშორებით კალოა და ამ კალოს კალთაზე, დიდი, ოცი-ოცდაათტონიანი ქვებისგან ახორგილი ლოდყრილია, კალოდან არც ისე ძნელი ასასვლელი, ხოლო ლოდებს შორის გასაძრომ-გამოსაძრომი სივრცე იქმნება და ჩვენი „შტაბიც“ იქ იყო. როგორც ეტყობა, აქ ადრე ვიღაცის თავშესაფარიც უნდა ყოფილიყო ეს ქვაყრილი, რადგან იქ, ქვემოთ, თიხის ჭურჭლის ნატეხები გვაქვს ნაპოვნი და ამოტანილი. სკოლაშიც მივიტანეთ, მაგრამ რადგან ინტერესი არ გამოამჟღავნეს ჩვენი აღმოჩენის მიმართ, აღარც ჩვენ მიგვიქცევია ყურადღება. აქ სიცხეს და ავდარს ვაფარებდით თავს, ხოლო ომობანას თამაში, ჩვენი საყვარელი თამაში იყო და ეს კლდე-მიდამო ხომ შეუდარებელია მიდამოა საამისოდ, ამიტომ თავდავიწყებამდე ვთამაშობდით „გმირობანას“ და რადგან ეს თამაში ასე გვიტაცებდა, სულ იქით მივეშურებოდით ხოლმე.

ერთხელაც, როცა კრავები მოვიკითხეთ და „შტაბიდან“ ამოვძვერით, კვარშისკენ მიმავალი ბერიკაცი ვნახეთ გზაზე სამი ვირით. ორს კალათები ეკიდა კეხზე, ხოლო მესამეს ჯვალი მოჰქცეოდა გვერდზე და მოხუცი ამაოდ ცდილობდა მის გასწორებას. იგი სასოწარკვეთილებამდე იყო მისული და რაღაცას ემართლებოდა თავის გაჩენის დღეს. ჩვენს დანახვაზე გაიხარა ბერიკაცმა და როცა ჩვენი დახმარებით ჯვალი კარგად მოკოჭა და ჯოხი მოიმარჯვა რომ წასულიყო, აღმოჩნდა, რომ კეხიანი ვირები უკვე საკმაოდ წინ წასულიყვნენ და ახლა მათი გაჩერება მთხოვა მოხუცმა, მუდარით:

- მე ისე ჩქარა ვერ ვივლი, შვილო, რომ დავეწიო, შენი გაჩენის მადლმა, გაიქეცი და ვირები დააკავე, სანამ მე მოვალ.

მე მარდად მოვკურცხლე და უკვე ქილდის ვაკის მისადგომებთან, დაღმართზე დავეწიე და გავაჩერე ვირები. მაგრამ დავინახე, რომ მოხუცი, როგორც კი მოსახვევს გამოსცდა, ვირს სახრე გადაჰკრა, წინ გამოაგდო, ხოლო თვითონ იქვე ხევის თავზე, ორად გაპობილ ლოდს მიაშურა და კლდის ძირში მუხლმოყრით კარგა ხანს მოსთქვამდა ხმით. მე ვიფიქრე, რომ რაღაცა სალოცავი თუ იყო იქ და მოვემზადე იმისთვის, რომ ბიჭებს რაღაცა ახალს ვაჩვენებდი მეორე დღეს. მოხუცი დაღმართზე ჩამოდიოდა, მერე იქვე, გზის პირას ჩაიკეცა და უძრავად დარჩა. მთელი ძალით გავიქეცი მისკენ. წვერულვაშზე ცრემლი ჩამოსდენოდა, მე არასდროს მენახა მტირალი ბერიკაცი და ამან შემძრა. შინდის ჯოხი გამომიწოდა, რომ გამეთრია და ამდგარიყო. გზამდე მშვიდობიანად ჩამოვიყვანე, მერე წელში

გაიმართა და ვისი ხარო, - მკითხა; რომ გაიგო, ვისი შვილიშვილიც ვიყავი, დატკბა, მაგრამ ისიც შეამჩნია, რომ მე არაფერი მაინტერესებდა ერთის გარდა - რატომ გოდებდა ბერიკაცი. მხარზე ხელი დამადო და საკმაოდ ღონიერი ხელებით თავისგან ზურგით შემატრიალა და წინ წამიმძღვანა, ალბათ იმიტომ, რომ ცრემლი არ დამენახა მის თვალზე.

- იმ ლოდს ვიყავით ამოფარებული მე და ჩემი ტყუპისცალი ძმა, როცა ოთხი შეიარაღებული თურქი წაგვადგა თავს, - დაიწყო თხრობა ბერიკაცმა, - როგორც ეტყობა, მათ ადრევე შეგვამჩნიეს და ისიც დაინახეს, თუ სად დავიმალეთ. ორი ზემოდან წამოგვადგა თავს, ერთი ქვემოთ, ურმის გზაზე დარჩა, ხოლო მეოთხე, ყველაზე თამამი და ვერაგი, პირდაპირ ზედ მოგვადგა ცხენით. მაშინ თოთხმეტი წლისანი ვიყავით. ათი წლისანი დავობლდით, მამა დაგვეღუპა და იქიდან მოყოლებული მოჯამაგირედ ვუდექით დედის ბიძას. აქ, ქილდაში ცხვარ-ძროხას ვუვლიდით. შიშიანობა ჯერ არ იყო, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვერიდებოდით, თურქები ვერაგები იყვნენ, თუ გრძნობდნენ, რომ არ მოეკითხებოდათ ვინმეს სიკვდილი, არც დაფიქრდებოდნენ, ისე მოკლავდნენ ქართველ კაცს, მერე სისხლს სისხლი მოსდევდა და ამიტომ ვერიდებოდით ერთმანეთს...

ახლა კი თოფმომარჯვებული თურქების წინ მუხლებზე მდგარი, ვეხვეწებოდი, რომ გავეშვით,

- ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია, გაგვიშვით, რას გვერჩით - მეთქი, – აქ ცოტახანს იყუჩა მოხუცმა, მე ავხედე, წვერ-ულვაშთან ბზიკი ასძრომოდა, ისე, ერთი ხელისაქნევით მოიშორა და განაგრძო:

- ჩემი ძმა, კერპი და გაუტეხელი იყო, ლოდის ნატეხს ჰგავდა, არასოდეს იტირებდა წაქცეული, არც არას ითხოვდა და მით უმეტეს, თუ რაიმე არ მოსწონდა, ვერავინ გააკეთებინებდა. ჩვენ შორის უფროს ძმად ის ითვლებოდა და მეც მისი ჭკუით დავდიოდი მუდამ. ახლაც ქეჩოში მწვდა და დამაყენა ფეხზე, თვალები დამიბრიალა, ბრაზი და ბოღმა ახრჩობდა ჩემს ძმას. კბილებში გამოსცრა:

- ასე იდექი და იყუჩე, თავი არ დახარო, იდექი და უყურე, თუ არ შეგიძლია ყურება, თავი მაღლა ასწიე და ისე იდექი, მერე რაც საქმნელია, ის იქნება.

- შენი ბრალი ის არის, ამ მიწაზე რომ დადიხარ და გურჯი რომ ხარ. თუ არა, აბა, თქვენ სხვა რა უნდა დაგვიშაოთ, ან რა უნდა გემართოთ, ჯერ ცხვირმოუხოცავ ბავშვებს, - აგდებით მომმართა შავწვერიანმა თურქმა, რომელიც მოსვლის წუთიდან სულ იღიმებოდა.

- ეგ ჩვენი ბრალი არ არის, მაგაში ჩვენი პაპები არიან დამნაშავენი. თქვენ რომ დადიხართ ამ მიწაზე, - მტკიცედ მიმართა ჩემმა ძმამ და ფეხი წინ წადგა. ორჯერ იქუხა თოფმა. მე ტკივილი ვიგრძენი მკერდის არეში, მაგრამ არ დავცემულვარ; ჩემი ძმა გაბრიელი მოცელილივით დაეცა მიწაზე, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მეც მესროლეს, მაგრამ რატომ ვიდექი ფეხზე, ვერ გამეგო. ის თურქი კი სახეში მიყურებდა და იღიმოდა. ერთბაშად დავეცი მუხლებზე და ჩემი ძმის უსულო გვამი პირაღმა გადმოვატრიალე, ახლა სიცოცხლეს აღარ ვთხოვდი, იმას ვემუდარებოდი, მეც მომკალით-მეთქი, მაგრამ ის კვლავ დამცინავი ღიმილით მიღიმოდა და არას მეუბნებოდა. დანარჩენი სამი უკვე გზისპირას ცხენზე ამხედრებულნი უცდიდნენ, თუ რას იზამდა შავწვეროსანი.

- იცოცხლეო, - მითხრა ბოლოს, - იცოცხლე და შენი დარჩენილი სიცოცხლე ჯოჯოხეთად შეგერგოს, თუ კაცად იქეცი ოდესმე, სიკვდილზე უარესი უნდა იყოს შენი სიცოცხლე, თუ არადა, გინდ გიცოცხლია და გინდ არაო, - მერე ჩვენი ცხვრები და ხარები გაირეკეს და წავიდნენ. მე დავრჩი ჩემი ძმის გვამთან; გაოგნებული და თავზარდაცემული, მერე ქილდელი მწყემსები გამოჩნდნენ და ჩემი ძმის გვამი გადავასვენეთ სოფელში.

- მერე, შენ რა ჰქენი, პაპავ, სამაგიერო არ გადაუხადე იმ თურქებს, რომ გაიზარდე?! - ორივე ხელში ჩავაფრინდი მოხუცს და ისე შევძახე.

- კი შვილო, ორმაგად ვაზღვევინე ჩემი ძმის სისხლი, მაგრამ წყურვილი მაინც ვერ დავიოკე. ადვილი ყოფილა კაცის მოკვლა, ოღონდ, მერე ყოფილა ძნელი სიცოცხლე, მე ხომ ძმის მაგივრადაც უნდა მეცოცხლა და მეცხოვრა, ამიტომ ჩემი წილი მოსაკლავი ხომ მოვკალი და ჩემი ძმის საწილოც ვხოცე და ვჟლიტე, ოღონდ ჩემი ძმასავით მტკიცე და გაუტეხელი, მასავით ლოდის ნატეხად ვერ ვიქეცი, დავრჩი ასე მშიშარა თოთხმეტი წლის ბიჭად, და აი, ახლაც ამ გზაზე რომ მომიწია მარტოკაცს გავლა, ისევ თითქოს ვიღაცას ვემალებოდი იმ ლოდთან. კაცი რომ მოკლა, ზრდასრული ვაჟკაცი უნდა იყო, ჩამოყალიბებული, იმედიც უნდა გქონდეს ვიღაცის. საწყალმა დედაჩემმა ისე დალია სული, სულ იმას მეხვეწებოდა, შური არ მეძია, რომ მეც არ მოვეკალი ვინმეს, მაგრამ არც გვარში და არც სოფლად მხარი არავინ ამიბა, არც სამართალი ეძება, არც მთავრობას მიმართა ვინმემ; კაცი მოკლეს, წიწილა ხომ არ იყო, - აქ გაჩუმდა მოხუცი, შემოტრიალდა, ისევ იმ ლოდს გახედა, ჯიბიდან რაღაცა ჩვარი ამოიღო, ცხვირსახოცად რომ ხმარობდა, ცრემლი და ცხვირი

მოიხოცა და ახლა სულ სხვა ხმით განაგრძო, თითქოს ახლა სხვა კაცად იქცა, მხრებშიც გასწორდა.

- აი იქ, წყარო რომ არის, - და ხელი მოსე პაპას გორიდან აღ-მოსავლეთით გაიშვირა, - ექვსი წლის შემდეგ დღისით ნამუშევარ ხარებს ღამე წყაროს თავზე ვაძოვებდი. განთიადისას ცხენზემჯდომს დამძინებოდა და რომ გავიღვიძე, ხარები დაღმა წყაროსკენ მიდი-ოდნენ. მე ცხენი ავაჩქარე, რომ სანამ საქონელი წყალს ჩაწუწავდა და აამღვრევდა, მომესწრო დალევა. ის იყო ცხენიდან ჩამოვხტი, რომ წყაროსთავზე ჩამომჯდარ თურქს წავადექი. ძმისმკვლელი მაშინვე შევიცანი, იგი ერთბაშად წამოდგა და ისევ ისეთი ღიმილით მომმართა.

- იქით სადმე ცხენები ხომ არ შეგხვედრიან, კეთილო კაცო, - მომ-აძახა და რა დაინახა, რომ მე ფაფარი ამეშალა, იქვე ქვაზე მი-ყუდებულ თოფისკენ გადაიხარა. აქ მე ვუმარჯვე ხანჯალი ფერდში. უკვე შემართული თოფი ხელიდან გამოვაცალე და ხელის კვრით ქვაზე მივაგდე. ის კვლავ იღიმებოდა. არც კვნესოდა, თითქოს მის, კი არა, ვიღაცა გადამთიელის გულ-ღვიძლში გაევლოს ხანჯალს, მერე წამოდგა ფეხზე და - რა დაგიშავეო, - მშვიდად ჩამეკითხა, ფეხზე რომ ვეღარ გაძლო, ცალ მუხლზე დადგა და კითხვა გამიმეორა.

- სისხლიანი ხანჯალი ცხვირწინ მივუტანე, მერე ყელთან მივაბჯინე და ჩავძახე:

- თურქი რომ ხარ და ჩემ მიწაზე დადიხარ, ეგაა შენი დანაშაული, ჩემი ტყუპისცალი თვალწინ რომ მომიკალი და სიცოცხლე ჯოჯოხე-თად მიქციე, განა ცოტაა მიზეზად, რომ ახლა კვდებოდე?! - კვლავ გამიღიმა, უკვე მწარედ იღიმებოდა, მივხვდი, რომ თურქს ძალა ელე-ოდა, ქვემოდან ამომხედა, თვალი თვალში გამისწორა და - მართალი ხარო, - მითხრა, - ვიცოდი, რომ ჩემი სიცოცხლე ასე დამთავრდე-ბოდა და ასეც მოხდა. იმას არ ვჩივი, რომ ვკვდები, აი, შენი ძმა, რომ მოვკალი და შენ ცოცხალი დაგტოვე, - აი იმას; თუმცა შენმა მუდარამ და სილაჩრემ შემძრა და ვერ გავიმეტე შენთვის ტყვია, ვერც შენი ტყუპისცალი გავიმეტე, რომ შენ გვერდით ყოფილიყო და ეცოცხლა, კარგია, ნახევარკაცად არ დარჩენილხარ და ძმის სისხლის წილ, სისხლი აიღე, იქ იმას მაინც ვიტყვი, ლაჩარი კაცისგან არ მოვმკვდარვარ-მეთქი. ამდენი წელიწადი ველოდი შენთან შეხვედრას, დამავიწყდი კიდეც, აი, შენი ძმა კი, არ დამვიწყებია; აფსუსი იყო მისი მოკვლა.

- ცალი თვალი დაღმა ლოდებისკენ ჰქონდა, ის იყო გავიხედე ქვემოთ და დავინახე, ლოდის ძირში ასე ცამეტიოდე წლის ბიჭი

ჩემკენ მოიპარებოდა. ხელში, აი ეს, ძვლისტარიანი დანა ეჭირა. მოხუცმა ხალათქვეშ ქამარზე ჩამოკიდებული საკმაოდ დიდი დანა მაჩვენა — მერე, რა დაინახა, რომ მე ის შევნიშნე, ერთიანად გაიმართა, ერთი შეჰყვირა და აფთარივით შორიდანვე ჩემზე გამოექანა, თურქის თოფი არც შემიყენებია ფეხზე, ისევე გამოვკარ ჩახმახს თითი და თავგაპობილი ჭაბუკი იქვე უსულოდ დაეცა. იმავ წამს გული ამერია, და მკერდის არეში ისეთივე ტკივილი ვიგრძენი, როგორიც მაშინ, ექვსი წლის წინ, ჩემს ძმას რომ ესროლეს, მერე დათვივით ავბღავლდი, ხან რას ვეცი, ხან რას, მერე სულთმებრძოლ თურქს წიხლები წავუშინე და რასაც არ მოველოდი ჩემი თავისგან, ის გავაკეთე; თურქი თავს აქეთ-იქით აქნევდა, და გაიძახოდა; - არა, არა! ეგ მე ერთხელ უკვე ჩავიდინე, როცა დაუცველ ჭაბუკს ვესროლე, მერე ვერსად ვნახე შვება, არც შენ გექნება მოსვენება, ეგ რა ჰქენი, რაა!!!.. და ხანჯლის ერთი მოქნევით თურქს თავი წავაცალე, მწყდართა გორაზე ავიტანე და აქეთ რომ ფერდობია, იქ დავაგორე; თან რაღაცას ვღრიალებდი და ვბღაოდი. ცხენზე ვეღარ შევჯექი, იგი შეშინებული თვალებით ალაზე დგებოდა და გამირბოდა. აი, მაშინ კი, ნამდვილად მოვკვდი, რადგან ჩემში არაფერი აღარ დარჩენილიყო, რომ მეცოცხლა.....

- გულწასული ცხენმა გამომარკვია, მზე კარგა ხნის ამოსული იყო, გაღმა ზეგანზე მეძახდნენ, ფერდობზე გადავიხედე, ყორნები დაფრინავდნენ დაბლა ხრამში. ცხენზე ამხედრებული დავეშვი მწყდართა გორიდან. წყაროზე ასულმა კიდევ ერთხელ გადავხედე მამა-შვილს, ეს დანა ბიჭს მარცხენა ხელში ჩაებღუჯა და მიწაში დანის პირი ბოლომდე ჩაერჭო. გულგრილად გამოვაცალე ხელიდან დანა და მას შემდეგ უკვე თოფის პატრონმა დავიწყე ნადირობა ურჯულო მოდგმაზე, ნამდვილი ნადირობა. თვე არ გავიდოდა, რომ კაცი არ მომეკლა, დაშინდნენ თურქები, შიშმა აიტანა სოფლები, ახალციხიდან პრისტავი ამოვიდა და ამოიყოლა ოციოდ ჩაფარი, მე კი, აქ რომ კაცს მოვკლავდი, თოფი მიმქონდა და იმ სოფლის მისადგომებთან ვმალავდი, სადაც მომდევნო მსხვერპლი მყავდა შეგულებული. ჯერ პტენელ, ყაჩაღად გავარდნილ კაცზე აიღეს ეჭვი, მაგრამ მალე ეს ეჭვი შეგნებულად გავუქარვე, მერე ფიელ თარაქამაზე იეჭვეს, მერე ხერთვისელ გამაჰმადიანებულ გაბოზე და ასე გრძელდებოდა იქამდე, სანამ 1915 წლის გაზაფხულზე ომში წამიყვანდნენ. ერთი კია, მჭევრის გორაზე, მას შემდეგ ფეხი აღარ დამიდგამს, ახლაც, რაღაცა ეშმაკი ამიძღვა და წამოვედი. მარტოკაცს რა უნდა მინდოდეს იმდენი,

რომ ამხელა გზაზე ვირებით წამოვსულიყავი საწვალებლად, მაგრამ მწყდართა გორა მეძახდა მთელი ცხოვრება და აგე, - მოვედი კიდეც....

- რომელ გორაზე, პაპა, მაგ გორას ხან მჭევრის გორას ეძახი, ხან მწყდართა გორას, მაგას ხომ მოსე პაპას გორა ჰქვია?! - შევუსწორე პაპას გორის სახელი.

- ეგ ზედათმოგველებმა დაარქვით მაგ გორას აგრე, ისე მწყდართა გორა ჰქვია მაგას, ადრე კი მჭევარის გორა რქმევია, მჭევარი ბალახი უნდა იყოს, მგონი, ან რაღაცა ხე. ჩემ ბავშობაში „ბასილათ“ გორას ეძახდნენ მოხუცები და ჩვენებური მღვდელი ჰყვებოდა მაგ გორის ამბავს... აი, იმ ასასვლელამდე თუ წამომყვები, მოვასწრებ და მოგიყვები მაგ ისტორიასაც... თქვენ არაფრის სახელი არ იცით გარშემო და რასაც ეძახით, სულ ახლა შეარქვას თქვენმა ხალხმა...

- როგორ არ ვიცით, - არ დავაცალე თქმა მოხუცს, - აი იქ, ჩოქაქი ყანებია, იქ ჯორიყლაპია, იქ.... - და მოხუცმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა...

- ადრე, როცა ეს ამბავი მოხდა, რომელსაც ახლა მოგიყვები, მაშინ ამ გორას რა ერქვა, არავინ არ იცის, ისე კი, სანამ ქრისტიანობა შემოვიდოდა, წარმართული სალოცავი კერპი მდგარა და უმაღლესი ქურუმიც მაგ გორის თავზე მჯდარა. ვარსკვლავთმრიცხველნი ყოფილან აქაური ქურუმები და ჰქონიათ ცის რუკა, კალენდარიც საკმაოდ ზუსტი და შეეძლოთ ხალხზე გავლენის მოხდენა, ამიტომაც ყველაზე გავლენიანი სალოცავი იყო მთელს არე-მარეში. ბასილათ გორის ძირში, ახლა სადაც თქვენი სოფლის სასმელი წყალი გამოდის, მის გარშემო ყანები ყოფილა ბაღნარით, ხოლო ამ ყანების თავზე - ქალწულთა სავანე. იქ ყოველთვის ცხოვრობდა ოცდაათი ქალწული, რომლებიც მსახურებდნენ ამ სალოცავს და ქურუმებს. ქალწულნი სრულიად უბინონი უნდა ყოფილიყვნენ, ლამის ჭიაც არ უნდა ჰყოლოდათ მოკლული. ბავშვები იქ ცხრა წლის ასაკიდან მიჰყავდათ და სავანეში ცხოვრობდნენ თექვსმეტ-თვრამეტ წლამდე. სავანეში ხდებოდა მათი აღზრდა, ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ზნე-ჩვევებს და რაც მთავარია, კერპთმსახურებას. აღმზრდელებად ამ სავანეში გაზრდილი ქალები მსახურებდნენ, რომლებიც რაღაცა მიზეზის გამო ვერ გათხოვდნენ. გოგონებს კი საუკეთესოებს არჩევდნენ. უმაღლესი ქურუმი ჩამოივლიდა სოფლად, ან თვითონ მლოცველები რომ მიდიოდნენ მსხვეპლის შესაწირად, რომელ გოგონასკენაც ხელს გაიშვერდა ქურუმთ-ქურუმი, მცველები ძვირფასად მორთულ

საზიდარზე დასვამდნენ. ეს ქალწული, როგორც კი გადაჰკვეთდა სავანის ეზოს კარებს, მას ეწოდებოდა „ქალწულთა სავანის მკვიდრი“. ამ ეზოს ალაყაფს ვერასოდეს ვერავინ გადააბიჯებდა ქურუმების გარდა, არც ერთი მცველის ფეხი არ დადგმულა ამ ღობის მიღმა; მცველები და თვითონ ქურუმებიც - საჭურისები იყვნენ. ბიჭები, ძირითადად, სრულიად ობოლი ბავშვებისგან ირჩეოდნენ. მათ წვრთნიდნენ საუკეთესო მეომრები და მასწავლებლები, ასწავლიდნენ ფილოსოფიას და ასტრონომიას, მათემატიკას და სამშენებლო საქმეს. ძალიან ბევრი ბიჭი დასაჭურისების დროს კვდებოდა, საამისოდ კი ჰყავდათ გამოცდილი მწყლველები, მაგრამ ყველა ვერ უძლებდა, აქაც რჩეულები აგრძელებდნენ სიცოცხლეს, მთავარი სატყუარი კი ის იყო, რომ მათ შორის ერთ-ერთი მართლაც ხდებოდა უმაღლესი ქურუმი და მბძანებელი მთელი შემოგარენისა, ის კი საკმაოდ დიდ მინა-წყალს მოიცავდა. დანარჩენი ვაჟები კი ელოდნენ დაწინაურებას და ცდილობდნენ, თავი გამოეჩინათ, როგორც სწავლაში, ისე კარგ მეომრად ჩამოყალიბებაში. მათი ვალი კი იყო როგორც სავანის დაცვა, ასევე, ამ გორაზე გალავნის გარშემო ცეცხლის ჩაუქრობლად შენახვა. ხალხი კი ყველა მხრიდან წყაროსავით მოედინებოდა. ერთხელაც, როცა რომელიღაც დღესასწაულს აღნიშნავდნენ, ახალგაზრდა ცოლქმარი თავისი შვიდი შვილით, ხარ-ურემით მიეშურებოდა სალოცავისკენ. ცა მოღრუბლულა და ისეთი ჭექა-ქუხილი ამტყდარა, რომ იძულებულნი გამხდარან, რომელიღაც ლოდის ქვეშ შეჰფარებოდნენ. ავდარი დიდხანს აპირებდა გამეფებას. ოჯახის მამა ბავშვებისთვის საჭმლის შემოსატანად გავიდა ურემთან და რომ ბრუნდებოდა, ზეცამ ცეცხლოვანი შოლტი მოიქნია და ასე უცაბედად იმსხვერპლა მთასავით ბრგე ვაჟკაცი.

ქურუმებმა სათავისოდ ინიშნეს ეს ამბავი და ექვსივე ქალიშვილი, რომელიც თან ახლდა თავზარდაცემულ დედას, ქალწულთა სავანეში დაიტოვეს. ხოლო დედა და თავისი ერთადერთი ვაჟი, მთელი იმ დღის შემოწირულობით დააჯილდოვეს და ისე გაისტუმრეს სახლში. ეს იმხელა სიმდიდრე იყო, რომ ორ დიდ ოჯახს გამოკვებავდა სიბერემდე. მამის სიკვდილი ჯერ ბოლომდე არც ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ უცებ ერთი თითის გაშვერით დედის კალთას მოსწყვიტეს თავზარდაცემული გოგონები, მაგრამ საჭურისების ღონიერი მკლავებიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. ასე მიიყუჟნენ სავანის ერთ კუთხეში და მთელი კვირა არც არა უხმევიათ, არც წყალს მიეკარნენ და არც ეძინათ. არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, რომ

ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცა აწყვერელმა ოჯახმა, სავანეში მოიყვანა და მიაბარეს თოთხმეტ წელს მიღწეული, სიტურფითა და მოხდენილობით გამორჩეული მტირალი ქალიშვილი, რომელიც სულ ერთს გაიძახოდა, რომ „ყველა ადამიანს აქვს თავისუფალი ნება და რომ მას სურს, თავისი არჩევანი თვითონვე გააკეთოს“, აქ დებმა ყურები ცქვიტეს; განსაკუთრებით უფროსმა დამ - გულისანმა. დებმა თავისთან მიიხმეს მტირალი გოგო და ის რომ არ დაჰყვა ნებას, თვითონ მიიჩოჩეს მის საწოლ ტახტთან და მასთან საუბარში დაათენდათ გოგონებს.

მოციქულმა ანდრიამ აწყვერის მთავრის ოჯახი მონათლა და იქვე დიაკვანი და ეპისკოპოსიც დასვა. მთელი აწყვერი მთავრის სასახლის ეზოში შეკრიბეს და ქრისტეს მოციქული ქადაგად დადგა. მთელი დღე არ მოსცილებია ხალხი უფლის მოციქულს და ხარბად ისრუტავდნენ იმას, რასაც ლაპარაკობდა. ამას მოჰყვა ერთობლივი ნათლობა. უფლის დედის ხატება დაესვენებინათ კარიბჭის მიღმა ტახტრევანზე და ყველა გამვლელი და მათ შორის, აწყვერის მთავარმმართებელიც, თავისი ოჯახით თაყვანს სცემდა ხატებას. აღშფოთებას ვერ მალავდნენ სპარსი ქურუმები, რომლებსაც მაშინდელ საქართველოს სამეფო კარზე და მთელ სამეფოზე დიდი გავლენა ჰქონდათ და, ფაქტობრივად, ისინი მართავდნენ ქვეყანას და ხალხს. მჭევარის მთის ქურუმთ-ქურუმი, აწყვერში დაბადებული და გაზრდილი იყო. იგი მშობლებს გამოექცა და აქ, ამ გორაზე, თორმეტი წლის ჭაბუკი საკუთარი ნებით წარსდგა მწყვლელთა წინაშე და დასაჭურისდა. ოცი წლის შემდეგ, როცა იგი ქურუმი და იმ არემარეს ფაქტობრივი მფლობელი გახდა, მაშინ მოიკითხა დედ-მამა და განაცვიფრა ყველა. აღარავის ეგონა ის ცოცხალი.

დიდი სასახლე აუგო მშობლებს და უხილავი სიმდიდრით დაასაჩუქრა. აწყვერში მთავარმმართებელს კერპი დაადგმევინა და იქაც თავისი ქურუმი დასვა. და აი, მეხის გავარდნას ჰგავდა ანდრია პირველწოდებულის გამოჩენა აწყვერში; მით უმეტეს გააოგნა ხალხის ასეთმა დაუჯერებელმა ლტოლვამ ნათლობისკენ და დიდად ჩააფიქრა ქურუმები.

ჯერ ეს ვერ მოენელებინათ, რომ ქურუმთ-ქურუმის ძმისწულის გადიამ, უთენია დილას, ურცხვად შეაღო თავისი აღსაზრდელის მშობლების საძინებლის კარები და ჩურჩულით ამცნო მშობლებს, რომ ეს-ესაა მათი ქალიშვილი თოთხმეტი წლის აწყვერა, ჩუმად მოინათლა ანდრია პირველწოდებულთან, რომელიც ის-ის იყო დაწინდეს

აწყვერში სიმდიდრითა და ვაჟკაცობით განთქმულ ასეულის უფროსის შვილზე და საკმაოდ დიდი ნადიმიც გადაიხადეს...

გველნაკბენივით წამოვარდა აწყვერას მამა და მუხლებზემდგომ ქალიშვილს ლოცვისას წაადგა თავზე. მამის ყვირილზე ფეხზე დადგა მთელი სახლი, მამამ შიკრიკი აფრინა მჭევარის მთაზე, ქურუმებთან და მეორე დღეს, საღამოს უკვე მიიღეს პასუხი, რომელიც ძალზედ სავალალო იყო აწყვერასთვის. იგი მხეცივით გალიაში ჩასვეს და იმ ღამესვე ქალწულთა სავანეში გაამწესეს და ახლა აწყვერა მთელი ღამე ობოლ დებს უყვებოდა, რაც მოისმინა მოციქულ ანდრიასგან, როცა ის აწყვერში ხალხს ნათლავდა და ქადაგებდა. თუ როგორ მოინათლა აწყვერის მთავარმმართებელი თავისი ოჯახით და რა სასწაულები მოახდინა დაფაზე დაწერილმა ხატმა, რომელიც უფალი, იესო ქრისტეს დედის გამოსახულება იყო; თუ როგორ აღადგინა უფალმა მოციქულ ანდრიას თვალწინ მიცვალებული, რომელიც უკვე იხრწნებოდა; თუ როგორ აუხილა ბრმას თვალები და მერე როგორ აწამეს ებრაელებმა და ჯვარს აცვეს ორ ავაზაკთან ერთად, მერე როგორ აღსდგა მესამე დღეს და მრავალი სხვა. დილით უკვე ყველა დამ ზეპირად იცოდა ლოცვა, რომელიც თვით იესო ქრისტეს დაუტოვებია მთელი ხალხისთვის: „მამაო, ჩვენო“ და ახლა ამ ლოცვით შეეგებნენ ობოლი დები განთიადს. მათ უკვე იცოდნენ, რომ ადამიანს ღმერთმა მისცა თავისუალი ნება და მათ შეუძლიათ თვითონ აირჩიონ თავიანთი ნდომის მიხედვით სათაყვანებელი ღმერთი - არა მზე და მთვარე, რომლის მსახურებადაც მათ ამზადებენ, არამედ ჭეშმარიტი ღმერთი - იესო ქრისტე. რომელიც მიმტევებელია, და მასზე მინდობით შეუძლიათ გადაარჩინონ თავიანთი სულები ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან... იმ დღიდან ყველა და მათ შორის ახლადშეძენილი სულიერი და აწყვერა, მათივე გადაწყვეტილებით, ზედმიწევნით, ზუსტად ასრულებდა ზედამხედველის თუ მასწავლებლის მითითებებს, იყვნენ გამორჩეულნი ყველაფერში, სწავლაში და ხელგარჯაშიც იქამდე, სანამ ვიღაცამ არ ჩათვალა, რომ ისინი უკვე მზად იყვნენ გასათხოვებლად, მათ ყველაფერი იცოდნენ, რაც უნდა სცოდნოდათ. იმ დროისათვის უკვე ოთხი წელი გასულიყო.

მჭევარის მთა დიდი დღესასწაულისთვის ემზადებოდა, ემზადებოდნენ სასიძონიც. ქურუმები თავს გავიდნენ, მათ დაიბარეს სასიძონი, მათი მშობლებიც და გამოუცხადეს, რაც უნდა გადაეხადათ ქალწულთა საპირწონედ. ამან ყველა გააოგნა, მაგრამ ქალწულებით მოხიბლული ჭაბუკების სურვილის წინ ვერაფერი დაუდგა.

აწყვერა ყველაზე ლამაზი იყო ქალწულთა შორის, ყველაზე მაღალი და განსწავლული, მისი საპირწონე შესაწირიც, შესაბამისად, დიდი იყო - კერპის გალავნიდან საურმე გზამდე მონეტები უნდა მიეწყო მიჯრით მის საქმროს. ასე ვთქვათ, ოქროს ბილიკით უნდა გაევლო საპატარძლოს სალოცავიდან საურმე გზამდე, პირველი და უკანასკნელი ბილიკი. ასევე ორმოცი ერთწლიანი ხარი უნდა მოერთმიათ და ორი ბედაური.

გულსანის საქმრო თრიალეთელი თავადის შვილი იყო; მან ერთი იმდენი ძვირფასეულობა კიდევ მოიტანა, ვიდრე ქურუმებმა დაუწესეს. მას საზეიმოდ მოერთო თავისი ცხენი და უკვე მერამდენედ უვლიდა სავანეს, შორაპანიდან ჩამოსულ ვაჭრის შვილთან ერთად, რომელსაც სახეზე ნახმლევი საკმაოდ დიდი მანძილიდან ემჩნეოდა, ის დარიხვანის წასაყვანად გარჯილიყო. დარიხვანი გულისანის მომდევნო და იყო, ჩვიდმეტი წელი ახლად შეუსრულდა, იგი დათა შორის ყველაზე ნიჭიერი იყო; სწორედ მისმა ხელსაქმემ - აბრეშუმის მოსასხამმა აუჩუყა გული შორაპნელ ვაჭარსა და მის ცოლს, რომლებმაც თავიანთი შვილისთვის დაწინდეს. ტაოელი ფეოდალის მახვილ თვალსა და ყურს არ გამოჰპარვია, დათა შორის რიგით მესამე და - კამარი, რომლის სიმღერამაც აღტაცებაში მოიყვანა სავანის მოედანზე შეკრებილი ხალხი, მან ისეთი გრძნებით შეასრულა სიმღერა, რომ ქურუმებიც ფეხზე წამომდგარნი უკრავდნენ ტაშს.

ჯერ არ ჩანდა ნუნისის თავადი თავისი ორი ვაჟკაცით, რომლებსაც თექვსმეტ წელს მიღწეული ჯოლანი და მისი ტყუპისცალი ქილანი დაენიშნათ.

აქვე იყო საროელი მეციხოვნის შვილი, თვალებბრიალა ჭაბუკი, რომელმაც ძლივს დაიყოლია ქურუმთ-ქურუმი, რა თქმა უნდა, იქ მამაც ჩაერია და თანხმობის დასტური გამოიტანეს, უმცროსი დის თოლერის მისათხოვებლად. სულ თერთმეტ ქალწულს უნდა დაეტოვებინა სავანე.

კმაყოფილებას ვერ მალავდნენ ქურუმები, ხალხი თითქმის ყოველი მხრიდან იყო მოსული და მოუთმენლად ელოდა ზეიმის დაწყებას.

იადონებივით ზღაპრულ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ ძვირფას აბრეშუმის სამოსელში გამოწყობილი საპატარძლონი, ისინი ფერადი კარვის ქვეშ, ქურუმების გვერდით თითო-თითო სავარძელში ისხდნენ.

საპატიო ადგილზე დაესხათ ქალწულთა დედები, მათთვის საგანგებოდ შეკერილი თუ მოქსოვილი სამოსი ჩაეცმიათ და კმაყოფილნი შეჰყურებდნენ თავიანთი პირმშოების აღზევებას.

ასევე, ცალკე ადგილი მიეჩნიათ მამებისთვის. ხოლო სამხრეთის ტრიბუნა სხვადასხვა მხრიდან მოწვეული, საგანგებო სტუმრებისთვის მოერთოთ, მათ რომ მზე არ აბლანდოდათ თვალებში და კარგად შეეხედათ ჯერ კიდევ ნორჩი სავანის მკვიდრთათვის. სწორედ ამიტომ, ჩრდილოეთის მხარეს ლამაზად მორთულ კარვის ქვეშ დაესხათ სავანის ჯერ კიდევ დაუწინდავი მკვიდრნი და თაკარა მზის წყალობით ცისფერი აბრეშუმი ზღაპრულ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე. მათი სიმღერა და ხელსაქმე, რომელიც იქვე მათ წინ იყო წარმოჩენილი გასაყიდად და არც ისე იაფი ღირდა. ყველაფერი ოქროს ენაზე ლაპარაკობდა, ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი, ყოველი წვრილმანიც კი მნიშვნელოვნად იყო წარმოჩენილი.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდნენ ნუნისელი დიდებულნი ქარავნით, წინ ძმები მოაჭენებდნენ მცირე ამალით და ბაირაღებით. მათ როგორც კი თავიანთი ადგილები დაიკავეს, დაჰკრეს დაფდაფებს და ყურისგამაყრუებლად აჭყვიტინდნენ საყვირები, სტვირები და შეიქმნა ერთი ამბავი. საჭურისებმა შუბების ქვეშ შემოაბრძანეს ქურუმთ-ქურუმი და მოედნის თავში დასავლეთით ძვირფასად მორთულ კარვის ქვეშ დააბრძანეს; .

გულსანმა პირველმა შენიშნა დედამისი, მას კარგად მორგებოდა მის მიერვე შეკერილი კაბა-მოსასხამი და დებს ჩასჩურჩულა. ყველამ თავის დედას დაუწყო ძებნა. ცხრამეტი წლის ერთადერთი ძმა კი არსად სჩანდა, ვერც ვერსად იგულეს. ისევ თოლერმა იგულა სასიძოთა შორის, იგი სიამაყით შეჰყურებდა თავის ექვს დას, მაგრამ მისი გული მაინც იქით იყო, სადაც ფარავნელი ქვრივის ოქროსფერთმიანი გოგო ამოჰფარებოდა სავარძელს და მალვით უმზერდა მის რჩეულს. მისი საქმრო ქურუმების ნაბოძები ავლა-დიდების ნახევრის უკანვე შემოწირვას ლამობდა მისთვის შესაწირად. კმაყოფილი იყო აწყვერას დედა, უმაღლესი ქურუმი მათი ნათესავი კი იყო, მაგრამ ახლა აწყვერის ასმეთაურთან დამოყვრება, რომელსაც მალე ათასმეთაურად უპირებდნენ დაწინაურებას, მათთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო...

როგორც იქნა, უმაღლესმა ქურუმმა ხელი მაღლა ასწია და ერთბაშად შეწყდა დაფდაფების და საყვირების ხმა. იქაურობა სიჩუმემ მოიცვა. მან სიტყვით მიმართა ხალხს და წარუდგინა წარჩინებული

სასიძონი და მათი რჩეული ქალწულები. ყველა სასიძომ თავი იჩინა მოედანზე ცხენზე ჯდომის და ჯირითობის ოსტატობით, შესაბამისად, საპატარძლოებმა წარადგინეს თავიანთი ნაქარგი და ნაქსოვი ხელსაქმე, მერე კი ერთობლივად შეასრულეს რამდენიმე სიმღერა. ამის შემდეგ სასიძოებმა მიართვეს საგანგებოდ მორთული ეტლები ქალწულთ და მთელი ხალხი, რომელსაც წინ ქურუმები მიუძღოდნენ, გაემართა მჭევარის მთისკენ, სადაც მოხდებოდა მსხვერპლთშეწირვა და იქვე ქალწულნი გასწევდნენ მსახურებას კერპების წინაშე. შემდგომში კი მორიგი ქალწულების დანიშვნა-დაწინდვა მოხდებოდა, მიიღებდნენ ახალ ნაკადს, ოცდაათამდე ქალწულს, რაოდენობის შესავსებად, ხოლო ორი წლის მერე, კვლავ ასეთივე ზეიმის მომსწრე გახდებოდა ხალხი.

შუადღე ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთის მწვერვალი, სადაც კერპები ესვენა, საკმაოდ მაღალია, მაინც ჩამოცხა, აწყვერამ და გულისანმა იქვე წყაროსთან გააჩერებინეს ეტლები და როგორც კი დაიმარტოხელეს საქმროები, აწყვერამ პირ-დაპირ მიახალა:

- ჩემო, მე მინდა, შენ იცოდე, რომ მე მონათლული ვარ ქრისტია-ნად, ჩემი ახლად შეძენილი შვიდი დაც იზიარებენ იმას, რაც ქრისტეს მოციქულმა იქადაგა აწყვერში და ეს შენც მოისმინე. მე, გნახე იქ. ჩვენ არ ვაპირებთ წარმართულ კერპებს ვცეთ თაყვანი და მით უმეტეს ვემსახუროთ, ამიტომ ახლავე მინდა იცოდე, რომ როგორც შენი მომავალი მეუღლე, მთელი ჩემი არსებით შენ გეკუთვნი, მაგრამ სული ჩემი უფლისაა - იესო ნაზარეველის. და თუკი მე გავძალიან-დები და უარს ვიტყვი კერპის თაყვანისცემაზე და შენ ჩათვლი, რომ ამით შენს ღირსებას შევლახავ, უკეთესია, აქვე მომკლა, რადგან, თუ მე შენი ღირსება შევლახე, შენც მკვდარი იქნები და ეს უფრო უარესი იქნება ჩემთვის. შენც კარგად იცი, რომ მე ჩემი ნებით არ მოვსულვარ ამ სავანეში, აქ არავინაა თავისი ნებით მოსული, ამ ოთხი წლის განმავლობაში მრავალჯერ ვცადეთ გაქცევა, მაგრამ, როგორც ხედავ, უშედეგოდ. ის, რაც ჩვენ ვისწავლეთ, ვისწავლეთ იმიტომ, რომ თვალი აგვეხვია ქურუმებისთვის და ჩვენი გადიებისთვის, იმისათვის, რომ დღევანდელი დღე დამდგარიყო და აი, დადგა კიდეც. ახლა შენ ყველაფერი იცი და აი, მე მზად ვარ სასიკვდილოდ. ოღონდ სულაც არ მინდა თან გავიყოლო შენი სიცოცხლე და არც შენი ღირსება, რადგან, ღირსების გარეშე შენ მაინც მკვდარი იქნები. მე ვიცი, ვისი

შვილიცა ხარ და ისიც ვიცი, რაოდენ ძნელია, თქვა უარი იმაზე, რასაც ამდენ ხანს აშენებდი და ემზადებოდი, ამიტომ სჯობს, ახლავე უარი თქვა ჩემზე ან ....და იმწამსვე, აწყვერა გულისანთან ერთად მუხლზე დადგნენ საქმროების წინაშე და მორჩილად დახარეს თავები. მათ დანარჩენმა ხუთმა დამაც მიბაძა. ასე ელოდნენ განაჩენს საქმროებისგან. ნუნისელი ძმები აწყვერას საქმრომ სათათბიროდ გაიწვია, მათ გვერდში ამოუდგა ობოლ ქალწულ დათა ერთადერთი ძმა და საროელი სასიძოც. ბევრმა უარი თქვა, სხვა საპატარძლონი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და მოუწოდეს საქმროებს, გასცლოდნენ მათ თათბირს და გაეცალნენ კიდეც. შეთქმულ დათა საქმროებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, უმეტესნი მოითხოვდნენ, იქვე დაესაჯათ ურჩი საცოლეები, მეორენი არ ანებებდნენ, ხმლებზეც გაივლეს ხელი, ისევ მორჩილად მუხლზემდგომ ქალწულთა მტკიცე მდუმარებამ განმუხტა დაძაბულობა, იქ მცველები წამოადგნენ თავზე და ყველას მიუთითეს თავ-თავიანთ ეტლებზე დამსხდარიყვნენ.

ჯერ მწვერვალამდე საკმაო მანძილი იყო დარჩენილი, ბუკებისა და საყვირების ხმაში ძლივსგასაგონად ჩაესმა უმაღლეს ქურუმს სავანის ზედამხედველის ხმა და მისი შეშფოთებული სახე რომ დაინახა, უმალ იხმო თავისთან, მერე აწყვერას მამა აახლეს უმაღლეს ქურუმს და მან ყველაფერი ზედმიწევნით მოუთხრო, რაც თრიალეთელმა თავადმა და შორაპნელმა ვაჭარმა უთხრეს. ქურუმებმა თათბირი ჰყვეს და სავანის ზედამხედველი იხმეს.

გორის მწვერვალზე დამწვარი თაფლიანი სანთლის და ვარდის ზეთის სურნელება იდგა; გალავანს გარშემო შუბოსანი საჭურისი მცველები შემოსწყობოდნენ და ქანდაკებასავით გაუნძრევლად გაჰყურებდნენ სივრცეს. მთის მწვერვალი სურნელოვანი ზეთებით შეჯერებულ კვამლს დაენისლა და ჯადოსნურ ეფექტს ჰქმნიდა ვეებერთელა ხეებით დაფარულ საურმე გზაზე, ბილიკებზე მიმავალი ხალხის უწყვეტ ნაკადს იზიდავდა და საზეიმოდ განაწყობდა. ბოლოს ბუკების და საყვირების ხმა შეწყდა, მთის მისადგომთან, კალოზე მოიყარა ხალხმა თავი და ნიშანი მისცეს, მსხვერპლთშეწირვა დაეწყოთ. ამის შემდეგ უმაღლესი ქურუმი თავის მხლებლებთან ერთად გალავნის კარიბჭის მიღმა გაუჩინარდა.

მთავარი ქურუმი შუბოსანი მცველების თანხლებით გალავანთან გამოვიდა და გამოაცხადა, რომ მსხვერპლთშეწირვას შეასრულებდა

აწყვერის მთავარმართებლის ასეულის ხელმძღვანელი თავისი შვილით და სარძლოთი, ამ ქალაქის ქალწულთა სავანის მკვიდრი აწყვერასთან ერთად, რომლის შემდეგაც ის და მისი საქმრო გამოცხადდებიან ცოლ-ქმრად.

მამა-შვილი აწყვერასკენ გაემართნენ, მათ უკან ოციოდე მონა მისდევდა, საზიდარებზე დაწყობილი საჭურჭლითა და ოქროს მონეტებით დატვირთულნი. აწყვერას საქმრო გამოეყო სასიძოთა ჯგუფს და შუბოსნებით გარშემორტყმული ქალწულებისკენ გაეშურა. წრე გაიხსნა და აწყვერამ საქმროს გამოწვდილ ხელს ხელი ჩასჭიდა, ერთხანს ყვავილებით მოფენილ ბილიკზე იარეს, მერე ხალხის ნაკადი გაარღვიეს და ჯერ ისევ ეტლზე მსხდომი აწყვერას დედ-მამის წინ მოიყარეს მუხლი, თავები დახარეს და კურთხევა სთხოვეს; ერთხანს ასე დაჰყვეს მოულოდნელობისგან სახტად დარჩენილი მშობლების წინ. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

მოგვთა მბრძანებელმა ხელი მაღლა ასწია და საყვირ-დაფდაფები დადუმდნენ. ქურუმთ-ქურუმს სახე დაღრეჯოდა, აწყვერას დედ-მამა გაოგნებულნი იდგნენ, ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. მორჩილად თავდახრილმა სასიძომ თავი ასწია და აწყვერას გაოგნებულ დედ-მამას ქალიშვილის ხელი ხელმეორედ სთხოვა. ეს კი დაუშვებელი იყო, ისინი ასეთივე მორჩილებით მოგვების ფერხთ უნდა ყოფილიყვნენ დაჩოქილნი; აწყვერა და, მათ შორის ყველა ქალწული, სავანის საკუთრებას წარმოადგენდნენ, მათი სუნთქვაც კი ქურუმებს ეკუთვნოდა.

ნუნისელი ძმებიც თავიანთი რჩეულების თანხლებით ხეობის ქვრივი ექვსი დის დედისკენ მიეშურებოდნენ, ამასობაში აწყვერა და გულისანი, მათი საქმროები საჭურისების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, ქალწულნი ურემზე მოწყობილ გალიაში ჩაკეტეს, ურჩი სასიძოები კი გალავნის შიგნითა სათავსოში შეამწყვდიეს. ამის შემხედვარე ნუნისელმა ძმებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ შუბოსან გაწვრთნილ მცველებს, აბა, როგორ აღუდგებოდნენ წინ, ისინიც მათი ღონიერი მკლავების ძალას დამორჩილდნენ, ყველა ჯიუტი საპატარძლო საფარგადაფარებულ გალიაში შესვეს და სავანისკენ მიჰქროდნენ ცხენები. ირგვლივ ყველაფერი შფოთმა მოიცვა. აწყვერელი ასისთავი თავისი ორი მეომრით აწყვერისკენ მიჰქროდა უკვე, ცოლი იქვე დატოვა, რომ ეთვალთვალა, თუ რა მოხდებოდა. ატყდა დედების გნიასი და წივილ-კივილი, ხალხი აღელდა და ქურუმებისკენ გაიწია, მაგრამ შუბებმა გადაუღობეს გზა. სწორედ ამ დროს გალავნის მიღმა კვლავ

ავარდა ალი, გავარვარებული ზეთი მაგიურ ეფექტს ჰქმნიდა, ამას მოჰყვა დაფდაფების და საყვირების გამაყრუებელი ხმა და კვლავ და კვლავ ზეცას მიებჯინა გორის თავიდან ავარდნილი ცეცხლი. ხალხი შედრკა და გაჩერდა, ამ დროს, თითქოს შუა ცეცხლიდან გამოვიდაო, ისე გამოჩნდა გალავნის თავზე უმაღლესი ქურუმი დანარჩენ მოგვებთან ერთად. ყველა, როგორც ერთი, ისე დაემხო მიწაზე და გაირინდა. ის, ვინც გაბედა და წინააღმდეგობა გასწია, ყველა გალავნის მიღმა სათავსოში გამოემწყვდიათ და მცველები მიეჩინათ.

უმაღლესმა ქურუმმა წყევლით და მუქარით აიკლო იქაურობა, ხალხი მიწაზე დამხობილი უსმენდა მის მუქარას, ბოლოს ურჩი და გზასაცდენილი სავანის მკვიდრთა სამაგალითოდ დასჯას შეჰპირდა და სახვალიოდ დაიბარა იქ მდგომნი. - განრისხებულნი არიანო ცის მნათობნი, აღარც მსხვერპლს მიიღებს, არც მოსავალი მოვა და არც საქონელი გეყოლებათ იმიტომ, რომ მზე გადაბუგავს ყველაფერს, მთვარე კი - სულ გაყინავს არემარეს, დაშრება წყაროები და მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ აუჯანყდით ცის მანათობლებს, ვიღაცა ხუროს შვილი ღმერთად მიიღო სავანის მკვიდრთა გარკვეულმა ნაწილმა, მაგრამ დაავიწყდათ, ან არ იციან, რაოდენ დიდია მზისა და მთვარის ძალა, ცეცხლისა და წყლის მრისხანების ძალა და ამიტომ ხვალ, როცა მზე ზენიტს მიაღწევს, ურჩნი მსხვერპლად შეეწირებიან თავიანთსავე ურჩობას - ვაჟები დასაჭურისდებიან და შეეცდებიან, გამოისყიდონ დანაშაული, ხოლო ქალწულნი სანთლად შეეწირებიან, რათა სხვას გაუნათდეს გონება და ნდომა სიურჩისა, სამუდამოდ ამოიშანთოს მათი გონებიდან.

აწყვერას დედ-მამა არხეინად იდგა იმის იმედად, რომ ქურუმთ-ქურუმი მათი ნათესავი იყო და ეს ყველაფერი მათ ქალს არ ეხებოდა. შორაპნელი და თრიალეთელი სასიძოები ბევრს ეცადნენ, რომ მათი მსხვერპლი მიეღო მოგვთა მთავარს და გაეტანებინა მათთვის საცოლენი, მაგრამ ისინი უარყოფილ იქნენ, ქალწულ დათა უფროსმა ძმამ, თავისი ფარავნისტბელი საცოლე როგორც კი ეტლში ჩასვა, მაშინვე დედამისი იხმო, სამშვიდობოს გაიყვანა და სახლში გაისტუმრა, თვითონ კი მეორე ცხენით აწყვერისკენ გაქუსლა.

ამასობაში მწუხრიც ჩამოწვა და ხალხმა ხვალინდელი დღის მოლოდინში თავ-თავიანთ კარვებს მიაშურეს. დანარჩენები ბედს დამორჩილდნენ და ინტერესიც კი აღეძრათ, თუ რა მოხდებოდა მეორე დღეს...

არ ეძინათ ქურუმებს. მთელი ღამე დადიოდნენ სწრაფლმავლები ხან აღმა, ხან დაღმა. ახლო სოფლებიდან, ვინც კი ხელოსანი უყო და ხის ხელობა იცოდა, ყველას თავი მოუყარეს და სამუშაოდ გაამწესეს. გადიებმა და ქალწულთა მომვლელებმა მთელი ღამე აღზრდილთა გვერდით გაატარეს, მათ ხვეწნა-მუდარით აიკლეს საპატარძლონი, რომ უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე და თაყვანი ეცათ ციური მნათობების კერპებისთვის, მაგრამ ყველა, როგორც ერთი, შეუვალი და გაუტეხელი იყო.

აწყვერის ასისთავი მთავარმართებელთან რომ მივიდა, ჯერ შუაღამე არ დამდგარიყო. ასისთავმა ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა მთავარმართებელს და ჯარი სთხოვა, მისი შვილი და ქრისტიანი სარძლო რომ დაეხსნა. მთავარმართებელი შეჰპირდა, გამთენიისას, თვითონაც წაჰყვებოდა ასისთავს და იქნებ გადავათქმევინოო ქურუმთ-ქურუმს განზრახვა, მაგრამ ცოტა ხანში ქალწულების ძმამ უფრო შემზარავი ამბავი მოუტანა ასისთავს, რომ მის შვილს დასაჭურისებას, ხოლო საპატარძლოებს ცეცხლში დაწვას უპირებდნენ. აქ კი მთავარმართებელი შეყოვნდა, მაგრამ მისმა ცოლმა თხოვნით რომ ვერარა გაიტანა, ბოლოს ჯავახმა დედაკაცმა თვითონ აისხა აბჯარი და თავისი მოსამსახურეების თანხლებით გაეშურა მოკლე, ძნელადსავალი ბილიკების გავლით მჭევრის გორისკენ, მაგრამ მალე მთავარმართებელიც წამოეწია მთელი თავისი ამალით. ორასამდე ცხენოსანი წამოეყვანა ახლად გაქრისტიანებულ მმართველს.

მზე ამოვიდა თუ არა, გადიებმა ზედამხედველის დავალებით საუკეთესო სამოსი ჩააცვეს შვიდ საპატარძლო ქალწულს, თავზე გვირგვინები დაადგეს და ალისფერი აბრეშუმის ქსოვილგადაფარებულ გრძელ ურემზე დასვეს, გარშემო მცველები მიუჩინეს და დაღმა ქალაქისკენ წასასვლელად გაამზადეს.

გორის მწვერვალზე კი გამთენიისას უმაღლესი ქურუმის ტახტი გამოეტანათ სალოცავის წინ, სადაც მსხვერპლთშეწირვა ტარდებოდა და ბოძზე გაკრული ოთხი სასიძო ელოდა საშინელ სასჯელს - დასაჭურისებას. მწყლეველნი საუკეთესონი მოეწვიათ და ისინიც გასანთლული თასმებითა და საგულდაგულოდ ალესილი ბრინჯაოს დანებით ელოდნენ ქურუმებს. და აი, ისინიც გამოჩნდნენ მთელი თავისი დიდებით და მათთვის განკუთვნილ სავარძლებში ზლაზვნით ჩაეშვნენ. ქურუმთ-ქურუმმა ხელი ასწია და ანიშნა, რომ დაეწყოთ დაწყვლა.

ცას სწვდებოდა თრიალეთელი სასიძოს გმინვა და გოდება, გმინავდა საროელი ვაჟკაციც, ვერ გაუძლო და იქვე სული დალია ნუნისელ ტყუპ ძმათა შორის უფროსმა. მერე რაღაცა ბალახის კვამლით დაბოლეს და ისე, რომ ბოძებიდან არც აუხსნიათ უკვე მწყდარნი შეათრიეს, იქვე ქვის საქვეებზე დააწვინეს და მიუჩინეს მკურნალნი. ზეციურ მნათობებთან სისხლიანი მსხვერპლის შეწირვით კმაყოფილი უმაღლესი ქურუმი ახლად ამოწვერილ მზეს მადლობდა და ორივხელაწეული ღაღადებდა. როგორც ქანდაკებები, გალავნის თავს ისე შემოსწყობოდნენ დანარჩენი ქურუმებიც. მერე კი გაბმული, მწყდართა დამახასიათებელი წრიპინა ხმით მოჰყვნენ გალობას და მწკრივად გაწყობილნი დაუყვნენ დაღმართს.

ტბის ნაპირზე საკმაოდ დიდი ტივი აეგოთ ხუროებს, ბოლოს ლელებისგან საკმაოდ სქელი იატაკი დააგეს და შუაში ოთხი ბოძისგან აგებული სვეტის, თავზე ცის მნათობთა სიმბოლო დადგეს. ეს სვეტი ფერად-ფერადი ლელიანით შემოსეს და ალაგ-ალაგ ბაირაღებიც ჩამოჰკიდეს.

ელოდნენ უმაღლეს ქურუმს და აი, ისიც თავის სვიტასთან ერთად მდიდრულად მოწყობილი ეტლებით ქალაქის გადასახედს მიადგა, იქვე იყო მთელი ქალაქის მოსახლეობა, ქალაქისთავიც, შეშფოთებული გუშინდელი სავანის ქალწულთა ურჩობით და ნასიამოვნები უმაღლესი ქურუმის გადაწყვეტილებით, რადგან ქრისტეზე ამბავი მის ქალაქშიც მოსულიყო და რამდენიმე მიმდევარიც კი სწვეოდა მის სასახლეს. აწყვერის მთავრის ოჯახის მონათვლამ და ქრისტეს რჯულზე გადასვლამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქალაქის თავისა და იქაურ მცხოვრებთა უმრავლესობაში. კაციც აფრინეს ირანის მბრძანებელთან და შესჩივლეს აწყვერის მთავრის ურჩი საქციელი, მაგრამ აგერ უკვე ოთხი წელი გავიდა და ირანიდან არაფერი იღონეს მათ გასადევნად. აწყვერიდან მაცნე მოვიდა და უსიამოვნო ამბავი ამცნო: აწყვერის ასისთავი ჯარით მოემართებოდა მწყდართა გორისკენ, უფრო უარესი ის იყო, რომ მთავარმართებელი თავისი ცოლით თან ახლდა მათ. სასწრაფოდ შეკრიბეს მწყდარნი შუბოსნები, იმდენივე ჯარი და საჭურველი ქალაქისთავმა გაიღო და ფარავნისწყლის შესართავისკენ აფრინეს ცხენოსანნი.

მათი დამარცხება ბრძოლაში გამოცდილ ასისთავს არც გაუჭირდებოდა, მაგრამ ყოველი მცდელობა, რომ წყალი გადაელახათ, უშედეგოდ მთავრდებოდა. ისრების წვიმა მოდიოდა კარგ საფარქვეშ მყოფი მწყდართაგან. რამდენიმე ცხენიც მოუკლეს, თვითონ ასისთავი

მსუბუქად დაიჭრა. ბოლოს ისევ ასისთავმა იმარჯვა, ფარავნისწყალს აუყვა ჭენებით საჯავახოს ხეობაზე, რაც, რა თქმა უნდა, საჭურისებს ვერ გამოუვიდათ და სანამ ქურუმების ამალა ახორგილ ლოდებში გზას იკვლევდა, ასისთავი მაღლიდან წამოადგა და პირწმინდად გაჟლიტა.

ერთი შებერვით აიღეს მწვერვალი, მჭევართა გორად რომ იწოდებოდა, ყველა იქ მყოფნი, ვინც ცოცხალი გადაურჩათ, გარდა ექიმებისა, გაკოჭეს და გუშაგები მიუჩინეს, თვითონ კი დაბლა ქალაქისკენ დაეშვნენ.

ცეცხლმოკიდებული ტივი თითქმის შუა ტბაში შეეცურებინათ. იწვოდა შუაში აღმართული სვეტი, მის გარშემო შვიდი საპატარძლო, ხელებგაკრულნი, ელოდნენ სიკვდილს, გულწასული აწყვერას დედა, რომელსაც სჯეროდა, რომ მის შვილს გამოარჩევდა მათი ნათესავი უმაღლესი ქურუმი, უგონოდ ეგდო უმაღლესი ქურუმის ფეხებთან. ქალწულნი ალილუიას გალობდნენ, დასავლეთის სანაპიროზე მდგომი ხალხიც აჰყვა გალობას, ქალაქის გალავნიდანაც მღეროდნენ შუბოსნები ხალხის გასაჩუმებლად, ხან ზევით დარბოდნენ და ხან ქვემოთ. მერე ცეცხლმა დარია ხელი და კვამლმა მოიცვა მთელი ტივი. ხალხს გმინვა აღმოხდა. ახალგაზრდები წყალში გადახტნენ საშველად, მაგრამ მოისრეებმა მაშინვე ისრები დაუშინეს და ისინიც დაძირეს. ხალხი ტბის სანაპიროს მიაწყდა, იქაც შუბოსნებმა გადაუღობეს გზა, მაშინ ქურუმებისკენ გაიწიეს და აქ აწყვერის მთავარმართებელიც წამოადგათ თავზე და გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომელიც ძალიან მალე დამთავრდა. საჭურისები სანამ აწყვერის ჯარს ებრძოდნენ, ხალხმა ქალაქის თავი, თავისი მცირე ამალით და ყველა ქურუმით ხელფეხშეკრული წინ დაუყარეს აწყვერის მთავარმართებელს. ტივზე ყველაფერი დამწვარიყო და ახლა თვითონ ტივი იწვოდა. მწყდართაგან, თუ ვინმე ცოცხალი შემორჩა, ყველანი მჭევარის გორისკენ გაირეკეს.

ოცი ქურუმი, და თითქმის ამდენივე საჭურისი მათსავე სალოცავი კერპების წინ მუხლებზე დაეყენებინათ და გამძვინვარებული ასისთავი ვეღარ ელოდა ხალხის შეკრებას და ხმალამოღებული სათითაოდ სხეპდა თავებს ქურუმებს.

და გაგორდა საჭურის მთავარი ქურუმისთავიც. მერე თავები ჩრდილოეთის დაღმართზე დააგორეს, ტანი კი ცეცხლს მისცეს. ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ, ყველაფერი მიწასთან გაასწორეს. ქალაქისთავს საბელი გამოაბეს და ისე დააფლეთინეს გაუხედნავ ცხენებს.

მას შემდეგ საღამოობით დიდხანს ესმოდათ ქალაქიდან გადმომდგარ ხალხს ორი დედის გადაძახილი:

- თოლერა, შვილოო!!! ...გულსანოო!!..

- აწყვერავ, ქალოო, სად ხარ შვილო, სადა!!!

- კამარო... ჯოლალიიი!!! სად ხარ ქილაუუ!!!... დაიხვან?!!?

- აქა ვართ დედა, აქა!!! ქრისტეს სამწყსოში, აბა, სად დაგვეძებ დედი, სადააა!!!

- წულდანო, საპატარძლო გვირგვინები რა უყავთ, რააა!!!

- მზედ არ მოვსულვართ დედი, არც მთვარედ, ქრისტეს ვპატარძლობთ წულდანი, ქრისტესა...!!!!

- გვირგვინები გვადგას თავზედ, ოღონდ ყვავილებისა, დედიიი!!!

იქვე ისმოდა ყმუილი მწყდართა გორიდან ტურების ხროვისა, მთვარის გამოჩენაზე და დროდადრო, როცა მზე ამოვიდოდა, გმინვა და ოხვრაც ესმოდათ იქ მცხოვრებთ, ეს განწირული მწყდარ ჭაბუკთა გმინვა და ოხვრა იყო, ასობით ჭაბუკისა, ვინც უდედმამობით იქნა განწირული და დასაჭურისებული. ვინც ასე ბრმად ემსახურებოდა ქურუმებს იმ იმედით, რომ ოდესღაც ისინი ავიდოდნენ უმაღლესი ქურუმის ტახტზე. და ეს ტახტი აქ იდგა ამ გორაზე, რომელსაც ხალხმა მწყდართა გორა უწოდა. სამასი წელიწადი ტივტივებდა ტბის თავზე ნახევრადდამწვარი ხის მორები, არც იძირებოდნენ და არც არავის გამოჰქონდა ნაპირზე.

აწყვერის მთავარმართებელს ამოუბრძანებია წმინდა ღვთისმშობლის ხატი, ანდრია მოციქულის მიერ ჩამობრძანებული და ტბიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ეკლესია აუგია კიდეც. ქალწულ დათა სახელზე, რომელიც მერე ჯერ წულდის სახელით მოიხსენებოდა, ახლა კი წუნდა ჰქვია. სავარაუდოდ, ვახტანგ გორგასალმა ამ ეკლესიაზე დაარსა ერთ-ერთი პირველი ეპარქია მთელ სამცხე-საჯავახოში, რომელმაც კუმურდოში გადაინაცვლა მეცხრე საუკუნეში, იქ ადრე ერთ-ერთი დის, კამარის, სახელზე სალოცავი უკვე ყოფილა - კამარდათ წოდებული, ახლა (კამარი- კუამარი) კუმურდო ჰქვია; იქვე ზეგანზე წუნდას დაჰყურებს დახვანდის ეკლესია, ქალწულ დაიხვანის სახელზე რომ აუგიათ. ჩრდილო-დასავლეთით ჯოლალის სახელზე აუგიათ პატარა სალოცავი ჯოლალდა რქმევია, ახლა ჯოლდათაა ცნობილი, გამოქვაბულებიდან სამხრეთით, ფერდობზე, ახლაც არის პატარა ეკლესია; ცოტათი ქვემოთ, უფროსი დის გულსანის სახელზე აუგიათ ეკლესია, წმიდა ნინო სწორედ აქ გაჩერებულა ღამის გასათევად, ჯერ გულისანდა ერქვა, ახლა გელსუნდა ჰქვია, ჯავახეთის ზეგანზე,

თრიალეთელ მთავარს აუგია ქილალდად წოდებული სალოცავი, ახლა ქილდა ჰქვია, წმინდა გიორგის ტაძარი, ახლაც ელის ქილალთან ერთად მრევლს, დაცარიელებულ სოფელში. საროელი ვაჟის მშობლებს, გაღმა, გულისანდას თავზე, თოლერის სახელზე ტაძარი და სოფელი გაუშენებიათ, თოლერდა ერქვა, ახლა თოლერთად წოდებული, ხოლო აწყვერელ ასისთავს აწყვერას სახელზე ერთ - ერთ ულამაზეს ადგილას საროს გამოღმა აწყვერდას ეკლესია აუგია. ჯერ აწყვიდად წოდებული, ახლა კი, აწყვიტა ჰქვია...

- პაპავ, შენ უკვე იცოდი ეს ამბავი, როცა იმ თურქს თავი მოჰკვეთე და იმ გორიდან დააგორე?!- უნებლიედ აღმომხდა, როცა ეს, საკმაოდ გრძელი ამბავი მოვისმინე.

- არა, შვილო, არ ვიცოდი; მერე გავიგე, როცა ომიდან დავბრუნდი. მაშინვე ცოლის მოყვანა გადავწყვიტე აქ, ქილდაში, მაშინ ეკლესია და სოფელი ისევ იყო. ჯვრისწერის წინადღეს დამიბარა მღვდელმა, აღსარება უნდა ჩამებარებინა. მე ეს ამბავი, რომელიც ცოდვად მაწვა, ვუთხარი აღსარებაში, როცა გარეთ გამოვედით, წამომყევიო- მითხრა. აი იმ ქარაფის თავზე ჩამოვჯექით - მოხუცმა თითი მარჯვნივ გაიშვირა და ფრიალო კლდის გადმოსახედი მაჩვენა - მეც იქვე მიუჯექი გვერდზე და ეს ამბავიც მაშინ მომიყვა.

წმიდა ნინო ფარავნის ტბიდან ჯერ ქილდას სწვევია, მერე მწყდართა გორას და ულოცია აქ, იქიდან კი წუნდის ტბაზე ჩასულა და მუხლისჩოქვით სამჯერ შემოუვლია ტბისთვის. ეკლესია დაენგრიათ, ქურუმების დასჯით გამძვინვარებულ სპარსებს, ყველა სალოცავი, რომელიც ქალწულ დათა სახელზე იყო აშენებული გაანადგურეს, აი სახელები კი შემორჩათ, წმინდა ნინო იქიდან დაჰყოლია და ყველა სოფელი და სალოცავი მოუნახულებია წმიდა ქალწულების სახელზე აშენებული, აწყვერსაც სწვევია და მერე მცხეთაში ხლებია მეფე მირიანს...

ამ უცნაურ ბერიკაცს დავემშვიდობე და ჩემი მეგობრებისკენ მოვკურცხლე, ცოტა რომ გამოვიარე, ავხედე, იგი საბელს მოსჭიდებოდა და ისე მისდევდა თავის პატარა ქარავანს.

ორი დღის შემდეგ მამაჩემმა მოიტანა ამბავი:

გუშინ, კვარშის ასასვლელში, გზაზე, ხერთვისელებს, მოხუცი უნახავთო მიცვალებული.

მე გამაჟრჟოლა, ძალიან დიდხანს ჩემ თავს ვთვლიდი დამნაშავედ მის სიკვდილში, მაგრამ აბა, რა შემეძლო, ან რით დავეხმარებოდი მე ათი წლის ბიჭი, ბერიკაცს?

მე პაპაჩემს მოუყევი მისი მონათხრობი. არც არა მითხრა რა, ერთი კი სთქვა:

- გულადი და ნიჭიერი კაცი იყოო, იქ 1914 წლის ომში ერთად ვიყავით და მე ვიციო მისი. მერე, მისი შვილები შეეწირნენ ჰიტლერთან ომს და ცოლი გადაჰყვა ამ ამბავს. დარჩა მარტოდ. მაგისთვის ახლა სიკვდილი მადლი იყო შვილო, ოღონდ არა ასე, თვალისდამხუჭავი რომ არ გეყოლება გვერდით არავინ.... ეჰ, კიდევ კარგი ნადირმა არ შეჭამა ღამე- დასძინა ბოლოს პაპამ.

ბევრჯერ მიფიქრია ამ უცნაურ ბერიკაცზე, თუ როგორ დაეძებდა სიკვდილს, როგორც ის თურქი. იპოვა კიდეც, თავისი სულის დასამშვიდებლად და ბოლო აღსარებაც მე მომიგდო, რომ ახლა მე მეტარებინა მთელი ცხოვრება, ან, რომ არ დაკარგულიყო ალბათ. ან ვინ იცის რა ჰქონდა გულში ბერიკაცს.

წუნდის ტბაზე წასულ ბავშვებს კი გვაფრთხილებდნენ: ოქროსთმიანი ქალი სახლობსო ტბის ფსკერზე, რომელიც, ტბაში შესულ ბავშვებს, თავისი ოქროს თმებით მოხიბლავს, მერე კი, ხელ-ფეხს შეუკრავს და დააახრჩობსო....

2016-2017 წელი.
მადრიდი, თბილისი

ლეგენდა

ამალია კუპრავიშვილი

ამალია კუპრავიშვილი დაიბადა ახმეტის რაიონის სოფელ კოლოთოში. ოჟიოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში, აგრონომიულ ფაკულტეტზე მცენარეთა დაცვის სპეციალობით.

ბავშვობიდან წერს ლექსებს და ჩანახატებს, რომლებიც იბეჭდებოდა როგორც რაიონულ პრესაში, ასევე აგრარულ უნივერსიტეტში, გამომცემლობა „რაევოში“, გაზეთში „მეოთხე“ და სხვა.

უკვდავების წყარო

ეძღვნება ჩემს უსაყვარლეს სოფელ კოღოთოს და კოღოთოელებს დიდი სიყვარულით

ეს ისტორია დღეს უკვე ლეგენდად ქცეულა და სოფელში მოხუცებს დღემდე ახსოვთ. ახალგაზრდა შეყვარებული წყვილი საქორწილოდ ემზადებოდა, მაგრამ გოგონას მძიმე სენი შეეყარა. დღითიდღე დნებოდა ულამაზესი მარიამი. საგონებელში ჩავარდნენ საქმრო და ახლობლები.

ერთ ღამეს საქმროს თეთრწვერა, თეთრი ტანსაცმლით შემოსილი მოხუცი ესიზმრა და ატირებულ ვაჟს მიზეზი ჰკითხა. როდესაც გოგონას ავადმყოფობის ამბავი გაიგო, უთხრა: - „ნუ სტირი, შვილო, სიყვარული და უფლის რწმენა შეუძლებელს შეგაძლებინებს, მთავარია, გულწრფელად გიყვარდეს, მე გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე. მჯერა, რომ შენ ამას შესძლებ. გოგონა აუცილებლად გამოჯანმრთელდება და კვლავ ბედნიერები იქნებით, მაგრამ ერთი დაიმახსოვრე: თუ საქმე დათქმულ დროში არ დაასრულე, შედეგს ნუ დაელოდები“.

გახარებული ვაჟი ფეხებში ჩაუვარდა მოხუცს, კალთაზე ეამბორა და შეეხვეწა: ოღონდ მასწავლეთ გზა, როგორ ვუშველო ჩემს მარიამს

და ყველაფერზე თანახმა ვარ, თვით ჩემს სიცოცხლესაც მსხვერპლად შევწირავო.

მაშინ მოხუცმა უთხრა: „შვილო, ჩემო, საღამოს უსანეთის ეკლესიაში წადი და სანთლები დაანთე, უფალს შეევედრე, დაგეხმაროს, ხოლო დილით ადრე კი, საქმეს შეუდექი: მდინარე ალაზნის პირას ერთი მაღალი პიტალო კლდეა, კლდის წვეროზე სამი მუხა დგას, კლდის შუა ნაწილში კი, პატარა წყარო მოჩუხჩუხებს. წყაროს ჯადოსნური ძალა აქვს - განკურნება შეუძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, კლდეს ქვემოდან ვერ მიუდგები. ამისათვის საჭიროა, ერთ დღე-ღამეში კლდეში გათხარო 100 საფეხური, მიხვიდე წყაროსთან, მოასწრო დოქით წყლის ავსება და სოფელში მისი ამოტანა. წყალი შენს საცოლეს უნდა დაალევინო. ეს ყოველივე დიდ შრომას და ძალისხმევას მოითხოვს. ახლა არჩევანი შენზეა. შეგიძლია, უარი თქვა. ეს შენი გადასაწყვეტია“.

- „მე თანახმა ვარ, დიდი მადლობა, დიდი მადლობა!“ - წამოიძახა ვაჟმა. მოხუცის წინ მუხლებზე დაეცა და მოხუციც გაქრა.

აფორიაქებულ ვაჟს აღარ დასძინებია, მთელი დღე მარიამთან გაატარა, საღამოს სოფლის ბოლოში უსანეთის ეკლესიას ეახლა და სანთლები დაანთო, ყველა წმინდანის ხატს ეამბორა, დახმარება სთხოვა და ფრთაშესხმული სახლში დაბრუნდა. ის ღამეც ლოცვაში გაატარა, მამლების ყივილს დაასწრო ადგომა და ღამის სირბილით გაიარა სამი კოლომეტრი, უთენია მიადგა კლდეს და თავგამოდებით შეუდგა საქმეს. დღის ბოლომდე ქანცგაწყვეტილმა წყარომდე მიაღწია კიდეც, მაგრამ აქაც თურმე განსაცდელი ელოდა. წყარო ზედ კლდის პირზე ამოჩუხჩუხებდა, ვაჟს უეცრად ფეხი დაუცურდა, მაგრამ იმარჯვა, ორივე ხელით კლდის ქიმს ჩამოეკიდა. ზემოთ ასვლა აღარ შეეშლო. ქვემოთ... ქვემოთ კი... ადიდებული ალაზანი მოდგაფუნობდა.

„ღმერთო! მომეცი ძალა“, - წამიერად გაიფიქრა ვაჟმა, თვალები დახუჭა და კლდეს ხელი შეუშვა. ისარივით წამოვიდა ძირს და ალაზნის მღვრიე ტალღებში ჩაინთქა. წუთით, თითქოს ბუნებაც გაირინდა. სიყვარული იბრძოდა, იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ალაზანი ბორგავდა, ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა. ბინდმა იძალა, მაგრამ სველ სანაპიროზე მხოხავი ჩრდილი მაინც გამოიკვეთა. არა, ეს ჩრდილი კი არა, ადამიანი იყო. კარგა ხნის შემდეგ იგი შეინძრა, წამოიწია, პირჯვარი გამოისახა, ბარბაცით გაუყვა ნაპირს და კლდეს ქვემოდან შეხედა.

„მე შევძლებ, მარიამის გულისთვის ყველაფერს შევძლებ!“ - უკვე ხმამაღლა წარმოთქვა ვაჟმა და ციცაბო ბილიკს შეუყვა, ჩქარობდა, - დილამდე დათქმულ დრომდე წყაროსთან უნდა მიეღწია. მთვარემ თითქოს მისი ჩანაფიქრი გაიგოო, ღრუბლებიდან ალმაცერად გამოანათა. ბოლოს, როგორც იქნა, თავი დააღწია ონავარ ღრუბლებს და არემარე გაანათა.

„გმადლობ, უფალო, შენ შემეწიე!“ - წამოიძახა ვაჟმა, რომელსაც მაყვლისა და ძეძვის ეკლებისგან ტანსაცმელი შემოფლეთოდა, ხელფეხიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ. მუხებამდე რომ მიაღწია, ცოტა შეისვენა და ახლა თავისივე გამოკვეთილი საფეხურებით წყაროსკენ დაეშვა. ინათა. წყაროსთან რომ მიაღწია, წყალი სახეზე შეისხა, იქვე მიგდებულ დოქს დასწვდა, წყლით შეავსო და სირბილით ამოუყვა საფეხურებს.

უკვე მამლები ყიოდნენ, სოფელში რომ შემოვიდა. „მოვასწარი, მოვასწარი, გმადლობ, უფალო! მარიამი გადამირჩება!“ - სირბილით შევარდა სახლში. გოგონამ ტანსაცმელშემოფლეთილი ბაკურის დანახვაზე შეჰკივლა. - „ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლე, შენ გადარჩები! ნახე, უკვდავების წყალი მოგიტანე“, - თქვა და მარიამს დოქით ანკარა ცივი წყალი მიაწოდა.

გოგონას ჟრუანტელმა დაუარა. „ღმერთო! თურმე როგორ ვყვარებივარ! მე სიკვდილის უფლება არა მაქვს, მისთვის უნდა ვიცოცხლო!“ - გაიფიქრა გულში და ვაჟს ხელი გაუწოდა. წყალმა თითქოს ძალა შემატა, ძველებური სიხალისე დაუბრუნა, მის ლამაზ თვალებში ისევ აკიაფდა სიცოცხლის ნაპერწკალი და საწოლიდან წამოდგომაც კი მოისურვა. ყველა გაოცებული იყო გოგონას სახეცვლილებით, იცინოდა, ხალისობდა, ახლობლებს ეფერებოდა, წყლიანი დოქი გულში ჰქონდა ჩახუტებული და ყლუპ-ყლუპით სვამდა ანკარა წყალს.

ორიოდ კვირაში მარიამი მართლაც წამოდგა საწოლიდან, ყველას უკვირდა და უხაროდა მისი ასეთი ფერისცვალება და ამას მართლაც სასწაულს მიაწერდნენ, უფლის შემწეობით წყლის ჯადოსნურ ძალას, რომელმაც ორ ლამაზ ახალგაზრდას დიდი სიყვარული და ბედნიერება აჩუქა.

მათ ჯვარი უსანეთის ეკლესიაში დაიწერეს და ქორწილში მთელი სოფელი მიიწვიეს. მართლაც, უფლის ნება იყო ამ წრფელი და კიდევ ერთი რომანტიული სიყვარულის ბედნიერი დასასრული....

ეს კია, რომ ალაზნის პირას, კლდეში დღესაც მოჩუხჩუხებს ანკარა ცივი წყარო, რომელსაც კლდეში გამოკვეთილი 100 საფეხური ჩაუყვება. კლდის თავზე კი კვლავ დგას სამი მუხა. ამ წყაროს დღესაც უკვდავების წყაროს ეძახიან კოღოთოელები. ჩახვალ წყარომდე და გგონია, ცასა და დედამიწას შუა ხარ გამოკიდებული. დალევ ამ წყალს და გრძნობ, მართლა უკვდავია ადამიანი. ისეთი სუფთა, ცივი და ანკარაა, ხელის უნებლიე მიკარებისაც კი გეშინია - უცებ არ გაქრესო...

გადახედავ დაბლა ალაზანს, რომელიც ტყის სიმწვანეში ვერცხლის ქამარივით ელვარებს. ხან შფოთავს და ბორგავს, ხან კი დინჯი კახელივით წყნარად მიბუტბუტებს და ერთი ლამაზი სიყვარულის ამბავს გიყვება.

მარგანი

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი



დაიბადა დაახლოებით 35 წელს კალაგურისში (თანამედროვე კალაორა, ესპანეთი) იგი გახლდათ დიდი რომაელი რიტორიკოსი, მჭერმეტყველობის დიდებული პედაგოგი, ანტიკური პედაგოგიკის კლასიკოსი და ავტორი ანტიკური ხანის ორატორული ხელოვნების ყველაზე სრულყოფილი წიგნისა - „ორატორის მოძღვრება“.

მჭევრმეტყველების სწავლება

წიგნი მეთორმეტე
თავი პირველი (ნაწყვეტი)

1. ორატორი, რომელსაც ჩვენ ვზრდით, უნდა იყოს ისეთი, როგორც კატონმა თქვა: კაცი პატიოსანი, სიტყვის დიდოსტატი. რასაც კატონი ყველაფერზე მაღლა აყენებს, თავისთავად დიდებული და საპატიოა, ანუ კაცი პატიოსანი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თუ სიტყვის დიდოსტატობას გამოიყენებდნენ ბოროტების დასათესად, მაშინ კერძო თუ საზოგადო საქმეებისთვის მჭევრმეტყველებაზე უარესი არაფერი იქნებოდა, არამედ კიდევ იმიტომ, რომ ჩვენ თავადაც, თუ ამას ხელს შევუწყობდით, კაცობრიობას საზარელ საქმეს გავუკეთებდით - იარაღს ხელში ყაჩაღს ჩავუგდებდით და არა მებრძოლს.

2. რატომ ვამბობ ჩვენ? თავად ბუნებაც იქნებოდა არა დედა, არამედ დედინაცვალი, თუ სიტყვის ძალა მოემსახურებოდა ბოროტებას, ჩაგვრას, ქეშმარიტების უარყოფას. მაშინ უკეთესი იქნებოდა, მუნჯები დავბადებულიყავით და უგონონი, ვიდრე მიგვემართა მეტყველების ღვთაებრივი ნიჭი ერთმანეთის განადგურებისკენ.

3. ეს მოსაზრება კიდევ უფრო რომ განვავრცო, ვიტყვი, რომ ორატორი არა უბრალოდ პატიოსანი ადამიანი უნდა იყოს, არამედ შეუძლებელია იყო კარგი ორატორი, თუ არ იქნები კარგი ადამიანი. მართლაც, როგორ ვუწოდოთ ჭკვიანი იმათ, ვინც თავის წინ ხედავს კარგს და ცუდს და მოინდომებს ცუდის არჩევას?

4. თუ არა მხოლოდ ბრძენების, არამედ საერთოდ აღიარებული აზრის მიხედვით, არავინ იქნება ბოროტი, თუ უგონო არ არის. მაშინ უაზრო ადამიანი ვერასდროს იქნება ორატორი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ გონება ისე ვერაფერ სიკეთეს ვერ იქმს, თუ ყველანაირი ნაკლისაგან არ იქნება თავისუფალი.

5. და ეს იმიტომ, უპირველეს ყოვლისა, რომ ერთსა და იმავე გულში არ არის ერთდროულად ადგილი პატიოსნებისა და ნაკლისათვის, ისე როგორც შეუძლებელია, ერთი და იგივე ადამიანი ერთდროულად კეთილიც იყოს და ბოროტიც. მეორეც, იმ მიზეზით, რომ კარგი საქმისთვის მომართული აზრი თავისუფალი უნდა იყოს ყველაზე უფრო უმნიშვნელო ბოროტებისგანაც კი.

6. მხოლოდ მაშინ დაკავდება იგი თავისი ნამდვილი საქმით მთელი არსებით. თუ ზედმეტად ვართ დაინტერესებული მიწათმოქმედებით, ან სხვადასხვა საშინაო საქმეებით, ნადირობით, ან თეატრით, ეს დიდად შეუშლის ხელს სასწავლო საქმიანობას. ერთი საქმიანობისთვის გამოყოფილი დრო მეორეს აკლდება. მაშინ რა ვუყოთ ძლიერ ვნებათღელვას, პატივმოყვარეობას, სიძულვილს, რომლებიც არასდროს გვაძლევს მოსვენებას - არც დღე, არც ღამე, სიზმარშიც კი.

7. არაფერია უფრო მოუსვენარი, მერყევი, არაფერი აღელვებს ადამიანის სულს ისე, როგორც ბოროტება. როცა ბოროტებას ჩაიდენ, შიშით, სინანულით და მოუსვენრობით დასჯა დამსახურებულად მოგეზღვება. ასეთ დროს სადღა იქნება ადგილი ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის? ისე, როგორც მიწაზე სარეველად ამოსული ბალახის შემთხვევაში.

8. სწავლის დროს ზომიერების დაცვა საჭიროა? მაგრამ რას უნდა ველოდოთ იმ ადამიანისგან, ვინც შეპყრობილია ფუფუნების და პატივის სიყვარულით? შექება ხომ არ არის სწავლის დროს მასტიმულირებელი? ავი ადამიანები რაიმედ დაგიდევენ ქებას? ვინ არ იცის, რომ მჭევრმეტყველების დიდი ნაწილი ეფუძნება პატიოსნებას და სამართალს? განა შეუძლია, ამაზე ღირსეულად ილაპარაკოს იმ ადამიანმა, რომელიც ავია და უსამართლო?

9. და ბოლოს, ამაზე ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, წარმოვიდგინოთ, რომ ყველაზე ბოროტ ადამიანს იმდენივე ჭკუა და ინფორმაცია აქვს, რამდენიც ყველაზე კეთილს. რომელ მათგანს დაუძახებ უკეთეს ორატორს? რა თქმა უნდა, იმას, ვინც მორალურად უფრო მდგრადია. შესაბამისად, ბოროტ ადამიანს არ შეუძლია იყოს სრულფასოვანი ორატორი, რადგან თუ რაიმე უკეთესი არსებობს, ის აღარ შეიძლება იყოს სრულყოფილი.

10. თუ ვერ აჩვენებ, რომ ჩვენ, სოკრატეს მოსწავლეების მსგავსად, საკუთარ შეკითხვებზე თვითონვე ვეძებთ პასუხებს, დაე, ვინმემ გაბედოს და ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ ამტკიცოს, რომ იმავე ჭკუის და შესაძლებლობების მქონე ადამიანი, როგორიც კეთილია, მაგრამ ბოროტი ადამიანი, არ იქნება უფრო ცუდი ორატორი.

11. თუ დავამტკიცებთ, აღმოვაჩენთ ამ მტკიცების უხერხულობას, რადგან ყველა ორატორი ცდილობს, სასამართლოზე თავისი საქმე წარადგინოს, როგორც წესიერი და სამართლიანი.

12. ამას ვინ უკეთ მოახერხებს - კეთილი, თუ ბოროტი? რა თქმა უნდა, კეთილი. იგი უფრო ხშირად მიმართავს წესიერებას და სამართლიანობას. მაშინაც კი, როცა გარემოებათა გამო იძულებული იქნება, ტყუილი თქვას (შეიძლება ასეც მოხდეს). მოსამართლე მას უფრო მეტი გულისხმიერებით მოუსმენს. ხოლო უსინდისო ადამიანი, რომელიც არად დაგიდევს სამართლიანი და პატიოსანი კაცის სახელს, ხშირად კარგავს ზომიერების გრძნობას და უსირცხვილოდ ამტკიცებს უსამართლობას, უსინდისოდ გაჯიქდება და უსარგებლო საქმეც ამას მოჰყვება.

13. ასეთი ადამიანები, როგორც ყველა სხვა საქმეში, სასამართლო საქმეებშიც უაზრო და საეჭვო იმედებით აღიჭურვებიან. ხშირად მათი არ სჯერათ მაშინაც კი, როცა მართალს ამბობენ და ამით ისინი იმ საქმესაც აფუჭებენ, რომლის დაცვასაც აპირებენ.

14. ახლა მე იმათ უნდა ვუპასუხო, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი ამბობენ, განა ამის გამო დემოსთენესი არ იყო დიდი ორატორი? როგორც ჰყვებიან, იგი არცთუ წესიერი ადამიანი იყო. არც ციცერონი? ბევრი ეჭვქვეშ აყენებს მის მორალურ მხარესაც. რა გავაკეთო? ბევრს უნდა ვაწყენინო, მაგრამ შევეცდები, ვიყო ზომიერი.

15. მე არც დემოსთენესის ამორალურობის მჯერა, როგორც ხმებს უვრცელებენ, როცა ისტორიაში ვკითხულობ მის დიდ დამსახურებებზე სამშობლოს წინაშე და ღირსეულ გარდაცვალებაზე.

16. ვერც ტულიუსის, მსოფლიოს საუკეთესო მოქალაქის არასაკმარის გულმოდგინებაში დავეთანხმები ვინმეს. ამაზე მეტყველებს მისი დიდებული კონსულობა, მის მიერ პროვინციის უნაკლო მართვა, უარის თქმა იმაზე, რომ ყოფილიყო ოცთაგან ერთ-ერთი კომისარი, სამოქალაქო ომების დროს მისი ქმედებები, მისი ჩართულობა ყოველგვარი შიშის გარეშე იმ კრიტიკულ მოვლენებში, რომლებიც ხდებოდა მის დროს ქვეყანაში.

17. ზოგი მას უგულო ადამიანად თვლის. ამათ ციცერონი თავადვე პასუხობს, რომ იგი მშიშარა მხოლოდ მაშინ იყო, როცა რაიმე საფრთხე აღმოცენდებოდა და არა მაშინ, როცა წინააღმდეგობის გაწევა იყო საჭირო. ამაზე დიდსულოვნებით და სიმტკიცით გამორჩეული მისი სიკვდილიც მეტყველებს.

18. ხოლო იმაზე, რომ ეს ადამიანები არ იყვნენ ღირსეულები, საიდანაც წარმოიშვა შეკითხვა, ანუ არც ორატორები იყვნენ? მე ვუპასუხებ ისევე, როგორც ამას სტოიკოსები აკეთებენ, როცა მათ ეკითხებიან, ვინ უფრო ჭკვიანი იყო - ზენონი, კლეანეა თუ ქრისიპოსი? ისინი პასუხობენ - მართალია სამივენი დიდებული, პატივის ღირსი მამაკაცები იყვნენ, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს იმ სრულყოფილებას, რომელიც ადამიანის ბუნებას აღემატება.

19. პითაგორასაც სურდა, მისთვის ეწოდებინათ არა ბრძენი, როგორც ამას მისი წინამორბედები აკეთებდნენ, არამედ სიბრძნის მოყვარული. მაგრამ მე ხშირად ვუწოდებ, როგორც ეს არის კიდეც მიღებული, ციცერონს სრულყოფილ ორატორს ისე, როგორც ჩვენს მეგობრებს ვუწოდებთ პატიოსნებს და ჭკვიანებს. თუმცა ასეთ თვისებებს მხოლოდ ბრძენს მიაწერენ.

20. მაგრამ, თუ საჭიროა ყველაზე დიდ ჭეშმარიტებაზე ვისაუბროთ, მაშინ მეც ვეძებ ისეთსავე ორატორს, როგორსაც ციცერონი ეძებდა. უნდა ვაღიარო, რომ არავინ იყო მასზე უფრო დიდი მჭევრმეტყველი. მე მის ვერანაირ ნაკლს ვერ ვხედავ. ასევე ამბობენ სწავლულები, რომლებიც მასთან პოულობენ უამრავ ღირსებას და ძალიან ცოტა ნაკლს. თუმცა ციცერონი თავადვე აღიარებს, რომ თავის თხზულებებში ბევრი რამ ახალგაზრდული გულწრფელობით მოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით თავმოყვარე იყო, საკუთარ თავს ბრძენს არ უწოდებდა. მაშინ, როცა შეეძლო, მჭევრმეტყველება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აეყვანა, უფრო დიდხანს და ისეთ დროში რომ ეცხოვრა, როცა მშვიდი, სწავლას მოწყურებული, ნიჭიერი სწავლულები ცხოვრობდნენ. მაშინ,

შემიძლია, თუ არა ვამტკიცო, რომ ვერავინ მიაღწია მჭევრმეტყველებაში ისეთ მწვერვალებს, როგორც ეს ციცერონმა შეძლო?

21. სხვა შეხედულების რომ ვყოფილიყავი, მაშინაც კი ჩემს აზრს თავისუფლად და დაჟინებით დავიცავდი. განა მარკუს ტულიუსი თავადვე არ აღიარებდა, რომ არასდროს უნახავს ადამიანი პირდაპირ, განსწავლულობის გარეშე მჭევრმეტყველი?

22. ციცერონიც ეძებს და წარმოსახვაში ხატავს ორატორს: მე რატომ არ შემიძლია ვთქვა, რომ მომავალში ძნელად თუ მოიძებნება იმაზე უფრო აღმატებული და სრულყოფილი, ვიდრე უკვე იყო. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ციცერონს და დემოსთენესს მჭევრმეტყველებაშიც კი არ მიუგებენ საკადრისად. თავად ციცერონი არ აღიარებს დემოსთენესის სრულყოფილებას. მისი აზრით, დემოსთენესს ხანდახან ჩაეძინება ხოლმე. ციცერონზე ბრუტუსი და კალვუსიც იმავეს ფიქრობენ. ორივე ასინიუსიც (მამაც და შვილიც) თავიანთ თხზულებებში ხშირად მიანიშნებენ ამ უკანასკნელის ნაკლზე.

23. დაუჯერებელია, მაგრამ მაინც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ, მოიძებნება კაცი ცუდი მორალით და კარგი მჭევრმეტყველებით. მე მაინც არ ვიტყვი, რომ ის ორატორია. ისე, როგორც უხეშ ადამიანზე არასდროს ვიტყვი, რომ ის მამაცია. სიმამაცე გარკვეულ ღირსებებსაც გულისხმობს.

24. განა ადამიანს, რომელმაც ვინმე უნდა დაიცვას, არ სჭირდება ისეთი ერთგულება, რომელიც არანაირ ქრთამზე არ იყიდება, ან შიშისგან არ შედრკება? და ჩვენ მოღალატეს, გამყიდველს, მექრთამეს ვუწოდებთ ორატორის წმინდა სახელს? რატომ არ შეიძლება, რომ ორატორი, რომელიც ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ მომავალში გამოჩნდება, იყოს ერთდროულად კარგი მჭევრმეტყველიც და კეთილიც?

25. ჩვენ გვჭირდება არა უბრალოდ კანონმდებლის აღზრდა, რომელიც შუამავლის როლს ძლივს შეასრულებს, არამედ ბუნებისგან დიდი ნიჭიერებით დაჯილდოებული, სხვადასხვა ღირსებებით შემკული, ადამიანების საკეთილდღეოდ გამოგზავნილი, კარგად მოაზროვნე და საუკეთესოდ მოსაუბრე მჭევრმეტყველის.

26. რა სარგებელს მოიტანს ასეთი ადამიანი, როცა უდანაშაულოს დაიცავს, ან ბოროტთა სიავეს შეაკავებს, ან ფულთან დაკავშირებული პრობლემების გარკვევას შეეცდება? უდიდეს სარგებლობას. მაგრამ კიდევ უფრო დიდ სარგებლობას მოიტანს, როცა სენატში

საჭირო აზრს წარმოთქვამს, ან გაურკვევლობაში მყოფ ადამიანებს დააკვალიანებს.

27. განა ზუსტად ასეთ მამაკაცს არ გვიხატავს ვერგილიუსი - საკუთარი ტომის დამცველს და ყველა გაჭირვებასთან შემრკინებელს? *Tum pietate gravem et meritis si forte virum quem Conspexere, silent, arrectisque auribus adstant,* [Aen. i. 148.] ჯერ აღნიშნავენ, რომ ის არის კარგი კაცი, შემდეგ ამბობენ, რომ არის კარგი მოსაუბრე.

28. განა ომის დროს სიმამაცე არ შთააგონებს მებრძოლს იმ სიტყვებს, რომლის წარმოთქმაც სურს? როცა მას საშინელი ომი ემუქრება, შიში ეუფლება მოსალოდნელი ჭრილობების გამო, როგორღა ჩავუნერგოთ სამშობლოს სიყვარული, სიმამაცე და დიდების სურვილი? ვის შეუძლია უკეთ ამ გრძნობების გაღვივება, თუ არა მას, ვინც თავად არის ამ ემოციებით განმსჭვალული?

29. მოჩვენებითობა, მთელი თავისი სიფრთხილით, საკუთარ თავს თვითონვე ყიდის. დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ წაიბორძიკებს, თუ ისეთ რამეებს ამბობს, რომელსაც მისი გული არ ეთანხმება. უღირსი ადამიანი სხვას ამბობს, სხვას გრძნობს.

30. ამის საწინააღმდეგოდ, პატიოსან ადამიანს ყოველთვის მზად აქვს პატიოსანი სიტყვა, იგი ყველაფერში ხელმძღვანელობს კეთილგონიერებით. მისი სიტყვა თავისუფალია ხელოვნური ეშმაკობისგან, ხოლო გულწრფელი სიტყვა ყოველთვის ნდობას წარმოშობს.

31. ასე, რომ ახალგაზრდა ან ნებისმიერი ასაკის ადამიანი (რადგან სიკეთისკენ სწრაფვა ყველა ასაკში საჭიროა), უნდა ისწრაფვოდეს იმ სრულყოფილებისკენ და შესაძლოა, გამოუვიდეს. თუ ბუნება არ არის წინააღმდეგი იმისა, რომ ადამიანი წესიერიც იყოს და კარგი ორატორიც, რატომ უნდა გვეშინოდეს, რომ ვინმე ვერ მოახერხებს ამ ორი თვისების ერთდროულად დაუფლებას? ყოველ შემთხვევაში, მისწრაფება ორივე საქმეში საჭიროა. საერთოდ, უნდა ამოვაგდოთ თავიდან ის აზრი, რომ დიდი მჭევრმეტყველება ნაკლოვან გულში თავსდება.

32. თუ ბოროტ ადამიანს ერგო სიტყვის წარმოთქმის ნიჭი, ეს შეიძლება ჩავთვალოთ ბოროტებად, რომელიც ნელ-ნელა მას კიდევ უფრო ცუდს გახდის.

33. ამასთან, მეჩვენება, რომ ამის საწინააღმდეგოდ მესმის შემდეგი მოსაზრება (ყოველთვის გამოჩნდება ხალხი, რომლებსაც ურჩევნიათ, იყვნენ კარგი მჭევრმეტყველები, ვიდრე კარგი ადამიანები): მაშინ რატომღა ამბობენ, რომ მჭევრმეტყველება ხშირად

მიმართავს სხვადასხვა ეშმაკობა? მე თვითონვე რაღად ვლაპარაკობდი ცოტ-ცოტა ეშმაკობებზე რთული საქმის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე და მაშინაც, როცა აშკარა დანაშაულთან გვაქვს საქმე? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მჭევრმეტყველების ხელოვნება და ძალა ზოგჯერ ჭეშმარიტების წინააღმდეგ წასვლაში მდგომარეობს? თუ წესიერი ადამიანი დასაცავად მხოლოდ სამართლიან საქმეებს იღებს, მაშინ ჭეშმარიტება თავად დაიცავს საკუთარ თავს, წესებისა და კანონების ცოდნის გარეშე.

34. თავდაპირველად ვიტყვი საკუთარი თავის გასამართლებლად, მერე კი იმათთვის, ვინც მეწინააღმდეგება, რატომ არის ზოგჯერ პატიოსანი ადამიანი იძულებული, დაიცვას დამნაშავე. იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რატომ უნდა დავიცვათ სიცრუე და ტყუილი, ან ის, რაც უსამართლოა, არ არსებობს სხვა მიზეზი, ვიდრე ის, რომ ასე ჩვენ უფრო მარტივად შეგვიძლია გავაქარწყლოთ მანკიერი არგუმენტები, როგორც ექიმი მიმართავს ხოლმე მკურნალობისთვის იმ საშუალებებს, რომლებიც მტკივნეულია.

35. სასწავლებლებში ატარებენ ხოლმე შეჯიბრებებს. ერთსა და იმავეს ერთი იცავს, მეორე - უარყოფს. მაგრამ არც ერთის სიწრფელე არ დგება ეჭვქვეშ. არც კარგად ცნობილი კარნეადესი, რომელიც, როგორც ამბობენ, კამათობდა ცენზორ კატოს წინაშე, ჩაუთვლია ვინმეს ამორალურ ადამიანად იმის გამო, რომ არანაკლები ძალით ამართლებდა იმას, რაც წინა დღეს დიდი მონდომებით უარყო და დაადანაშაულა. მაგრამ ხშირად ბოროტება, დაპირისპირებული სათნოებასთან, მეტი ძალით აჩვენებს, რა არის სათნოება. სამართლიანობა ხომ ხშირად ცხადი ხდება უსამართლობასთან შეპირისპირებისას. საერთოდაც, ბევრი რამ მტკიცდება საწინააღმდეგოთი. ორატორისთვის მისი მოწინააღმდეგეების ზრახვები ისევე კარგად უნდა იყოს ცნობილი, როგორც ბრძოლის ველზე სტრატეგოსისთვის - მტრის გეგმები.

36. მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს (რაც საკმაოდ უცნაური ჩანს), რომ პატიოსანი ადამიანიც იძულებული გახდეს, სასამართლოს დაუმალოს საქმის ჭეშმარიტი არსი. თუ ვინმეს ეს ჩემი სიტყვები გაუკვირდება (თუმცა ამას მარტო მე არ ვამბობს, ბევრი ისეთი ადამიანიც, რომლებიც ცნობილი მორალისტები არიან), იცოდეს, რომ ჩვენი ქმედებების უმეტესი ნაწილი - არა ჩადენილი, არამედ განზრახული, სხვადასხვა შემთხვევაში ან წესიერია, ან არაწესიერი.

37. თუ ზოგჯერ ადამიანის მოკვლა კეთილშობილ საქმედ ითვლება, ბავშვების მსხვერპლად შეწირვა - დიდ მამაცობად, დასაშვებად კიდევ ბევრად უფრო სასტიკი საქციელი, როცა ამას გარემოება მოითხოვს, აქაც უნდა დავფიქრდეთ, პატიოსანი ადამიანი რატომ იღებს ამა თუ იმ არასამართლიან საქმეს დასაცავად.

38. უპირველესად, დაე, დამეთანხმონ იმაზე, რაზეც ყველაზე უფრო მკაცრი სტოიკოსებიც არ დავობენ: ზოგჯერ პატიოსანი ადამიანი იძულებულია, ტყუილი თქვას სულ მცირე მიზეზის გამოც. მაგალითად, ბავშვების ავადმყოფობის დროს, მათივე სასარგებლოდ, პატარებს ბევრ ტყუილს ვპირდებით;

39. მაშინ, როცა სურს, არ დაუშვას მკვლელობა, ან როცა სამშობლოა საფრთხის წინაშე. ასე რომ, ზოგჯერ ცუდი ქმედებაც გარკვეულ გარემოებებში ქების ღირსია. აქედან გამომდინარე, უკვე მაქვს რამდენიმე მიზეზი იმისათვის, რომ ვამტკიცო, ორატორს ღირსების შელახვის გარეშე შეუძლია, ხელი მოჰკიდოს ისეთ საქმეს, რომელსაც, ჩვეულებრივ, კანონისა და პატიოსნების გარეშე არ შეეჭიდებოდა.

40. მე არ ვამტკიცებ, რომ იმავე ორატორმა უნდა მოიმოქმედოს მაშინაც, როცა საფრთხე ემუქრება მეგობარს, ძმას, მამას. თუმცა, აქაც საქმე რთულადაა. ერთის მხრივ, დგას კანონი, მეორეს მხრივ, ნათესაობისა და მეგობრობის წმინდა მოვალეობა. ამას ზოგადად ვამბობ. მოდით, ავხსნათ. თუნდაც ვინმე თავს დაესხა ადამიანს, რომელიც სახიფათოა მთელი საზოგადოებისთვის და ამის გამო მას ასამართლებენ. ნუთუ ამგვარი ადამიანის ხსნას ორატორი არ მოინდომებს? არ გამოიყენებს იგი ყველა იმ საშუალებას, რასაც არასამართლიანი საქმის მოსაგებად იყენებენ ორატორები?

41. რა მოხდება მაშინ, თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ დავაჯეროთ მოსამართლე წესიერი ადამიანის უდანაშაულობაში? განა ასეთ დროს ორატორი მთელი ძალით არ შეეცდება, გადაარჩინოს არ მხოლოდ წესიერი, არამედ საპატივცემულო მოქალაქეც? არსებობს ბევრი რამ, რაც თავისთავად კარგია, მაგრამ გარემოებათა გამო სრულიად უსარგებლო საზოგადოებისთვის. არ მოვინდომებთ, ჩვენი სიტყვა გავამყაროთ არცთუ სწორი, ეშმაკური, ცოტა ცრუ არგუმენტებით, მაგრამ კარგი განზრახვით?

42. გარდა ამისა, არავის ეპარება ეჭვი, რომ, თუ ზოგჯერ ბოროტი ადამიანების გამოსწორება შეიძლება, მაშინ საზოგადოებისთვის

სჯობს მათ მივუტევოთ, ვიდრე დავსაჯოთ. თუ ორატორი დარწმუნებულია, რომ დამნაშავე შეიცვლება, განა ის არ გამოიყენებს ყველა საშუალებას იმისათვის, რომ ეს ადამიანი გამართლებული იქნას?

43. წარმოვიდგინოთ, მართებულად ასამართლებენ რომელიმე აშკარა დანაშაულის გამო საპატივცემულო მხედართმთავარს, რომლის გარეშე მთელი სახელმწიფოც კი უსაფრთხოდ ვერ იქნება. ნუთუ საზოგადოებრივი აზრი არ მოუწოდებს ორატორს მისი დაცვისკენ? როდესაც რესპუბლიკას საფრთხე დაემუქრა, ფაბრიციუსმა კარგად იცოდა, რომ კორნელიუს რუფინუსი იყო ცუდი მოქალაქე და მისი პირადი მტერი, მაგრამ კარგი მხედართმთავარი, ამიტომ უყოყმანოდ მისცა ხმა მის კონსულად არჩევას. როცა ზოგიერთებს მისი ასეთი არჩევანი გაუკვირდათ, ფაბრიციუსმა უპასუხა: „მირჩევნია, გამძარცვოს საკუთარმა მოქალაქემ, ვიდრე გამყიდოს მტერმა. როგორ გგონიათ, ფაბრიციუსი რომ ორატორი ყოფილიყო, უარს იტყოდა დაეცვა რუფინუსი, რომელსაც აშკარა ძარცვაში ადანაშაულებდნენ?“

44. ამის მსგავსი კიდევ ბევრი მაგალითის მოხმობა შემიძლია, მაგრამ ერთიც საკმარისია, რადგან არ მინდა, ორატორმა, რომლის აღსაზრდელადაც ამ დარიგებებს ვწერ, ხშირად იკისროს ამგვარი საქმეების დაცვა. უბრალოდ, მინდა ვაჩვენო, რომ, თუ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო იგი იძულებული იქნება, ხელი მოჰკიდოს ასეთ საქმეს, ჩვენი განსაზღვრება ყოველთვის მართებული იქნება - ორატორი არის წესიერი, პატიოსანი ადამიანი, სიტყვის დიდოსტატი.

45. იმ წესების ცოდნა, გართულებულ სიტუაციებში როგორ მოვიქცეთ, იმისთვის არის საჭირო, რომ ყველაზე უფრო სამართლიანი საქმეც კი შეიძლება ჩანდეს უსამართლოდ. უდანაშაულო ბრალდებულსაც აქვს უამრავი მისი საწინააღმდეგო სამხილი. შესაბამისად, საჭიროა იგი ისეთივე წესებით დავიცვათ, როგორც დამნაშავე. უამრავ გარემოებათა გათვალისწინება ორივე საქმისთვის ერთნაირად აუცილებელია - სამართლიანისთვისაც და უსამართლოსთვისაც: მოწმეები, წერილები, ეჭვი, ცრურწმენა; ორსავე შემთხვევაში ერთნაირად უკუაგდებენ და იღებენ სიმართლეს და ჭეშმარიტებას. ამიტომ ორატორმა თავისი სიტყვა უნდა ააგოს სიმართლის შესაბამისად, მაგრამ ცივი გონებით და კეთილსინდისიერებით.

ლათინურიდან თარგმნა ნინო ჩიხლაძემ

ᲔᲑᲔ

ლალი ბერიძე

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢᲘ

2016 წლის ნოემბერში 95 წლის ასაკში გარდაიცვალა ავსტრიელი მწერალი ქალი ილზე აიხინგერი. მის გარდაცვალებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა გერმანულენოვან პრესაში. პაულ იანდლი დიგიტალურ ჟურნალში „Welt“ წერს: ებრაელი ექიმი ქალის შვილმა თავის თავზე გადაიტანა ვენაში ნაციონალისტების ძალაუფლების სიმძიმე და რაც მაშინ ნახა, მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ დაივიწყა. ასე იქცა იგი ლიტერატურის უდიდეს პესიმისტად. თავის თანამედროვე მწერლებს შორის ილზე აიხინგერს ანარქისტად მიიჩნევდნენ, ამავე დროს მას მსოფლიო დიდების მქონე და ადამიანებთან ურთიერთობის კეთილშობილ ქალბატონად აღიარებენ.

ილზე აიხინგერი და მისი ტყუპისცალი და - ჰელგა 1921 წლის 1 ნოემბერს დაიბადნენ ვენაში, ებრაელი ექიმი დედისა და არაებრაელი მასწავლებელი მამის ოჯახში. ისინი ლინცში ცხოვრობდნენ. მამამ საკუთარი პროფესიული კარიერის გადასარჩენად ოჯახი მიატოვა. დედა ქალიშვილებთან ერთად ვენაში გადავიდა საცხოვრებლად და ილზე, ძირითადად, ებრაელ ბებიასთან ან სამონასტრო სკოლებში იზრდებოდა.

1938 წლის მარტში ავსტრიაში ნაციონალ-სოციალისტები შეიჭრნენ. დედა ბინიდან გაასახლეს და პროფესიით მუშაობაც აუკრძალეს.

ბებია და სხვა ნათესავები ავსტრიიდან გაასახლეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს. ტყუპისცალმა დამ გააღწია ინგლისში, სადაც ილზე და დედამისიც უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ მათ ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. ილზე და დედამისი, საბედნიეროდ, ნაციონალ-სოციალისტების კანონში არსებული აბსურდული შეუთავსებლობის გამო რისხვას გადაურჩნენ: მარტოხელა დედის შვილის მიმართ პასუხისმგებლობის კანონმა რასობრივი კანონები გადაწონა. საქმე ის იყო, რომ წესისამებრ, ნახევრადგერმანელებს საკონცენტრაციო ბანაკებში არ ათავსებდნენ, ვიდრე ის მცირეწლოვან ბავშვს უვლიდა. ამიტომ დედა გადასახლებას გადაურჩა. მუდმივი მუქარის ქვეშ წლების მანძილზე ისინი უამრავ დამცირებას და ცხოვრებისეულ გაჭირვებას ითმენდნენ. „ფრანკფურტერ ალგემეინეს“ შეკითხვაზე

1994 წელს - რას უკავშირებთ თქვენს უდიდეს უბედურებასო, მან უპასუხა - „გენეზისს“.

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიერ რასისტული მიზეზით შემოღებული შეზღუდვების გამო სკოლის დამთავრების შემდეგ დიდი ხნის ნაოცნებარი სამედიცინო განათლების მიღება ვერ შეძლო. მხოლოდ მათი ძალაუფლების დამხობის შემდეგ ჩააბარა მან უმაღლეს სასწავლებელში სამედიცინო განხრით, თუმცა 5 სემესტრის შემდეგ სწავლა შეწყვიტა იმ მიზეზით, რომ ფიშერის გამომცემლობაში ლექტორად დაიწყო მუშაობა. ამავე პერიოდში იგი ულმის უმაღლესი სკოლის შექმნაში მონაწილეობს და მუშაობს რომანზე „უფრო დიდი იმედი“. ეს უკანასკნელი გამოქვეყნდა 1951-ში და ამავე წელს იგი პირველად მოხვდა „ჯგუფი 47-თან“ შეხვედრაზე, სადაც მან თავისი მომავალი მეუღლე გაიცნო. „ჯგუფი 47“ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიტერატურული დაჯგუფება იყო; სახელი დაარსების წლის მიხედვით დაერქვა - 1947. ამ ჯგუფის წევრები სხვებთან ერთად იყვნენ ჰაინრიხ ბიოლი, ჰანს ვერნერ რიხტერი, ილზე აიხინგერი, ინგებორგ ბახმანი, პაულ ცელანი, ერიხ ფრიდი, ერიხ კესტნერი, ალექსანდერ ქლუგე და ალფრედ ანდერში, ასევე კულტურის კრიტიკოსები იოახიმ კაიზერი და მარსელ რაიხ-რანიცკი.

მისი ცხოვრება შემდგომში კიდევ უფრო დაამძიმა ბედთან მუდმივმა ჭიდილმა და ახლობელი ადამიანების დაკარგვამ. იგი 1953 წელს დაქორწინდა ცნობილ ავსტრიელ მწერალ გუნტერ აიხზე, რომელთანაც ორი შვილი შეეძინა. 1972 წელს მეუღლე გარდაეცვალა, 1998 წელს კი ვაჟი - კლემენსი მოჰყვა ავარიაში. კლემენს აიხიც რომანის, რამდენიმე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორი იყო. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ უდროოდ გარდაცვალების გამო ავსტრიულ ლიტერატურაში, როგორც მხოლოდ ორი ცნობილი მწერლის შვილი, ისე შევიდა. ქართველებისათვის საინტერესოა იმით, რომ მას დარჩა დაუმთავრებელი რომანი - „ჩანაწერები საქართველოზე“, სადაც ოთხმოცდაათიან წლებში იმოგზაურა. იგი შეულამაზებლად გადმოსცემს იმ სიტუაციას, რომელიც დახვდა საქართველოში. ეს უკანასკნელი კი, როგორც „ახალი 7 დღე“ წერს, მხოლოდ ევროპისა და აზიის ორ პოლუსს შორის არსებული გარდამავალი სივრცეა საშუალო დონის პატიოსანი ევროპელისთვის. „საქართველო? - მეკითხებოდნენ თანამოძმენი - საქართველო? სად არის ასეთი ქვეყანა?“ - ატლასის მეშვეობით დავრწმუნდი,

რომ საქართველო მართლაც არსებობს. თამამად გავიმეორე: საქართველო არსებობს“, - ასე დაიწყო კლემენს აიხმა საქართველოსთან დაახლოება. ეს გარშემომყოფთათვის გაუგებარი და მოულოდნელი ჩანაფიქრი დაგვირგვინდა „მოგზაურობით უცხო ქვეყნის წყვდიადსა და საკუთარი სულის წყვდიადში“. „და მაინც, ეს საქართველო ანტიკური დროის ლეგენდარული კოლხებისა და ასევე უძველესი კულტურის ქვეყანაა: ცნობილი თავისი ნაყოფიერებით, მძიმე ღვინითა და კავკასიონით, ძველ ბერძნებს სამყაროს დასასრულად რომ მიაჩნდათ“, - წერს ის.

ქართულად ილზე აიხინგერის ნაწარმოებებიდან „სარკის ამბავი“ ითარგმნა ლინდა ციციშვილის მიერ (ლიტერატურული პალიტრა, 2014, აპრილი, N 4, გვ. 152-155). იგი 1952 წელს გამოქვეყნდა და ამ მოთხრობით ილზე აიხინგერი „ჯგუფი 47-ის“ პრემიით დაჯილდოვდა. ეს ნაწარმოები მთლიანად სიკვდილის სურვილითაა გამსჭვალული. საერთოდ, მიიჩნევენ, რომ პოლ სეზანის გარდა სიკვდილზე ისე არავის უფიქრია, როგორც ილზე აიხინგერს. „მე ყოველთვის უსამართლობად მიმაჩნდა ის, რომ კაციშვილი არ გეკითხება, გინდა თუ არა, ამქვეყნად მოევლინო. ჩემთვის რომ ეკითხათ, ნამდვილად უარს ვეტყოდი“, - განუცხადა მწერალმა ყოველკვირეულ გაზეთს „Die Zeit“. სიკვდილის თემა 20 წლის ასაკიდან დომინირებს მის ნაწერებში. „მე არ მინდა სიცოცხლე, მაგრამ არც სიკვდილი მსურს, რამდენჯერმე მინახავს, რამდენ ხანს შეიძლება ის გრძელდებოდეს“, - წერს იგი.

2015 წელს მიიღო ზალცბურგის ხელოვნების დიდი პრემია. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, მისი ნაწარმოებები არც ერთი სტილის ზეგავლენას არ განიცდიდა. მკითხველზე დიდ ზემოქმედებას ახდენს ნაწერის გულწრფელობა, შეულამაზებელი სიმართლე და მოურიდებელი სუსხიანი კრიტიკა ადამიანების და საერთოდ, ცხოვრების მიმართ.

მისი პრინციპულობა გამოვლინდა, როცა მან სხვა ცნობილ გერმანულენოვან მწერლებთან ერთად (გიუნტერ გრასი, ზიგფრიდ ლენცი და სხვ.) ხელი მოაწერა ფრანკფურტში 1996 წელს მართლწერის რეფორმის საწინააღმდეგო განცხადებას და აუკრძალა გამომცემლობებს თავისი ნაწერების ახალი მართლწერის წესების მიხედვით გამოცემა.

„ფანჯრის თეატრი“ რომელიც დღეს მკითხველს გვინდა წარვუდგინოთ, ეხება მოხუც კაცს, რომელიც შინაგანად არ დაბერებულა და

სულში პატარა, ჯანმრთელი ბავშვი უზის. ის სხვა პატარასათვის თამაშობს და თავისი ბინის ფანჯრიდან თეატრალურ წარმოდგენას უჩვენებს. ქალი კი, რომელიც ალბათ მოხუცდა და ირგვლივ საინტერესოს ვერაფერს ხედავს, უზომოდ ცნობისმოყვარეა და ისღა დარჩენია, შორიდან აკონტროლოს გარემო. ვერც კი წარმოიდგენს, რომ მოხუცი არ გაგიჟდა და პოლიციას იძახებს. ახალგაზრდა ილზე აიხინგერი ამ მოთხრობაში წინ სწევს ადამიანთა შორის კომუ-ნიკაციისა და ურთიერთგაგების პრობლემას. სინათლე მოხუცის ბინაშია, სიბნელე და ჩაკეტილობა, სამყაროსაგან იზოლაცია - ქალის ბინაში. ამ ორი გმირის დაპირისპირება სვამს კითხვებს მკითხველის წინაშე და ახედებს თითოეულ მათგანს საკუთარ სულში.



მხატვარი - თამარ თამარაძე

ᲗᲐᲠᲯᲛᲐᲜᲘ

ილზე აიხინგერი

ილზე აიხინგერი (1921-2016) ავსტრიელი მწერალია. იგი ომის შემდგომი გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. ავტობიოგრაფიული რომანის - „უფრო დიდი იმედი“ და მრავალი პროზაული და პოეტური ნაწარმოებების ავტორი თავის შემოქმედებაში რთულ რეალობას ასახავს. ის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი სიყალბის და შელამაზებისა და ამიტომ, ხშირად სიმართლის თქმის მწარე შედეგებიც არ აკლდა ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან.

ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ქალი ფანჯარას მიეყრდნო და ეზოში იყურებოდა. სუსტი ქარი კი ქროდა მდინარის მხრიდან, მაგრამ არც მას მოჰქონდა არაფერი ახალი. ქალს ისეთი გამჭოლი მზერა ჰქონდა, ცნობისმოყვარე ხალხს რომ ახასიათებთ. ასეთები, გაუმაძღრებივით, ვერასდროს ვერაფრით კმაყოფილდებიან. აზრადაც არავის მოსვლია, რომ მადლი მოესხა და ის სახლიდან გაეყვანა. კარგა ხანია, ფეხი არ ჩაუდგამს დაბლა. ისედაც ბოლოს წინა სართულზე ცხოვრობს და ქუჩა ისე ღრმადაა, რომ ხმაურიც კი ძლივს აღწევს ამ სიმაღლეზე. ყველაფერი მისგან ძალიან შორს, ქვევით, სადღაც სიღრმეში. ის იყო ფანჯარას უნდა მოშორებოდა, შენიშნა, რომ მოპირდაპირე სახლში მოხუცმა კაცმა შუქი აანთო. ჯერ ისევ დღე იყო და ეს შუქიც თავისთვის, უაზროდ ენთო. მზიან დღეს ქუჩის გაჩახჩახებული ლამპიონის ამაოებას მოგაგონებდათ, უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა. აი, ისე, საკუთარ ფანჯარაში სანთელის ანთებას რომ ეშურებოდეს ვინმე, არიქა, მოვასწრო, წირვა არ დამთავრდეს და მრევლი ეკლესიიდან არ გამოვიდესო.

ქალი ფანჯარას ვერ მოსცილდა. ბერიკაცმა კი თავისი ფანჯარა გააღო და თავი დაიქნია. მე მესალმება? - გაიფიქრა ქალმა. მის ზემოთ არავინ ცხოვრობდა, ქვემოთ კი ბინა რაღაც სახელოსნოს ეკავა, რომელიც ამ დროს უკვე იკეტებოდა ხოლმე. ქალმა ოდნავ შეარხია თავი, კაცმა კვლავ თავი დაუქნია, შემდეგ ხელი შუბლზე

იტაცა, მოისინჯა - ქუდი არ ეხურა, ოთახში შებრუნდა და გაუჩინარდა. მალევე დაბრუნდა ქუდითა და პალტოთი. შემდეგ კი ჯიბიდან თეთრი ხელსახოცი ამოიღო და აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. ჯერ ნელა, მერე და მერე - სულ უფრო მონდომებით, ფანჯრის მოაჯირს ისე გადმოეკიდებოდა ხოლმე, შიში აგიტანდა, არ გადმოვარდესო. ქალმა ერთი ნაბიჯით დაიხია უკან, მაგრამ კაცი ამან უფრო გაახელა. ხელსახოცი დააგდო, ყელზე შემოხვეული შარფი მოიხსნა - დიდი, ჭრელი შარფი - და ფანჯრიდან ააფრიალა. თან იღიმოდა და როცა ქალმა კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან, მან მკვეთრი მოძრაობით მოიგლიჯა ქუდი და შარფი ჩალმასავით შემოიხვია. შემდეგ კი ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და წინ გადმოიხარა. რამდენჯერაც თავს მაღლა აწევდა, მარცხენა თვალს აპაჭუნებდა, თითქოსდა ამ ორს შორის იდუმალი შეთანხმება არსებულიყო. ამან ერთხანს გაართო ქალი, იქამდე, სანამ უეცრად კაცის ჰაერში აჭიმული ფეხები გამოჩნდებოდა, თხელ, დაკემსილ ხავერდის შარვალში. ყირამალა გაეჭიმა და თავით იდგა იატაკზე. როცა სახეაელვარებული და გახვითქული კვლავ ღიმილით წამოიმართა, ქალს უკვე პოლიცია ჰყავდა გამოძახებული.

და ვიდრე კაცი, ზეწარში გახვეული, მონაცვლეობით ხან ერთ ფანჯარაში გამოჩნდებოდა და ხან მეორეში, ქალმა სამი ქუჩის გადაღმა ტრამვაის ზარის წკარუნისა და ქალაქის დახშული ხმაურის მიღმა უკვე პოლიციის მანქანების სირენის ხმა გამოარჩია. რა გასაკვირია, მათი გამოძახებისას ისე გაურკვევლად და აღელვებული ხმით ლაპარაკობდა.

ბერიკაცი ახლა ისე იცინოდა, რომ სახე ღრმა ნაოჭებით დაეღარა. შემდეგ კი რაღაც გაურკვეველი ჟესტით ხელი სახეზე მოისვა, სიცილი წამით თითქოს მომუჭულ ხელში დაატყვევა და გადმოისროლა. ამ სანახაობას ქალმა თვალი მხოლოდ მაშინღა მოსწყვიტა, როცა მანქანამ სახლის კუთხეში შემოუხვია. სუნთქვაშეკრულმა ჩაირბინა ქვევით. ხალხის ჯგუფი უკვე შეგროვილიყო პოლიციის მანქანასთან. პოლიციელები გადმოხტნენ და ხალხის ბრბოც უკან გაჰყვა მათ, ქალი პოლიციელებს კუდში მისდევდა. ხალხის ჩამოშორებას ცდილობდნენ, მაგრამ ყველა ერთხმად აცხადებდა, ამ სახლში ვცხოვრობო. ზოგი მათგანი ბოლო სართულამდეც კი აჰყვა მათ. ისინი კიბის საფეხურებიდან უყურებდნენ, როგორ შეამტვრიეს კაცებმა კარი, ამაო კაკუნის შემდეგ, ზარი, როგორც ჩანს, გაფუჭებული იყო. ისე ჩქარა და ისე უნაკლოდ მოქმედებდნენ, რომ ნებისმიერ თავდამსხმელს შეეძლო მათგან გაკვეთილის აღება. წინკარშიც, რომლის ფანჯრებიც ეზოში გადიოდა, წამით არ შეყოყმანებულან. ორმა

მათგანმა ჩექმები გაიძრო და კუთხიდან შეძვრა. ამასობაში ჩამობ-ნელდა. ტანსაცმლის საკიდს გამოედნენ, ვიწრო დერეფნის ბოლოს ნათურის შუქი ჩანდა და მისკენ მიიწევდნენ. მათ უკან ქალიც ძლივს მიიკვლევდა გზას.

კარი რომ შეამტვრიეს, მოხუცებული თითქოს არაფერი მომხდარიყო, ისევ ფანჯარასთან, მათგან ზურგშექცევით იდგა. ხელში მოზრდილი ბალიში ეჭირა. თავს მასზე დადებდა, ისევ მოიშორებდა, თითქოს ვინმეს ანიშნებდა, მეძინებაო. იატაკიდან აღებული ფარდაგი მხრებზე მოეხურა. ყურს აკლდა და არ შემობრუნებულა მაშინაც კი, როცა კაცები უკვე მის უკან იდგნენ, ქალმა კი გვერდზე გაუარა და მოხუცის წინ მდგარმა თავისი ჩაბნელებული ფანჯრისკენ დაიწყო ცქერა.

ქვედა სართულზე სახელოსნო, როგორც ივარაუდა, მართლაც, დაკეტილიყო. მაღლა კი, ეტყობა, ახალი ოჯახი გადმოსულიყო, ერთ-ერთ განათებულ ფანჯარასთან ბავშვის მოაჯირიანი საწოლი მიედ-გათ. მასში კი პატარა ბიჭი წამომდგარიყო. იმასაც თავზე ბალიში ეხურა, მხრებზე კი - საბანი. ხტუნავდა, ხელს იქნევდა აქეთ-იქით და სიხარულით ჭყლოპინებდა. ჯერ გაიცინებდა, მერე სახეზე ჩამ-ოისვამდა ხელს, სერიოზულ სახეს მიიღებდა, ერთი წამით სიცილს ვითომ მომუჭულ ხელში დაიჭერდა, მერე კი მთელი ძალით პოლი-ციელებს სახეში ესროდა.

გერმანულიდან თარგმნა ლალი ბერიძემ

მხატვარი - თამარ თამარაძე

ᲛᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ

შერვუდ ანდერსონი

1876 წლის 13 ოქტომბერს ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქ კემდემში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში, მესამე შვილი დაიბადა, მომავალი მწერალი შერვუდ ანდერსონი. 1884 წელს მრავალშვილიანი ოჯახი, საბოლოოდ, კლაიდში გადასახლდა. შერვუდი ყმაწვილობიდანვე ჩაება შრომაში, ეხმარებოდა ოჯახს, ასრულებდა სხვადასხვა შეკვეთას, რის გამოც მას მეტსახელი „Jobby“ - „საქმიანი“ შეარქვეს.

1904 წელს შერვუდი კორნელია ლეინზე დაქორწინდა და მეუღლესთან ერთად კლივლენდში გადასახლდა. მოგვიანებით მწერალმა საკუთარი ბიზნესი წამოიწყო, საკმარისად სარფიანიც, რამაც საშუალება მისცა, მთლიანად შემოქმედებით ცხოვრებაში ჩაფლულიყო. განსაკუთრებული პოპულარობა ანდერსონს მოუტანა ნოველების კრებულმა „უაინსბურგი, ოჰაიო“.

შერვუდ ანდერსონი გარდაიცვალა 64 წლის ასაკში. შერვუდ ანდერსონი ითვლება ამერიკული ფსიქოლოგიური ნოველის დიდოსტატად.

ᲫᲛᲔᲑᲘ

ოქტომბრის ბოლოა, სოფელში ვარ, ჩემს სახლში. წვიმს. სახლის უკან ტყეა, წინ – გზა და გზის გადაღმა ვრცელი მინდორი. სოფელი ზეგანი ადგილია, რომელიც ვაკეს ერწყმის. დაახლოებით ოცი მილის დაშორებით უზარმაზარი ქალაქი ჩიკაგო მდებარეობს.

ამ წვიმიან დღეს ჩემი ფანჯრის წინ ხეებსაც წვიმასავით ჩამოსდით ფოთლები, ყვითელი, წითელი და ოქროსფერი ფოთლები სწორად და მძიმედ ცვივა ძირს. წვიმა ფოთლებს შეუბრალებლად აფენს მიწაზე. ველარ გაიელვებენ ისინი ცაში ოქროსფრად. ოქტომბერში ფოთლებმა ხომ უნდა იფრინონ, გადაიარონ დაბლობი და ცეკვა-ცეკვით გაუტიონ შორეთისაკენ.

გუშინ დილით გამთენიისას გავიღვიძე, სასეირნოდ გავედი. ისეთი სქელი ნისლი იყო, რომ მთლიანად ჩავიკარგე შიგ. დავეშვი დაბლა, ვაკეზე, ისევ გორაკზე ავბრუნდი, ყველგან ნისლი აღმართულიყო კედელივით. უეცრად, ისე გადაიშალა ხეები ჩემ წინ, როგორც გვიან

ღამით სიბნელიდან მოულოდნელად გამოსული ხალხი გამოჩნდება ხოლმე ქალაქის ქუჩებში ხის ძირში აღმართული ლამპიონის შუქზე. მაღლა დღის სინათლე მოჩანდა, რომელიც ნისლში თანდათან ძლიერდებოდა. ნისლი ნელ-ნელა გაიფანტა და ხის კენწეროები გამ-ოჩნდა. ხის ძირი კი ისევე გახვეულიყო ხშირ და იისფერ ნისლში, როგორც ქალაქის ქუჩები, რომლებსაც ქარხნებიდან გამოსული კვამლი მოედება ხოლმე.

ამ ნისლში ერთი მოხუცი კაცი მომიახლოვდა, რომელსაც კარგად ვიცნობდი. მას შეშლილს ეძახდნენ. „გიჟია“, - ამბობდა ხალხი. ტყეში მარტო ცხოვრობს ერთ პატარა სახლში და ერთი პატარა ძაღლი ჰყავს, რომელსაც ყოველთვის ხელით ატარებს. ბევრჯერ შევხვედ-რივარ მას დილით, გზაზე მიმავალს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას ის მესაუბრა კაცსა და ქალზე, რომლებიც მისი და-ძმანი არიან. მან, ასევე, მიამბო თავის ნათესავებზე, დეიდაზე, ბიძაზე და ცოლისძმაზე. მისი საუბარი ცოტა დამაბნეველი იყო. კაცს ახლო ურთიერთობა არ ჰქონდა ხალხთან და ამიტომაც, მისთვის ინფორმაციის წყარო მხო-ლოდ გაზეთები იყო. ერთ დილას მან მითხრა, რომ კაცი, რომელიც იმ დროოისათვის პრეზიდენტობის კანდიდატად იყრიდა კენჭს, თავისი ბიძაშვილი იყო.

მეორე დილით მომღერალი კარუზოს დაქორწინების ამბავი მაცნო, თან დაამატა - „მისი რჩეული ჩემი ცოლის დაა“. პატარა ძაღლი, როგორც ყოველთვის, ახლაც ხელში ეჭირა. მოხუცის ნაცრისფერი, წყლიანი თვალები ჩემკენ მომართულიყვნენ. უნდოდა, ეს ყველაფერი დამაჯერებელი ყოფილიყო ჩემთვის. „ჩემი ცოლი თბილი, გამხდარი გოგო იყო“, - თქვა მან. „ჩვენ დიდ სახლში ვცხოვრობდით და ყოველ დილით ხილიხელჩაკიდებულები ვსეირნობდით. ახლა ჩემი ცოლის და მომღერალზეა დაქორწინებული. ამიტომ, ისიც ჩემი ოჯახის წევრია“, - თქვა მოხუცმა.

სხვებისაგან მსმენოდა, რომ ეს მოხუცი კაცი არასდროს ყოფილა დაქორწინებული და ამ ყველაფერმა ძალიან გამაკვირვა. ერთ დილას, სექტემბრის დასაწყისში მასთან მივედი. ის თავის სახლთან ახლოს, ხის ძირას იჯდა. ძაღლმა ყეფა დამიწყო, შემდეგ კი გაიქცა და მკლავებზე აეტოტა. იმ დროს ჩიკაგოს გაზეთები აჭრელებული იყო ერთი მილიონერის ისტორიით, რომელსაც მსახიობ ქალთან ახლო ურთიერთობის გამო ცოლთან უთანხმოება ჰქონდა. მოხუცი კაცი გამენდო, რომ ის მსახიობი ქალი თავისი და იყო. მოხუცი სამოცი წლისა იქნებოდა, მსახიობი ქალი, კი რომლის ამბავიც გაზეთებმა

გაახმაურეს, ოცი წლის. მიუხედავად ამისა, ის თავის ბავშვობაზე მესაუბრა - „ჩვენ მაშინ ღარიბები ვიყავით“, - თქვა მან. „ეს სიმართლეა. მთაში, პატარა სახლში ვცხოვრობდით. ერთხელ, ქარიშხლის დროს, ძლიერმა ქარმა ჩვენი სახლი კინაღამ მოგლიჯა. მამაჩვენი მშენებელი იყო და კარგ სახლებს აშენებდა, მაგრამ მას ჩვენი სახლი მყარად არ აუშენებია“, - თქვა მოხუცმა და თავი სევდიანად გააქნია, - „ჩემს დას პრობლემები შეექმნა, ჩვენი სახლი კი კარგად აშენებული არ არის“. როცა წამოვედი, მან ეს სიტყვები ისევ გაიმეორა.

* * *

ორი თვის განმავლობაში ჩიკაგოს გაზეთში, ყოველ დილით რომ მოჰქონდათ ჩვენს სოფელში, მკვლელობაზე იწერებოდა. კაცს ცოლი მოუკლავს, მაგრამ, როგორც ჩანს, მკვლელობის მიზეზი ჯერ ვერ დაედგენათ. კაცი, ვინც ახლა სასამართლო დარბაზში იმყოფება და უდავოდ ჩამოხრჩობას იმსახურებს, ველოსიპედების ქარხანაში ზედამხედველად მუშაობდა და ცოლთან და სიდედრათან ერთად ოცდამეთორმეტე ქუჩაზე ცხოვრობდა.

მას ერთი გოგო ჰყვარებია, რომელიც იმავე ველოსიპედების ქარხანაში მუშაობდა. გოგონა აიოვადან იყო და როდესაც პირველად ჩამოვიდა ამ ქალაქში, დეიდასთან ცხოვრობდა. ზედამხედველი კაცისთვის, რომელსაც მკაცრი გარეგნობა და ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალი ეს გოგო იყო. გოგონას სამუშაო მაგიდა ფანჯარასთან იდგა, ზედამხედველისა კი, დაბლა, მაღაზიის ფანჯარასთან იყო მიდგმული. კაცი მაგიდასთან იჯდა და ფურცლებს ათვალიერებდა, სადაც თითოეული მუშის მიერ შესრულებული სამუშაო იყო მოცემული. თავს რომ ასწევდა, მაგიდასთან მჯდომ გოგონას ხედავდა და მაშინვე გაიფიქრებდა, რომ ის ყველაზე ლამაზი იყო. კაცს არ უფიქრია მასთან დაახლოება, მისი სიყვარულის მოპოვება. ის ისე უყურებდა მას, როგორც ვარსკვლავს ან კიდევ სოფლის მთებს ოქტომბერში, როდესაც ყველა ფოთოლი წითელი, ყვითელი და ოქროსფერია. „წმინდა და უმანკოა“, – ფიქრობდა კაცი, – „ნეტა რაზე ფიქრობს, როდესაც იქ, ფანჯარასთან ზის“. ზედამხედველმა კაცმა წარმოიდგინა, თუ როგორ მიიყვანა გოგონა თავის სახლში, ოცდამეთორმეტე ქუჩაზე ცოლთან და სიდედრთან. მთელი დღის განმავლობაში, მაღაზიაში ყოფნისას და საღამოს სახლშიც, მხოლოდ და მხოლოდ იმ გოგონაზე ფიქრები უტრიალებდა გონებაში.

როგორც კი სახლში, ფანჯარასთან დადგებოდა და ილინოისის ცენ-ტრალური სარკინიგზო ლიანდაგებისკენ ან ლიანდაგებს მიღმა მდებარე ტბისკენ გაიხედავდა, მის გონებაში მაშინვე წამოტივტივ-დებოდა გოგონაზე ფიქრები. ქვემოთ, ქუჩაში ქალები დადიოდნენ. ყველა ქალში იმ გოგოს ხედავდა. ზოგს სიარულით ამსგავსებდა, ზოგს საუბრის მანერით, ზოგს მიხვრა-მოხვრით.

მის არსებაში ჩასახლებულ გოგონას ყველა ქალს ამსგავსებდა, გარდა თავისი ცოლისა და სიდედრისა. ეს ორი ქალი, რომლებიც სახლში მასთან ერთად ცხოვრობდნენ, აღიზიანებდა და აბნევდა. ისინი უეცრად არასრულყოფილი და უსიამოვნონი გახდნენ მისთვის. არასასურველი, გამოუხატავი სიცივე დასადგურებულიყო სხეულში ცოლის მიმართ.

ქარხანაში გატარებული დღის შემდეგ საღამოს სახლში დაბრუნდა და ივახშმა. იგი მუდამ წყნარი იყო და საუბარსაც არავინ აძალებდა, რადგან ყველამ კარგად იცოდა მისი ხასიათი. ჭამის შემდეგ ცოლთან ერთად კინოში წავიდა. მათ ორი შვილი ჰყავდათ და მესამეს ელოდე-ბოდნენ. სიდედრი კეთილი სულისა და გულის ქალი იყო. ამ სახლში მან მოსამსახურის მოვალეობა იტვირთა, მაგრამ სანაცვლოდ ანაზ-ღაურება არ მოუთხოვია.

რადგან ქალიშვილს კინოში წასვლა უნდოდა, მან ღიმილით უთხრა: „წადი. მე არ მინდა წამოსვლა, მირჩევნია სახლში ვიყო“. შემდეგ კი, წიგნი აიღო და წასაკითხად მოკალათდა.

მას შემდეგ, რაც კაცი ცოლთან ერთად სახლში დაბრუნდა, სამივენი ჩუმად ისხდნენ დაახლოებით ერთი ან ორი საათის განმავ-ლობაში მანამ, სანამ დაწოლის დრო მოვიდა. კაცმა თავი მოაჩვენა, თითქოს გაზეთს კითხულობდა. მან ხელებზე დაიხედა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ჰქონდა დაბანილი, ველოსიპედის ჩარჩოებიდან გამოსული ზეთი ფრჩხილებქვეშ შავ ლაქად დარჩენოდა. ამ დროს გოგონას თეთრი და სწრაფი ხელები გაახსენდა, რომლებიც საბეჭდ მანქანაზე ლამაზად მოძრაობდნენ. საკუთარი ხელები ბინძურად და არასასიამოვნოდ ეჩვენა.

გოგონამ გაიგო, ზედამხედველს რომ უყვარდა და ოდნავ აღელდა. დეიდის გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებლად ნაქირავებ სახლში გადავიდა და საღამოობით საქმე არაფერი ჰქონდა. მართალია, ზედამხედველი მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა, იგი გოგონასათ-

ვის მაინც სიმბოლოდ იქცა. კაცი ხშირად მიდიოდა ოფისში. მის კარებთან რამდენიმე წუთი იდგა... დიდი, შავი ზეთით დაფარული ხელები უსიამოვნო შეგრძნებას გვრიდა.

როცა ზედამხედველს უყურებდა, გოგონას წარმოდგენაში მაღალი, გამხდარი, ახალგაზრდა მამაკაცი ჩნდებოდა; ზედამხედველისას მხოლოდ და მხოლოდ ნაცრისფერ თვალებს ამჩნევდა, უცნაური ცეცხლით ანთებულთ, ძლიერი სურვილის გამომხატველთ, თავმდაბლობით და რწმენით სავსეს. კაცის ასეთი თვალების წინაშე მას ყოველგვარი შიში უქრებოდა, მაგრამ მაინც სურდა, ისეთი შეყვარებული ჰყოლოდა, როგორსაც თავად წარმოიდგენდა ხოლმე. ზოგჯერ, შესაძლოა ორ კვირაში ერთხელ, გოგონა გვიანობამდე რჩებოდა ოფისში, ვითომც, სამუშაოს დასასრულებლად. ფანჯრიდან კი ზედამხედველს გაჰყურებდა, რომელიც მას ელოდა.

ერთხელ, როდესაც ყველა წავიდა, გოგონამ დაკეტა ოთახი და ქუჩაში გავიდა. ზედამხედველი უკვე ქარხნის კარებთან უცდიდა. შემდეგ ერთად წავიდნენ ქუჩისაკენ, სადაც გოგონა მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო. ქარხანა სამხრეთ ჩიკაგოში მდებარეობდა და როგორც კი გარეთ გავიდოდნენ და ფეხით ცოტას გაივლიდნენ, მალევე საღამოვდებოდა.

ქუჩებში პატარა, შეუღებავი სახლები იდგა და გზაზე სახედამტვერილი ბავშვები დარბოდნენ. შემდეგ ისინი ხიდზე გადავიდნენ. კაცი გოგონას გვერდზე მიჰყვებოდა და ხელების დამალვას ცდილობდა. სანამ ქარხანას დატოვებდა, ხელები კარგად დაიბანა, მაგრამ მაინც ჭუჭყიანი ეგონა.

მათ რამდენჯერმე ისეირნეს ერთად მთელი ზაფხულის განმავლობაში. „ცხელა“, - თქვა კაცმა. გოგონასთან ამინდის გარდა თითქმის არაფერზე ლაპარაკობდა. „ცხელა, ალბათ იწვიმებს“, - ისევ გაიმეორა მან.

გოგონა მაღალ, ახალგაზრდა შეყვარებულზე ოცნებობდა, რომელიც ამავდროულად მდიდარი და საკუთარი სახლებისა და მამულების მფლობელი იქნებოდა. ამ კაცს კი, რომელიც ახლა გვერდით მიჰყვებოდა, არაფერი აკავშირებდა მის წარმოსახვით სიყვარულთან, მაგრამ მაინც სეირნობდა მასთან, ოფისშიც რჩებოდა, სანამ სხვები არ წავიდოდნენ. ამ ყველაფერს კი იმიტომ აკეთებდა, რომ კაცის თვალებში რაღაცის ძლიერ სურვილსაც ხედავდა და თავმდაბლობასაც - ეს თვალები მას ეთაყვანებოდნენ. კაცს არასდროს უცდია გოგოსთან ძალიან ახლოს მისვლა ან კიდევ მის ხელებზე შეხება და

ამიტომაც, მასთან ყოფნისას თავს დაცულად გრძნობდა. კაცი საღ-ამოს თავის სახლში ცოლთან და სიდედრთან ერთად ნათურის ქვეშ იჯდა. გვერდზე ოთახში მის ორ შვილს ეძინა. ძალიან მალე ცოლი კიდევ ერთ ბავშვს გაუჩენდა. ისინი ფილმს უყურებდნენ, მერე კი დასაძინებლად უნდა წასულიყვნენ. ფიქრებში გართული დაწვებოდა და როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, გვერდითი ოთახიდან სიდედრის ლოგინის ჭრიალს გაიგებდა. დაწვებოდა ძლიერი სურ-ვილით და მოლოდინით აღსავსე, მაგრამ რისი მოლოდინი იყო ეს? - რა თქმა უნდა, არაფრის. არც რაიმე უჩვეულო და განსაკუთრებული მოხდებოდა. თანდათან მისთვის ყველაფერი ეს გამაღიზიანებელი გახდა. აღიზიანებდა ცოლის ნათქვამი თითოეული სიტყვა, სიდედრის გულკეთილობაც კი, რომელიც მოსამსახურესავით შრომობდა და სანაცვლოდ არაფერს ითხოვდა. ის იჯდა ნათურის ქვეშ და თავს აჩვენებდა, თითქოს გაზეთს კითხულობდა. სინამდვილეში კი ფიქრებ-ში იყო გართული. ერთხელ ხელებზე დაიხედა, დიდ და უფორმო ხელებზე. შემდეგ წარმოიდგინა, როგორ დადიოდა გოგონა მის ოთახში, როგორ გავიდნენ ოთახიდან და როგორ წავიდნენ სასეირ-ნოდ. არ იყო აუცილებელი, რამე ეთქვა.

ფიქრებში ყველგან მასთან ერთად დადიოდა. დადიოდნენ ზღვაზე, მთაში. წყნარი და ნათელი საღამო იყო. ცაზე ვარსკვლავები ანათებ-დნენ. მისთვის გოგონაც ვარსკვლავს ჰგავდა და ამის ასახსნელად სიტყვები არ იყო საჭირო. გოგონას თვალები ვარსკვლავებივით უციმციმებდა, ტუჩები კი ვარსკვლავებით განათებულ ვაკეზე მკრთა-ლად ამოზიდული ნაზი გორაკებივით ამობურცულიყვნენ.

„ვარსკვლავებივით შორს არის და მიუწვდომელია“, - გაიფიქრა კაცმა. „ვარსკვლავებივით მიუწვდომელია, მაგრამ მათგან განსხვავე-ბით, ის სუნთქავს, ცხოვრობს და ისეთივე ცოცხალი არსებაა, როგორიც მე“.

ერთ საღამოს, დაახლოებით ექვსი კვირის წინ, კაცმა, რომელიც ველოსიპედების ქარხანაში მუშაობდა, ცოლი მოკლა და ახლა სასა-მართლო დარბაზში იმყოფება მკვლელობის გამო. გაზეთები ყო-ველდღე აქვეყნებენ ამ ამბავს. იმ საღამოს, როდესაც ეს მკვლელობა მოხდა, კაცს ცოლი ჩვეულებისამებრ კინოში ჰყავდა წაყვანილი და სახლისაკენ ცხრა საათზე ბრუნდებოდნენ. ოცდამეთორმეტე ქუჩაზე, თავიანთ სახლთან ახლოს, უეცრად უცნობი მამაკაცი გამოვარდა ქუჩაზე და სასწრაფოდ უკანვე გაბრუნდა. შესაძლოა, სწორედ ამ შემ-თხვევამ გაუჩინა კაცს ცოლის მკვლელობის იდეა. ისინი თავიანთი

სახლის შესასვლელთან მივიდნენ და სიბნელეში გაჩერდნენ. შემდეგ კი სრულიად მოულოდნელად და დაუფიქრებლად კაცმა დანა ამოიღო ჯიბიდან... „ივარაუდებენ, რომ ქუჩაზე გამოვარდნილ იმ კაცს ჰქონდა ჩვენი მოკვლა განზრახული“, - გაიფიქრა მან. დანა გახსნა, შემოატრიალა და ცოლს რამდენჯერმე გიჟურად დაარტყა. შემდეგ კივილის ხმა გაისმა და ქალის სხეული მიწაზე დავარდა. კაცი ჩაფიქრებული იდგა სახლის შესასვლელთან. ახლა თავისი ცოლი და მუცლადმყოფი ბავშვიც მკვდრები იყვნენ. ზედა სართულიდან კარის გაღების ხმა გაისმა, შემდეგ კი რამდენიმე წუთის განმავლობაში არაფერი მომხდარა...

ფიქრებში გართულმა სწრაფად აირბინა კიბეები. სიბნელეში სწრაფად ჩაიდო დანა ჯიბეში და როგორც მოგვიანებით აღმოაჩინა, არც ხელებზე და არც ტანსაცმელზე სისხლის კვალი არ ეტყობოდა. როდესაც ცოტა დამშვიდდა, დანა კარგად გარეცხა სააბაზანოში. ის ერთსა და იმავეს უყვებოდა ყველას, ვინც კი რამეს ჰკითხავდა - „ეს თავდასხმა იყო“.

„გზაში მე და ჩემს ცოლს უცნობი მამაკაცი აგვედევნა, რომელიც სახლამდე მოგვყვებოდა. სახლის შესასვლელთან კი სიბნელეში ვიჩხუბეთ, ამ ჩხუბისას დანა ჩემს ცოლს მოხვდა და გარდაიცვალა“, -ამბობდა ის.

რამდენიმე დღის განმავლობაში კაცი არ დაუკითხავთ, ამიტომ დრო ჰქონდა დანის მოსაშორებლად. მან ბევრი იარა ფეხით, დანა ხიდის ქვეშ მდინარეში გადააგდო, სწორედ იმ ხიდის ქვეშ, სადაც ზაფხულის ერთ საღამოს უმანკო და წმინდა გოგოსთან ერთად სეირნობდა, რომელიც ვარსკვლავივით შორეული და მიუწვდომელი იყო. შემდეგ კი კაცი დააპატიმრეს და ყველაფერი აღიარა. მან თქვა, რომ არ იცოდა, რატომ მოკლა ცოლი; ფრთხილობდა, რომ ქარხანაში მომუშავე გოგოს შესახებ არაფერი დასცდენოდა. გაზეთები დანაშაულის მოტივის გახმაურებას ცდილობდნენ. ვიღაცას დაუნახავს საღამოობით გოგოსთან ერთად მოსეირნე კაცი; ამის გამო მისი სურათებიც დაიბეჭდა გაზეთებში. ეს ყველაფერი გოგოს ძალიან აშფოთებდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეძლო დაემტკიცებინა, რომ არაფერი აკავშირებდა კაცთან.

* * *

გუშინ დილით ძლიერი ნისლი ჩამოწვა სოფელში. გამთენიისას სასეირნოდ წავედი. როდესაც დაბლობიდან ჩვენს მთიან სოფელში

დავბრუნდი, იმ მოხუცს წავაწყდი, ვის ოჯახსაც, თითქოს, ამდენი უცნაურობა სჭირდა. გარკვეული ხანი ის ჩემ გვერდით მოდიოდა, პატარა ძაღლი ხელში ეჭირა. ძალიან ციოდა, ფინიაც სიცივისგან წკმუტუნებდა და კანკალებდა. მოხუცის სახე კი ნისლში გაბუნდოვანებულიყო. იგი საუბრობდა კაცზე, რომელმაც ცოლი მოკლა და რომლის სახელიც იმ გაზეთებში იბეჭდებოდა, ჩვენს სოფელში ყოველ დილით რომ მოჰქონდათ. მოხუცი, რომელიც გვერდით მომყვებოდა, ერთი გრძელი ისტორიის მოყოლას შეუდგა, საუბრობდა საკუთარი განვლილი ცხოვრების გზასა და თავისი ძმის ცხოვრების შესახებ. ახლა უკვე მიყვებოდა მკვლელ ძმაზე, რომელთან ერთადაც დიდხანს ცხოვრობდა.

„ის ჩემი ძმაა“, - რამდენჯერმე გაიმეორა მოხუცმა და თავი გააქნია. ეშინოდა, რომ ამ ყველაფერს არ დავუჯერებდი.

„ჩვენ ბავშვობაში ერთად ვიყავით; მე და ის კაცი“, - ისევ განაგრძო მოხუცმა.

„ერთად ვთამაშობდით მამაჩვენის სახლის უკან, ბეღელში. მამაჩვენი ზღვაში წავიდა, გემით....

ჩვენ სხვადასხვა გვარი გვაქვს, მაგრამ ერთი მამა გვყავდა...

ჩვენ საათობით, განუყრელად ვიწექით თივის ფარდულში და ვთამაშობდით“.

ნისლში მოხუცი კაცის გამხდარი სხეული პატარა, დაკოჟრილ ხეს ჰგავდა. შემდეგ კი ჰაერში თუ გაქვავებულ საგანს დაემსგავსა და სახრჩობელაზე ჩამოკიდებული სხეულივით წინ და უკან დაიწყო ქანაობა. მისი სახე მევედრებოდა, რომ ყველაფერი, რაც კი მიამბო, დამეჯერებინა, ტუჩები კი ლაპარაკობდნენ. ჩემს გონებაში ყველაფერი, რაც კაცისა და ქალის ურთიერთობას ეხებოდა, ბუნდოვანი და დამაბნეველი გახდა. იმ კაცის სული, რომელმაც ცოლი მოკლა, თითქოს ამ მოხუცი კაცის სხეულში ჩასახლებულიყო.

ის ცდილობდა, ჩემთვის ეთქვა ამბავი, რომელსაც ვერასდროს მოჰყვებოდა ქალაქის სასამართლო დარბაზში მოსამართლის წინაშე. კაცობრიობის მარტოობის მთელი ისტორია და ძალისხმევა იმისა, რომ მიუწვდომელ სილამაზემდე მიაღწიო, ტუჩებზე აღბეჭდვოდა მოხუც კაცს, რომელიც ნისლიან დილას ძაღლით ხელში იდგა სოფლის გზაზე.

მოხუცი ისე ძლიერ უჭერდა ძაღლს ხელს, რომ საბრალო ტკივილისაგან წკმუტუნებდა. მოხუცს კრუნჩხვისაგან მთელი სხეული უკანკალებდა. თითქოს სული სხეულიდან ამოსხლეტას ლამობდა, რათა ნისლში, შორს გაფრენილიყო ქალაქისკენ, მომღერალთან,

პოლიტიკოსთან, მილიონერთან, მკვლელთან, ძმასთან, ბიძაშვილთან და დასთან. მოხუცი კაცის სურვილის სიშმაგე, თითქოს, ჩემმა სხეულმაც იგრძნო და შევკრთი. მოხუცის მკლავები მჭიდროდ შემოჰკვროდა პატარა ძაღლს, რომელიც ტკივილისაგან კვნესოდა. ნაბიჯი წავდგი, მოხუცს მკლავზე ვსტაცე ხელი, ძაღლი მიწაზე დავარდა და წკმუტუნით დაწვა. ალბათ დაშავდა. შესაძლოა, ნეკნებიც ჩაემტვრა.

მოხუცი ფეხებთან მწოლიარეს ისე დააშტერდა, როგორც ველოსიპედების ქარხანაში მომუშავე კაცი თავის მკვდარ ცოლს.

„ჩვენ ძმები ვართ“, - კვლავ გაიმეორა მან.

„ჩვენ სხვადასხვა გვარი გვაქვს, მაგრამ ძმები ვართ“.

* * *

ვზივარ ჩემს სახლში, სოფელში. წვიმს. ჩემ თვალწინ, უეცრად, გორაკები ქრება და დაბლობი მოჩანს. დაბლობს მიღმა ქალაქია. რამდენიმე საათის წინ მოხუცმა კაცმა ჩემს სახლთან ჩაიარა, მაგრამ პატარა ძაღლი აღარ ახლდა. შესაძლოა, როცა ჩვენ ნისლში ვსაუბრობდით, მაშინ იმსხვერპლა თანამგზავრის სიცოცხლე. ალბათ, ზედამხედველის ცოლისა და მისი მომავალი ბავშვის მსგავსად ძაღლიც მკვდარია.

... ჩემი სახლის წინ, გზისპირა ხეებიდან ფოთლები წვიმასავით ცვივა. წითელი, ყვითელი და ოქროსფერი ფოთლები მძიმედ ეშვება ძირს, წვიმა კი სასტიკად უტყლაშუნებს მათ.

... ოქტომბერში ფოთლები უნდა ფრენდნენ, გადადიოდნენ დაბლობს, ცეკვა-ცეკვით მიიწევდნენ შორს, შორს...

ინგლისურიდან თარგმნა დიანა მიქელაძემ

რევაზ ჭიღლაძე

შემთხვევები გზებზე ...

მაშველებმა მხოლოდ მიმშველებლის გადარჩენა შეძლეს

ერთი ჩემი ძველი მეგობარი უხვადაა დაჯილდოებული ბუნებისაგან ნაბოძები ზნეკეთილი თვისებებით, მეგობრის ამ თვისებამ (თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია), გადაულახავი პრობლემა შეუქმნა მდინარეში გადავარდნილ და განსაცდელში ჩავარდნილ მოქალაქეს. მოკლედ გიამბობთ ამ შემთხვევის შესახებ.

იყო გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები. ჩემი მეგობარი კუთვნილი შვებულების ამოწურვის შემდეგ სამსახურში საქალაქთაშორისო ავტობუსით ბრუნდებოდა, მძღოლმა ავტობუსი ერთ-ერთი მდინარისპირა სადგურზე რამდენიმე წუთით შეაჩერა.

ავტობუსიდან შესვენებაზე გადმოსულ მგზავრებს უმძიმესი სურათი დახვდათ, მოქალაქე მდინარეში გადავარდნილიყო და ელოდებოდნენ მაშველებს. ამ დროს თითოეულ წამს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ეგებ, როგორმე გადარჩეს ადამიანის სიცოცხლე. ამ სურათის მხილველმა ჩემმა მეგობარმა სასწრაფოდ მოხსნა თავისი ბარგი ავტობუსიდან და გადახტა მდინარეში უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის დასახმარებლად.

მეგობრის მდინარეში გადახტომიდან რამდენიმე წუთში მაშველებიც გამოჩდნენ და ხალხის დაუკითხავად (ეტყობა, დროის მოგების მიზნით!) პირდაპირ გადაეშვნენ მდინარეში და ეს ჩემი მეგობარი, რომელიც ჯერ არ იყო მისული განსაცდელში მყოფთან (მასაც გაუჭირდა ცივ მდინარეში ცურვა), ამოიყვანეს წყლიდან, მაშველებმა ჩათვალეს, რომ ის იყო მდინარეში გადავარდნილი.

როცა მაშველებმა იქ მყოფი ხალხისაგან შეიტყვეს, რომ ეს იყო მიმშველებელი და არა წყალში შემთხვევით გადავარდნილი მოქალაქე, მათ მეორედ მოუხდათ (უკვე დაგვიანებით) მდინარეში შესვლა, ამასობაში დაიკარგა უძვირფასესი წუთები და განსაცდელში მყოფი მოქალაქე, სამწუხაროდ, დაიღუპა.

რას იმსახურებდა ის ჩემი მეგობარი ამ ქმედებისათვის? - საყვედურს, თუ მადლობას? ხალხი ბჭობდა, მათ შორის იყვნენ ისეთებიც,

რომლებიც მადლიერებას გამოხატავდნენ მის მიმართ. მეც ხალხის ამ მოსაზრებას ვიზიარებ - მიუხედავად დატრიალებული უმძიმესი შედეგისა.

ახალციხეში მეჩქარება, საიქიოში კი არა!

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დირექტორს ერთ-ერთ ორშაბათს, დღის 15 საათზე დირექციის სხდომა ჰქონდა დანიშნული. მე, როგორც ფაკულტეტის დეკანი, ვალდებული ვიყავი, დავსწრებოდი სხდომას, არადა, დილით, ცხრა საათზე, თსუ მაღლივ კორპუსში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებთან მქონდა ლექცია ჩასატარებელი. ლექციის შემდეგ დიდუბის ავტოსადგურში მიკროავტობუსის ნაცნობი მძღოლი დამხვდა. შევეხვეწე, გზაზე რაც შეიძლება, სწრაფად ევლო, რომ ჩამესწრო სხდომისათვის.

ნაცნობმა მძღოლმა ჩემი თხოვნა გაითვალისწინა და დიდი სიჩქარით გადაადგილდებოდა ზამთრის მოყინულ გზებზე. ორჯერ სასწაულებრივად გადავურჩით მტკვარში გადავარდნას.

მიკროავტობუსში მყოფი მგზავრები შიშმა აიტანა, ვერ გაეგოთ, ასე რატომ ჩქარობდა მძღოლი. ვიფიქრე, ისევ მე თუ შევძლებდი შექმნილი სიტუაციის განეიტრალებას და მძღოლს ჩავჩურჩულე (მე მძღოლის უკანა სკამზე ვიყავი მოკალათებული): ნელა იარე, გიორგი, მე ახალციხეში მეჩქარება, საიქიოში კი არა.

ნაცნობმა მძღოლმა ეს თხოვნაც შეასრულა და მშვიდობიანად ჩავედით ახალციხეში (დანიშნულ სხდომასაც დავესწარი).

გორი - თბილისის ავტობანზე მიკროავტობუსის მძღოლს ჩაეძინა

ზაფხულია, იქნებოდა დაახლოებით დღის სამი-ოთხი საათი, ლექციების შემდეგ მივემგზავრები ახალციხიდან თბილისში მიკროავტობუსით. მიკროავტობუსში სულ ხუთი მგზავრი ვიყავით,

მხოლოდ ერთი დაგვემატა ბორჯომში (სწორედ ამ მეექვსე ახ-ლადამოსულმა მგზავრმა გვიხსნა მოსალოდნელი მძიმე განსაც-დელისაგან).

მიკროავტობუსი გორს რომ გასცდა, ბორჯომში ამოსულმა ქალ-ბატონმა მანიშნა, რომ მძღოლს ჩაეძინა, მეც მივიღე სასწრაფოდ ზომები და მძღოლი გავაღვიძეთ (მიკროავტობუსიც საკმაოდ შე-ტორტმანდა).

ამ ამბის შემდეგ ყოველი ავტობუსის მძღოლს ვუამბობდი ამ შემ-თხვევის შესახებ და ხუმრობით ვამატებდი: გორში ჩაძინებული მძღ-ოლი მცხეთაში ძლივს გამოვაღვიძეთ მგზავრებმა - მეთქი. ამას იმი-ტომ ვაკეთებდი, რომ მათაც იგივე არ მოსვლოდათ.

ნესტან სულავა

მეფის სახისმეტყველებისათვის „ვეფხისტყაოსანში“*

ნადიმზე ტარიელისა და ნესტანის ურთიერთჭვრეტა მეფეს არ გამოჰპარვია, რასაც, აგრეთვე, აღნიშნავს კიდეც. აქ გავიხსენოთ ნადიმამდე ფარსადან მეფის მალული საუბარი დედოფალთან და ტარიელის შეფასება:

იდუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელია:
„ომით მოსრული ტარიელ საჭვრეტლად სასურველია,
მან გაანათლოს მჭვრეტელთა გული, რაზომცა ბნელია;
რაცა დაგვედრო საქმნელად, ქმენ, არა საზოზნელია.
აწ მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული:
რათგან ქალია სამეფოდ ჩვენგანვე სახელ-დებული,
ვინცაღა ნახავს, აწ ნახოს, აჰა ხე, ედემს ხებული,
გვერდსა დაისვი, ორნივე სრას დამხვდით, მოვალ შვებული“ (478-479/475/476).

დამოწმებული სიტყვები ასაბუთებენ, რომ მეფე-დედოფლისაგან ნესტან-დარეჯანი სამეფოდაა სახელდებული. აგრეთვე, ფარსადანის ეს სიტყვები შემთხვევითი არ არის და იმას მოწმობს, რომ მეფე ტარიელს ღირსეულად აფასებს, შვილივით უყვარს, აღნიშნავს მის ღირსებებს. დაისმის კითხვა, ფარსადანის მიერ ცოლისთვის ნათქვამი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მეფის ასული სწორედ ტარიელთან შესახვედრად გამოიყვანოს, რათა ნესტან-დარეჯანმა და ტარიელმა ერთმანეთი ნახონ, უკეთ გაიცნონ. შესაძლოა ისიც დავუშვათ, რომ ფარსადანს უნდა დარწმუნდეს ნესტან-ტარიელის სიყვარულში და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს: სახელმწიფოს მთავარსარდალი სჭირდება, მან თავისი ასული უნდა გაათხოვოს. მხოლოდ ამ ეპიზოდის მიხედვით ძნელია ფარსადანის პოზიციის გამოკვეთა. საქმე ისაა, რომ ფარსადანმა ამ ნადიმზე, როგორც ჩანს, მიჯნურთა იდუმალი

---

* პირველი ნაწილი დაიბეჭდა „არავი“ 1(13)-ში გვ.111-133.

ჭვრეტა ნამდვილად შენიშნა, რის შემდეგაც სასწრაფოდ გადაწყვიტა ნესტან-დარეჯანის გასათხოვებლად გადაწყვეტილების მისაღებად სავაზიროს თათბირის მოწვევა.

ფარსადან მეფემ ასულის გათხოვება გადაწყვიტა და თავისი უპირველესი ვაზირები სათათბიროდ მოიწვია; თათბირს, მისი სახელმწიფოებრივი სტატუსიდან გამომდინარე, როგორც ამირბარი და ამირსპასალარი, ტარიელიც ესწრებოდა. მამამ თავისი ასულის დაუკითხავად გადაწყვიტა მისთვის საქმროს შერჩევა, რისთვისაც მოიწვია თათბირი, თუმცა ამ თათბირს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს და მთავარი სიტყვა მეფე-დედოფალს ეკუთვნის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფარსადანის ერთადერთი ასული, ტახტის მემკვიდრე ნესტან-დარეჯანი, თავისი ჩამომავლობითა და სტატუსით თინათინის დარი, პოემაში ძედ არ იწოდება. ფარსადანი და დედოფალი ნესტან-დარეჯანს ტახტის მემკვიდრედ მიიჩნევენ, თუმცა სამეფო ტახტზე არ აჰყავთ, რაც ნესტანის გათხოვების თაობაზე მოწვეულ თათბირზე მეფის მიერ წარმოთქმულ პირველსავე სიტყვებში გამოამჟღავნა: „ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია, ყმისა არ-სმა არა გაგვა, ამად ზედა წაგვითვლია“ (511/508, 3-4).

ფარსადანი და დედოფალი ეძებენ სასიძოს, რომელსაც ინდოეთის ტახტს გადასცემენ და თავიანთ სახედ გამოსახავენ, სასიძოს, რომელსაც სამეფოს პატრონად იგულვებენ, ინდოეთის ძლევამოსილ სახელმწიფოს შეანახვინებენ, რათა მტერთაგან მოურეველი დარჩეს. ფაქტობრივად, ფარსადანმა, როგორც მეფემ და ერთპიროვნულმა მმართველმა, უგულებელყო ნესტან-დარეჯანის, როგორც მეფის ერთადერთი ასულის, როგორც ტახტის მემკვიდრის, უფლისწულის უფლებები. არაბეთისაგან განსხვავებით, სადაც როსტევანმა ქალი გაამეფა, ინდოეთში სხვა კანონი მოქმედებს. ფარსადანმა თავისი ასული არ გაამეფა; შესაბამისად, მას მშობლები ურჩევენ საქმროს. ეს ქალის როლის, ქალის ადგილის ძველ ტრადიციაზე დამყარებული მსოფლმხედველობის გამოხატულებაა. შუა საუკუნეების სახელმწიფოს პრინციპები, დინასტიური ცხოვრება და იდეოლოგია არ ითვალისწინებს პიროვნულ ფაქტორს, რის გამოც მეფეთა ქორწინება – მეფის ძისა და მეფის ასულის ქორწინება – პოლიტიკურია, იგი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ფაქტორითაა მოტივირებული. ასე რომ, ინდოეთმა მეფის ასულის გამეფებისას და ქორწინებისას უნდა

მისდიოს დინასტიურ-იდეოლოგიურ კონცეფციას. ცხადია, ზემოხსენებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, უგულებელყოფილია ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის პიროვნული ინტერესები, მით უფრო, მათი სიყვარული, რის გათვალისწინებაც ფარსადანს საჭიროდ არ მიაჩნია. იგი მხოლოდ მოვალეობაზე საუბრობს, გრძნობა მას არ აინტერესებს:

ან ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მივსცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოვსახოთ,
სამეფოსა ვაპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ (512/509).

მართალია, მეფემ კითხვა დასვა ვაზირთა წინაშე, მაგრამ ეს კითხვა ფორმალურია, უფრო მეტიც, თითქოს პასუხს ვაზირებისაგან ითხოვს, მაგრამ ვაზირები პირველთქმას ვერ ბედავენ და ვერც გაბედავდნენ. ამიტომ ტარიელის შეპასუხების შემდეგ – „თქვენ უკეთ იცით“... – მეფე გაამხელს ადრე განზრახულს და მათ წინასწარ მოფიქრებულ გადაწყვეტილებას გააცნობს: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა სამისოდ, მისებრი არ რომელია“ (514/511, 3-4). ტარიელი და სამი დიდებული მიემოწმნენ და განაცხადეს: „ვთქვით: „თქვენი ძისა არა-სმა გულსა ვით მიეფარების, მაგრა კმა ჩვენად იმედად, ვინ მზესა დაედარების“ (513/510, 1-2). ამიტომ აქაც, როგორც არაბეთში როსტევან მეფის თათბირისას ვაზირებთან, სავაზირო მხოლოდ დეკორაციაა, ფორმალურია, ფაქტობრივი განმგებელი, ცხადია, მეფეა და გადამწყვეტ სიტყვას ის ამბობს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ როსტევანი თავისი სიბრძნითა და სიახლის შეგრძნებით ბევრად აღემატება ფარსადანს. ტარიელისა და დიდებულების სიტყვით კი ნათლად დასტურდება, რომ ისინი მემკვიდრედ ვაჟს – ძეს ვარაუდობენ, თუმცა, ნესტან-დარეჯანის ღირსებას აღნიშნავენ და სამეფოს იმედად მიიჩნევენ. ფარსადანი და დედოფალი ხვარაზმელ მეფეს უთვლიან: „არს ერთი ქალი საძეო, არ კიდე-გასათხოელი“ (517/514, 3), რაც იმას გულისხმობს, რომ ნესტან-დარეჯანი გასათხოვარი არ არის, ე.ი. სხვა სახელმწიფოში არ გაუშვებენ, ზედსიძე ინდოეთში უნდა მოიყვანონ, რაც გამოიხატება სიტყვით „საძეო“, თუმცა, ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც შეიძლება ჰქონდეს, რაც ნესტან-დარეჯანს მხოლოდ ტახტის მომავალი მემკვიდრის გაჩენის ფუნქციას აკისრებს.

ტარიელის თანხმობის ახსნას ვეცნობით ტარიელის მონათხრობიდან. თათბირზე გადასაწყვეტი პრობლემის თაობაზე გამოხატულ სხვა პოზიციას, ანუ სხვა პერსონაჟის მონათხრობს, ჩვენ არ ვიცნობთ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ასმათის პოზიცია, მას ტარიელის მონათხრობში შესწორება არ შეაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ეს მონათხრობი სიმართლედ მიაჩნია. თუმცა, შესაძლოა ეს დუმილი და, შესაბამისად, თანხმობა, მისმა სოციალურმა სტატუსმაც განსაზღვრა. მთავარი კი ისაა, რომ ტარიელმა მეფეს წინააღმდეგობა ვერ, ან არ გაუწია და თანხმობა განაცხადა. ტარიელის საქციელი თათბირზე ინდოეთის მეფის ასულმა სამართლიანად აღიქვა მამისა და მიჯნურის მხრიდან ღირსების შელახვად, რამაც ძლიერ განარისხა.

გაერთიანებული ინდოეთის მეფე ფარსადანს ტარიელისათვის მყარი, გარკვეული სტატუსი თითქოს არა აქვს მინიჭებული. გავიხსენოთ, სასიძოს დასახვედრად მომზადება მეფემ ტარიელს დაავალა, რაც ცხადად მოწმობს, რომ ფარსადანი ტარიელს ქვეშევრდომად მიიჩნევს, თუმცა სასიძოსთან ტარიელის მიგებებას საჭიროდ არ მიიჩნევს, რაც ორგვარად შეიძლება აიხსნას: 1. ფარსადანი ტარიელს არ ენდობა, ეშინია რაიმე არ მოიმოქმედოს; 2. ფარსადანს სასიძოსთან ტარიელის მიგებება აუცილებლად არ მიაჩნია, რადგან ტარიელი და ხვარაზმშას შვილი სხვადასხვა სტატუსის მქონენი არიან, სტატუსით ტარიელი ხვარაზმშას შვილს ჩამოუვარდება. ამიტომ საკვირველია მეფის სიტყვები: „მისად ნახვად გავიდენ უშენოდ სხვანი სპანია, შენ აქა ნახე, კმარიან იქა ნახვისად ყმანია“ (554/551, 3-4), რომლის აზრი ისაა, რომ მეფის შვილს ყმები თუ მიეგებებიან, სრულიად საკმარისია, ხოლო ტარიელი სასახლეში უნდა შეხვდეს! შესაძლოა, ამის საფუძველი იმ მიმართვაში იყოს საძიებელი, რომლითაც მიმართა თავის აღზრდილს ქორწილისათვის მზადების წინ: „გარდავიხადოთ ქორწილი, ხამს ვითა დასა, სრულია“ (552/549, 2). ფარსადანის ამ გამონათქვამიდან გამომდინარე, თუ ტარიელი და ნესტან-დარეჯანი და-ძმაა, რასაც ზემოხსენებული სიტყვები მიუთითებენ, მაშინ სამეფო ტახტის გადაცემის პრობლემა არც უნდა დასმულიყო, სამეფო ტახტი ტარიელს ეკუთვნოდა! მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის და არც ფარსადანი მიიჩნევს მათ და-ძმად. პირიქით, როგორც ითქვა, ტარიელი სტატუსით ნესტან-დარეჯანზე, ასევე ხვარზმშას შვილზე, დაბალ საფეხურზე მდგომად მიაჩნია.

ფარსადანს, რომელმაც ადრევე შენიშნა და დარწმუნდა კიდეც ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობაში, ტარიელი სასიძოდ იმთავითვე არ მიაჩნია, რაც რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას:

1. ტარიელი, მიუხედავად სამეფო გვარისა, მაინც სამეფო საგვარეულოს გვერდითი შტოს ჩამომავალია, არ არის მეფის ძე, უფლისწული; ტახტის მემკვიდრე, მეფის ძე მეფის ასულზე უნდა დაქორწინდეს, ხოლო მეფის ასული უთუოდ მეფის ძეს უნდა მისთხოვდეს. სწორედ ამიტომაა ფარსადანისთვის მიუღებელი ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორწინება, როგორც განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე პიროვნებებისა. ფარსადანს რომ ტარიელის სიძობა შესაძლებლად, დასაშვებად არ მიუჩნევია, ამას გვავარაუდებინებს თავისი დის, ნესტანის აღმზრდელი მამიდის – დავარისაკენ მიმართული მუქარა:

„აწ, თავმან ჩემმან, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მადესა!

მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!...

თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო! მისად პატიჟად მზად ეს-ა“ (577/574, 1-2, 4).

ამ სიტყვების მიხედვით ნათლად წარმოჩნდება ის, რომ ფარსადანის აზრით, ნესტან-დარეჯანის აღზრდაში დაშვებულია შეცდომა, რომლის შედეგიცაა ინდოეთში დატრიალებული ტრაგედია. მეფემ თავის დას ტახტის მემკვიდრის, ნესტან-დარეჯანის ღვთის მცნებათა კვალობაზე აღზრდა დაავალა, ხოლო აღმზრდელმა ეს დავალება ღირსეულად ვერ შეასრულა, პირიქით, მას ბოროტებისთვის მიუცია გასაქანი, ანუ „დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“. ფარსადანმა ოპოზიციური ბინარულობით მეტაფორულად და სიმბოლურ-ალეგორიულად გამოხატა უკმაყოფილება, მრისხანება; ნესტან-დარეჯანის აღზრდისას დავარის მიერ დაშვებული შეცდომა სემანტიკური ერთეულების „ღმრთისა“ და „ეშმაკისა ბადესა“ საშუალებით გამოთქვა, ამ სიტყვებით თავისი მოთხოვნა და მისი შეუსრულებლობა ერთმანეთს დაუპირისპირა. მაგრამ ფარსადანი დამნაშავეს სხვაში ეძებს და არა საკუთარ თავში, არც საკუთარი ასულის საქციელში. რასაკვირველია, ფარსადანი არაა მართალი, როდესაც ტარიელთან და საკუთარ ასულთან კონფლიქტს ასე მარტივად წარმოადგენს. სინამდვილეში ესაა მრავალმხრივი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე კონფლიქტი,

რომელსაც უმძიმესი შედეგი მოჰყვა საზოგადოდ მთელი ინდოეთი-სათვის, კერძოდ კი – ტარიელისათვის, ნესტან-დარეჯანისა და თვით ფარსადანისათვის.

2. ფარსადანს შვილივით გაზრდილი ტარიელი სასიძოდ ვერ წარმოუდგენია, მას ტარიელი და ნესტან-დარეჯანი და-ძმად მიაჩნია, ფარსადანს ხომ ტარიელი შვილივით ჰყავდა გაზრდილი, ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ერთად აღიზარდნენ; ამის გამო დაუშვებლად მიაჩნია მათი ქორწინება (თუმცა ისინი სისხლისმიერი და-ძმა არ არიან, მაგრამ, ტრადიციის მიხედვით, შვილად აყვანილიც კანონიერი მემკვიდრე და შვილია)[1]; კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ქორწილის სამზადისით დამაშვრალი ტარიელისათვის ფარსადან მეფის ნათქვამი სიტყვები: „გარდავიხადოთ ქორწილი, ხამს ვითა დასა, სრულია“ (552/548, 2).

იქნებ, ამიტომ არ იუცხოვა ფარსადანმა ტარიელის დუმილი თათბირზე, ხოლო ხატაეთის ომში ტარიელის გამარჯვების გამო გამართულ საზეიმო ნადიმზე მეფის მხრიდან შემჩნეული ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მალული ურთიერთჭვრეტა ახალგაზრდული გატაცებითა და ინტერესით ახსნა. იგი სავსებით დარწმუნებული არც არის მათი გრძნობების სიმყარეში, მხოლოდ ხვარაზმშას შვილის მკვლელობის შემდეგ აღიარა, რომ ტარიელისა და ნესტანის სიყვა-რული ძალიან კარგად ჰქონდა შენიშნული: „... ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგნიან, მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვ-რიან, რა ნახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან!“ (576/573, 2-4). თავის აღზრდილ ტარიელს კი, მკაცრად უსაყვედურა და უმძი-მესი განაჩენი გამოუტანა:

ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,
ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმილად?
ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?
მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე! (564/561, 3-4; 565/562).

---

[1] ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის და-ძმად მიჩნევის პრობლემას რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა გვერდს უვლის და არც განიხილავს. მას ყურადღება მიაქცია პოეტმა და მთარგმნელმა თამარ ერისთავმა (ერისთავი, 1995). დავიმოწმებთ ძველი მსოფლიოს მითებში არსებულ ტრადიციას და-ძმის ქორწინებისა: ბერძნულ მითოლოგიაში – ზევსისა და ჰერას, ეგვიპტურში – ისიდასა და ოსირისის ქორწინებები (მატიე, 1956: 52-63).

ფარსადანმა ის განაჩენი გამოუტანა ტარიელს, რისიც ასე ძალიან ეშინოდა ინდოეთის ამირბარს – ფაქტობრივად, მეფემ ტარიელი ინდოეთიდან გააძევა. ცხადია, ფარსადანი გულწრფელი არ არის, როდესაც საყვედურით შეუთვალა ტარიელს, თუ რატომ არ გააგებინა ნესტანისადმი სამიჯნურო ურთიერთობის შესახებ, – მან ხომ შესანიშნავად იცოდა თავისი ასულისა და გაზრდილის სიყვარულის ამბავი. თუ არა თვით ფარსადანი, სხვა ვერავინ მოაწესრიგებდა მათ ურთიერთობას. დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ფარსადანი ტარიელისაგან ასულის ხელის თხოვნას ელოდა და ეს თათბირი ამიტომაც გამართა. მაგრამ ტარიელის უმოქმედობამ და დუმილმა თავისი და ნესტანის მიჯნურობაზე ფარსადანი აიძულა ამგვარი შემთხვევისათვის წინასწარ მომზადებული წინადადება შეეთავაზებინა თათბირის მონაწილეთათვის. იგი თავის ასულს და სამეფო ტახტს თავად არ/ვერ შესთავაზებდა ტარიელს; ტარიელს თავად უნდა ეზრუნა ამაზე და თავადვე გაემხილა მამობილისათვის თავისი და ნესტან-დარეჯანის სიყვარული და განაზრახი. თუმცა, ეს ვერსია ნაკლებ სავარაუდოა.

ფარსადანი ნესტან-ტარიელის სიყვარულს დიდი ხანია მიმხვდარია, მას ეშინია ტარიელისა და ბოლომდე არ ენდობა თავის აღზრდილს, რომელმაც თავისი გულისნადები არ გაუმხილა აღმზრდელს, არ ენდო, არ უთხრა სიმართლე. ამიტომ არც ფარსადანია გულწრფელი, ისიც ინიღბება და თავის აზრს, ჩანაფიქრს ბოლომდე არ ამჟღავნებს.

3. მესამე თვალსაზრისის ზოგიერთი დებულება სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარიაციით ასე თუ ისე გამოითქვა. ფარსადანი იმპერატორის ტიპია, იგი თავისი პოლიტიკური გავლენების გაფართოებას ისახავს მიზნად: ინდოეთის ექვსი სამეფოს მფლობელს სარიდანმა თავისი მეშვიდე სამეფო ნებაყოფლობით შეუერთა, თავად ამირბარობას დასჯერდა, რათა უფრო ვრცელ გეოგრაფიულ არეალში გამოეცადა საკუთარი თავი და განესაზღვრა, სად გადიოდა მისი შესაძლებლობების ზღვარი, მთელი ინდოეთის მასშტაბით ეღვაწა, თუნდაც ამირბარის სტატუსით; ფარსადანის სამეფო საზღვრები გაფართოვდა, სახელმწიფო გაიზარდა. სარიდანის ძემ, მამის ამირბარობისას დაბადებულმა ტარიელმა, ფარსადანს ომით შემოუმტკიცა ხატაეთი. ხვარაზმშას შვილზე ნესტან-დარეჯანის გათხოვებით ინდოეთის პოლიტიკური გავლენები

ხვარაზმზეც გავრცელდებოდა. სწორედ ეს სურს „უკადრსა და მეფეთა ზედა მფლობელ, ომად მძლესა და რაზმთა მწყობელ“ ფარსადანს, რომლის ტარიელისეულ დახასიათებაში ჭარბობს მეომრული თვისებები და სამამაცო ზნენი. ცხადია, ზემოხსენებულ სხვა ფაქტორებთან ერთად, ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ფარსადანმა ინდოეთის ტახტის მემკვიდრე ნესტან-დარეჯანი ინდოეთის ამირბარს, სოციალური სტატუსით უფლისწულზე დაბლა მდგომს, არ მიათხოვოს.

ფარსადანი რომ მკაცრი და შეუვალია, ამას მისი დის, დავარის სიტყვებიდანაც ვიგებთ; როდესაც დავარს უთხრეს, თუ როგორ დაემუქრა ფარსადანი ნესტან-დარეჯანის ცუდად აღზრდისათვის: „მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა“, ძმის შეფასება დავარმა უსამართლოდ მიიჩნია და ხვარაზმშას შვილის მკვლელობის ინსპირატორს, ნესტან-დარეჯანს დაემუქრა: „არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი. რა გიყავ, რა გაქმნევინე? აწ, ღმერთსა უნდეს, ვერ მიჰხვდე, ვის ესე დააშლევინე!“ (581/578, 3-4). ნესტან-დარეჯანი ინდოეთიდან გადაკარგა, ხოლო თავად თავის ძმას დაასწრო და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

სარიდანი. მართალია, სარიდანი არაა ისე სახიერად და სიღრმისეულად დახასიათებული, როგორც როსტევანი და ფარსადანი, მაგრამ იგი ძლიერი და მეომარი მეფეა, თუმცა, რასაკვირველია, იდეალური არც ის არ არის, რადგან ღვთის განგების წვდომა ვერც მან შეძლო. ზ. გამსახურდიამ მისი სახელის ეტიმოლოგია ახსნა, მასში გამოყო „სარ“/„ზარ“ ძირი, რაც ოქროს ნიშნავს, და მისი სახელის სიმბოლური არსი განმარტა: „ასეთი სახელი ტარიელის მშობლისა არ არის შემთხვევითი, ხოლო მისი სიმბოლიკა ჩვენ შემდეგნაირად გვესახება. მისტერიათა ენაზე ოქრო, როგორც ყველაზე კეთილშობილი მეტალი, სიმბოლოა გასულიერებული მატერიისა, მკვდარ მატერიაში სულის გამოცხადების დანახვისა და სიმბოლურად წარმოადგენს ... ზეშთაცნობიერებას“... (გამსახურდია, 1991: 271). ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, ოქრო და ოქროსფერი ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში მოწამეობის სიმბოლო გახდა, რომლის საფუძველი ევანგელურ-აპოსტოლური სწავლება გახდა: „რაჲთა გამოცდილებაჲ იგი სარწმუნოებისა თქუენისაჲ უპატიოსნეს უფროჲს ოქროჲსა მის წარწყმედადისა, ცეცხლისა მიერ გამოცდილისა იპოოს საქებელად და დიდებად და პატივად გამოჩინებასა იესუ ქრისტესსა“ (I პეტრე, 1, 7); „განგაზრახებ

შენ, რაჲთა იყიდო ჩემგან ოქროჲ გამოხურვებული ცეცხლითა, რაჲთა განჰმდიდრე, და სამოსელი სპეტაკი, რაჲთა შეიმოსო, და არა გამოცხადნეს სირცხÂლი სიშიშულისა შენისაჲ“ (გამოცხ. 3, 18). ს. ავერინცევმა ოქროს სიმბოლური მნიშვნელობის განსაზღვრისას აღნიშნა: „ოქროს სიმბოლიკა უკიდურესი დამცირებისა უსასრულო დიდების გზაზე სვლის ქრისტიანული სიმბოლიკაა, რათა აინთოს იგი სპეტაკი ბრწყინვალებით, ოქრო უნდა გამოიწრთოს განსაცდელის ცეცხლში და განიწმინდოს მასში, როგორც ადამიანის ანთებული გული განიწმინდება განსაცდელისას. ...ოქროს ბრწყინვალება მოწამეთა ბრწყინვალების ბადალია“; მისივე დასკვნით, „ოქრო ბიზანტიელისათვის იყო სინათლის სახე, როგორც ჭეშმარიტებისა და დიდებისა და ამის შემდეგ ღვთაებრივი ენერგიის სახე... ოქრო არის მუდმივი მეტაფორა უბიწოებისა და უხრწნელებისა“ (ავერინცევი, 1973: 49-51). ამიტომაც არის ოქროსთან დაკავშირებული ბიბლიური წანამძღვრის მნიშვნელობის გათვალისწინება, რომლის მიხედვით, ღვთის ნების კვალობაზე ებრაელებმა, როგორც რჩეულმა ერმა, მანანის მარცვლები შეინახეს ოქროს ტაკუკში. ვფიქრობ, სარიდანის სახელში ოქროს სიმბოლიკა იმის მიმანიშნებელია, რომ მან უნდა შეინახოს სამეფო საგვარეულოს გენი მისი მემკვიდრის ტარიელის სახით.

უაღრესად საინტერესოა ინდოეთის მეშვიდე სამეფოს მეფე სარიდანი, რომლის ქმედება იმპერატორის ტიპისათვის დამახასიათებელი ნამდვილად არ არის, მაგრამ არც იდეალად ისახება. იგი ტახტიდან თავის გადადგომას იმით ხსნის, რომ საკუთარი ძალების გამოცდა სურს უფრო ფართო ასპარეზზე, თუნდაც განსხვავებული, უფრო დაბალი საფეხურებრივი სტატუსითა და სხვა მეფის წინაშე ქვეშევრდომული სამსახურით. გავიხსენოთ ტარიელის მონათხრობი მამის შესახებ:

მამა-ჩემი ჯდა მეშვიდედ, მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელად, მტერთა სრვად დაუფარავი;
ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი;
ნადირობდის და იშვებდის საწუთრო-გაუმწარავი (314/312).

ზემოთ ითქვა, „ვეფხისტყაოსანში“ სარიდანი არაა ისე სახიერად და სიღრმისეულად წარმოდგენილი, როგორც ფარსადანი და როსტევანი, მაგრამ რაც მის შესახებ არის ნათქვამი, მაინც საკმარისია მისი პიროვნული თვისებების გასააზრებლად და მისი ინტერესების გასათ-

ვალისწინებლად. იგი ძლიერი, მეომარი მეფეა, თუმცა, რასაკვირველია, იდეალური არ არის. მას არ აკმაყოფილებს ის სახელი და დიდება, რაც მოპოვებული აქვს თავის ქვეყანაში, სამოქმედოდ უფრო ფართო ასპარეზი სჭირდება. სარიდანს ფარსადან მეფე იწყნარებს, როგორც მამა მშობელი, რომელიც გახარებულია სარიდანის სამეფოს უსისხლოდ შემოერთებით:

ფარსადან შექმნა ზეიმი ამა ამბვისა მცნობელმან.
შესთვალა: „ღმერთსა მადლობა შევსწირე ხმელთა მფლობელმან,
რათგან ეგე ჰქმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მპყრობელმან.
აწ მოდი, ასრე პატივ გცე, ვითა მამამან მშობელმან (317/315).

ტარიელმა აღნიშნა, რომ ფარსადანმა სარიდანს საკარგვად უბოძა ინდოეთის ერთი სამეფო, ამირბარობა და ამირსპასალარობა, ყოველმხრივ პატრონია, მხოლოდ კეისარი არ არის. „ვეფხისტყაოსანში“ „კეისარობა“ სრულყოფილ, დამოუკიდებელ მეფობას ნიშნავს. ფარსადანმა სარიდანი, ტარიელისავე სიტყვით, „დაიჭირა სწორად თავსა“ (319/317, 1). ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ სარიდანი ინდოეთის ერთიანობის მოსურნეა, საკუთარ სამეფო უფლებებს თმობს იმისთვის, რომ საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოავლინოს უფრო ფართო სამოქმედო ასპარეზზე. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თავის ჯერ დაუბადებელ შვილს, რეალურ ტახტის მემკვიდრეს, სამეფო ტახტი დაუკარგა და მისი სამეფო უფლებები უგულებელყო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ არც ფარსადანს, არც სარიდანს შვილი არ ჰყავთ მაშინ, როდესაც სარიდანმა ეს პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა.

სარიდანის ზემოთ დამოწმებულ დახასიათება-წარდგინებაშიც მხედრული სიქველე, ძალგულოვნება, ბრძოლისუნარიანობა, ასპარეზობა ჩანს, რაც მეფეს უთუოდ უნდა ახასიათებდეს. სარიდანი არაორდინარული მეფეა, რადგან იგი სამეფო ტახტს ნებაყოფლობით თმობს, მის ამ ქმედებას ამბივალენტურობა ახლავს და ორგვარად შეიძლება განიმარტოს: 1. ერთი მხრივ, მან სწორი ნაბიჯი გადადგა ინდოეთის გასაერთიანებლად, რაც პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ; ამ შემთხვევაში სარიდანსა და ფარსადანში ფარნავაზისა და ქუჯი ერისთავის ჰიპოდიგმური სახეები შეიძლება ამოვიკითხოთ. სარიდანი, ქუჯი ერისთავის დარად, ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის იღვწის და ზრუნავს, მისთვის პირადული ინტერესები მეორეხარისხოვანია; 2. მეორე მხრივ, მისმა სამეფომ დამოუკიდებლობა

დაკარგა, შესაბამისად, სარიდანმა თავის მემკვიდრეს, ჯერ არდა-ბადებულს, სამეფო ტახტი დაუკარგა. მართალია, მისი საქციელი, როგორც მეფისა, არ არის ეგოისტური, მაგრამ იგი მაინც საკუთარი პიროვნული ინტერესებითაა ნაკარნახები. ისევ ტექსტი დავიმოწმოთ:

ხალვა მოსძულდა, შეექმნა გულს კაეშანთა ჯარები.
თქვა: „წამიღია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,
ყოვლგნით გამისხმან, მორჭმით ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები“.
ბრძანა: „წავალ და მეფესა ფარსადანს შევეწყნარები“.
ფარსადანს წინა დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა,
შესთვალა: „შენ გაქვს მეფობა ინდოეთისა სრულისა;
აწ მე მწადს თქვენსა წინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,
სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა“ (315/313–316/314).

სარიდანის მიერ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა მის ერთადერთ მემკვიდრეს, ტარიელს, რომელიც მოგვიანებით, უკვე სარიდანის ამირბარობისას დაიბადა, სიკეთე ვერ მოუტანა, პირიქით, მას სტა-ტუსი დაუდაბლა. შესაძლოა, თავის დროზე სარიდანს თავისი ნაბიჯის გადადგმა უძეობამაც გაუადვილა – მას ხომ ტარიელი ამირბარად ყოფნისას შეეძინა, მაგრამ შესაძლოა, უფრო შორსგამიზნული ქმედე-ბაც დავინახოთ მის საქციელში, რადგან ჩვენ არ ვიცით, ამ დროს სარიდანი ელოდებოდა, თუ არა მემკვიდრის დაბადებას. მაგრამ, ცხა-დია, სარიდანი ვერ იქნებოდა დარწმუნებული, რომ ფარსადანსაც არ მიეცემოდა შვილი და თავისი შვილის – ტარიელის – მომავალს, როგორც ტახტის მემკვიდრისა, მაინც საფრთხის ქვეშ აგდებდა. თუმცა, აქ მთავარი მაინც ისაა, რომ ტარიელი მამის ამირბარობისას დაიბადა და ტარიელის სტატუსი სოციალური თვალსაზრისით მეფისწულის ტოლფარდი არ არის: „ვა, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა!“ (320/318, 3).[2]

საქმე ისაა, რომ სამეფო ტახტიდან სარიდანის გადადგომამ პირა-დად მას, როგორც ჩანს, დაუკმაყოფილა ოცნება და მიზანი, მაგრამ საბოლოოდ სიკეთე ვერ მოუტანა ვერც ინდოეთის სამეფოს, ვერც მის ერთადერთ ვაჟს, ტარიელს, რადგან მისი, როგორც მემკვიდრის

[2] ძნელად გასაზიარებელი ჩანს ბოლო ხანებში ლექციების სახით გავრცელებული ლევან გიგინეიშვილის მოსაზრება, რომ სარიდანმა უკვე იცოდა, რომ შვილი ეყოლებოდა და ამიტომაც გადადგა ეს ნაბიჯი. თავისი შვილი გაერთიანებული ინდოეთის მეფედ უნდოდა გაეხადა და ამას „ვეფხისტყაოსანში“ შეფარულად წარმოდგენილ პოლიტიკურ ავანტურად მოიხსენიებს. ლექციებზე გამოთქმული ეს მოსაზრება მრავალ ისეთ კითხვას აღძრავს, რომლებზეც პასუხი არაა გაცემული.

სტატუსი გაურკვეველი დარჩა. ამერიკელმა მეცნიერმა ბეინენმა, რამდენიმე რუსთველოლოგიური შრომის ავტორმა, არაბეთისა და ინდოეთის შესახებ იმგვარი შეხედულება გამოთქვა, როგორიც ჩვენშიც არაერთხელ გამოთქმულა და რომელსაც მიმდევრები დღესაც ჰყავს; უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერული აზრის განვითარებამ ამ პრობლემის გადახედვა და გადააზრება მოითხოვა. ეს შეეხება არაბეთის რაციოს ქვეყნად და ინდოეთის ემოციის საუფლოდ მიჩნევას: „სარიდანი უარს ამბობს თავის სამეფოზე. ირკვევა, რომ ორი გადადგომა ესადაგება ინდოეთისა და არაბეთის ზოგად ოპოზიციურ მოდელს: ინდოეთი უკავშირდება იმპულსურ მოქმედებებს, რომელთაც აქვთ კატასტროფული შედეგები, მაშინ როდესაც არაბეთის მაცხოვრებლები იღებენ გონივრულ და გააზრებულ გადაწყვეტილებას, რაც მათ ეხმარება თავიანთი მიზნის მიღწევაში“ (ბეინენი, 2006). მკვლევრისათვის სარიდანის საქციელის მიზეზები უცნობია, მისი სიტყვით, სარიდანის „გადადგომა უცნაური ქმედებაა“. ამრიგად, მკვლევარმა ინდოეთი იმპულსურ ქვეყნად, ხოლო სარიდანის საქციელი ალტრუიზმად, კერძოდ, „ექსკლუზიურ ალტრუიზმად“ მიიჩნია. ასევე მიიჩნევს როსტევანს ალტრუისტად, ოღონდ „ინკლუზიურ ალტრუისტად“. მან როსტევანიც ასევე ალტრუისტად მიიჩნია, ოღონდ, – „ინკლუზიურ ალტრუისტად“. მისივე შეხედულებით, „ნამდვილი ალტრუისტი შეიძლება იყოს ეგოისტი და ნამდვილი ეგოისტი კი – ალტრუისტი“. მკვლევრის მსჯელობა თანდათანობით გადადის იმაზე, რამდენად მისაღებია და უსაფრთხო ალტრუიზმი და ეგოიზმი. ვფიქრობთ, ეს შეფასება კომენტარს საჭიროებს. სარიდანი რომ ალტრუისტი არ არის, ამას მეფობიდან მისი გადადგომის მიზეზი და მისივე მომავალი სამოქმედო მიზანი ადასტურებს: მას სურს საკუთარ შესაძლებლობათა გამოცდა ფართო სამოქმედო სივრცულ არეალზე და არ იფიქრა თავის მომავალ შვილზე, ჯერ დაუბადებელ შვილზე, რომელიც მისი ტახტის მემკვიდრე უნდა გამხდარიყო, იქნებ – გაერთიანებული ინდოეთის ტახტის მემკვიდრეც. ამიტომ მის საქციელს ვერც ალტრუიზმად შევაფასებთ, ვერც ეგოიზმად. ერთი რამ კი კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ სარიდანის ამ საბედისწერო ნაბიჯმა მოგვიანებით ინდოეთი განსაცდელში ჩააგდო და სიმშვიდე დაკარგა. სამართლიანობა მოითხოვს იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ ბატონი ბეინენი მართებულად შენიშნავს სარიდანის ნაბიჯის შესახებ, რომ მისი გადაწყვეტილება გულიდან მოდის, იგი გულწრფელია თავისი გადაწყვეტილების მიღებისას.

ინდოეთში, მართალია, სარიდანისა და ფარსადანის სამეფოები შეერთდა და თითქოს მოგვარდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, მაგრამ მოუგვარებელი დარჩა უმთავრესი: ინდოეთის შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის, ტახტის მემკვიდრეობითად გადაცემის საკითხი. ძველმა თაობამ ეს ვერ შეძლო. ამიტომ საჭიროა ახალი ძალა, ახალი თაობა, რომელიც ინდოეთს საბოლოოდ გარდაქმნის და სამყაროს ჰარმონიულობას ჩაუყრის საფუძველს. ინდოეთი განახლებადია და იგი ნესტან-დარეჯანმა და ტარიელმა ერთად უნდა განაახლონ. განახლების გზა კი ურთულეს სულიერ ცხოვრებაზე გადის. მათ ცხოვრებას ღვთის განგებით წარმართავს „სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული“, ხოლო „უფროჲს ამათსა სიყუარული არს“ (I კორ. 13, 13). სიყვარულია ის საიდუმლო, რომელიც განცხადდება და აღსრულდება მომავალ, სულიერ საუკუნეში, სიყვარული მარადიულია და იგი ზესთასოფელში მარადიულად იარსებებს. „ვეფხისტყაოსანში“ დროთა კავშირი დაირღვა, ღმერთმა ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს, თინათინსა და ავთანდილს არგუნა მისი აღდგენა. ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს უპირველესად შინაგანი მთლიანობა აქვთ მოსაპოვებელი. ტარიელი გაერთიანებული ინდოეთის სამეფო ტახტის მფლობელი უნდა გახდეს ღვთის განგებით, რასაც საფუძველი სარიდანმა მოუმზადა. ნ. ლოსკიმ წმ. გრიგოლ ნოსელის მოძღვრების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება, რომ ადამიანში სულიერი აღმასვლა გონიერი საწყისისაგან გრძნობადის დაძლევით იწყება (ლოსკი, 1991: 334), რაც სარიდანმა ღვთის წინასწარგანზრახულებით ჩაიფიქრა, ხოლო მისმა ძემ აღასრულა.

ადამიანის სულიერ ცხოვრებას ღვთის განგებით წარმართავს „სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული“, ხოლო „უფროჲს ამათსა სიყუარული არს“ (I კორ. 13, 13). წმ. მაქსიმე აღმსარებელი ამბობს, რომ სიყვარული მსოფლიო ჰარმონიაა, კოსმიური კავშირია ღმერთსა და ადამიანს შორის (მინინი, 1991: 386). სიყვარულის მიზანია ადამიანის ბუნების დაშლილ კავშირთა აღდგენა, დარღვეული კაცობრიობის გამთლიანება, ზესთასოფლისა და სოფლის, ზესთასოფლის მკვიდრთა და ადამიანთა მორიგება. ახალი თაობის მიერ დამყარებული სამართალი დაფუძნებული სიყვარულსა და ღვთის მადლზე ახალი სჯულის სამართალია, იგი სულიწმიდის მეშვეობით განფენილია მორწმუნეთა გულში (II კორ. 3, 6).

ხვარაზმშა და მისი შვილი. „ვეფხისტყაოსანში“ არცთუ უმნიშვნელო მხატვრული ფუნქცია აკისრიათ ხვარაზმის მეფესა და მის შვილს,

რომლებიც, ცხადია, არათუ მთავარი პერსონაჟები არ არიან, არამედ სიუჟეტის განვითარებისას მხოლოდ თითო-თითო ეპიზოდში ჩნდებიან, მაგრამ პოემის კომპოზიციურ წრესა და ამბის განვითარების მსვლელობაში კონცეპტუალური ადგილი უჭირავთ. მართალია, ისინი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდნენ პოემაში, მაგრამ მათი სახეები უაღრესად მნიშვნელოვანია. ფარსადანი ხვარაზმელი მეფის შვილს სასიძოდ წარუდგენს თათბირზე ინდოეთის დიდებულებსა და ამირბარს, შვილივით აღზრდილ ტარიელს. ფარსადანის წინადადებით, რომ თავისი ერთადერთი ასულის, ნესტან-დარეჯანის საქმროდ შვილი გამოუგზავნოს, ხვარაზმელმა მეფემ გაიხარა, რადგან იგი სწორედ ამას ნატრობდა. მაგრამ თუ რას უქადდა და უმზადებდა მომავალი, არ იცოდა, არ ეეჭვებოდა. რატომ დასთანხმდა ასე სწრაფად ხვარაზმის მეფე ფარსადანის წინადადებას? საამისოდ საჭიროა ხვარაზმის სამეფოს მდგომარეობის გათვალისწინება, თუმცა, მის შესახებ პოემაში ძალიან მწირი ინფორმაციაა და მხოლოდ ვარაუდების დონეზე შეიძლება მსჯელობა. უწინარეს ყოვლისა, განსახილველია ხვარაზმშას შვილის ტიტულატურა „ვეფხისტყაოსანში“. ყველა კონტექსტის მიხედვით, რომელშიც იგი გამოჩნდება, ხვარაზმელი მეფის შვილად მოიხსენიება და არა ძედ, როგორც ეს ტახტის მემკვიდრეს შეეფერება. ასე უწოდებენ მას ინდოეთის მეფე-დედოფალი, თვით ხვარაზმშა; ტარიელი და ნესტან-დარეჯანი მას ყმად, რაც მოყმის სინონიმია, ხან ხვარაზმშად იხსენიებენ. აქ მთავარი მაინც ფარსადანისა და დედოფლის პოზიციაა, აგრეთვე, თვით ხვარაზმელი მეფისა, რომლებიც სასიძოს ერთხელაც არ უწოდებენ ძეს. ხვარაზმელი უფლისწულის ინდოეთს მოსვლა და მიღებაც მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის მისი სტატუსის განსასაზღვრად, ვინაიდან მას არამცთუ ინდოეთის მეფე — ყოვლისმპყრობელი ხელმწიფე ფარსადანი, ინდოეთის ამირბარი და ამირსპასალარი ტარიელიც არ ეგებება, რაც იმას ადასტურებს, რომ ხვარაზმელი მეფე, შესაბამისად, მისი შვილიც, თავისი ხარისხოვნებით ინდოეთის მეფეს ვერ უტოლდება. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, შოთა რუსთველს „ხვარაზმშაჰი და მათი სპარსეთი მაინც, არაბეთისა და ინდოეთის მეფეთა და მათ საბრძანებლების მთლად თანასწორად არ ჰყავს წარმოდგენილი, არამედ ცოტა უფრო დაბალ ხარისხზე მდგომად მიაჩნია“ (ჯავახიშვილი, 1956: 34). ფარსადანი რომ სასიძოს არ ეგებება, ეს გასაგებია, ვინაიდან ხვარაზმშას შვილი მეფე არ არის და მეფისაგან მიგებება არც ეგების. მაგრამ საკითხავია, რატომ არ უშვებს ტარიელს მის მისაგებებლად,

ტარიელი ხომ არც მეფეა, არც მეფის ძე, იგი ამირბარი და ამირსპასალარია, თავისი სტატუსით მეფის ქვეშევრდომია. მართალია, იგი მეფის შვილობილია, მაგრამ მაინც ფარსადანის ქვეშევრდომია; შესაბამისად, ტარიელი ხვარაზმშას შვილის, როგორც ინდოეთის მომავალი მპყრობელის, ქვეშევრდომიც უნდა გახდეს. ამიტომ დაისმის კითხვა: რამ განაპირობა ხვარაზმელი უფლისწულისადმი ამგვარი დამოკიდებულება? შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სასიძოს, რომელსაც შოთა რუსთველმა საკუთარი სახელიც კი არ მისცა, ხვარაზმშას შვილად მოხსენიების საფუძველი გამხდარიყო ის, რომ თავის მამაპაპეულ სამეფოში იგი ტახტის მემკვიდრე არ არის, იქნებ, ხვარაზმელთა მეფეს სხვა შვილიც ჰყავს, ტახტის მემკვიდრე სხვა შვილია და ამიტომ სავსებით გასაგები უნდა იყოს ხვარაზმშას სიხარული, როდესაც მასთან ფარსადანის მოციქულები მიდიან.

„ვეფხისტყაოსანში“ სასიძოს ფუნქციის განსაზღვრისას მითოსური საწყისები, წინარექრისტიანული და ქრისტიანობამდელი ლიტერატურული ტრადიციები უნდა გავითვალისწინოთ. საუკეთესო ნიმუშად შეიძლება დასახელდეს „ოდისეა“, რომელშიც კუნძულ ითაკაზე ოდისევსის დაბრუნებამდე მის ცოლს, პენელოპეს მრავალი სასიძო გამოუჩნდა. ისინი შეეცადნენ პენელოპეს დაყოლიებას გათხოვებაზე, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ვერც ერთი სასიძო პენელოპესთან მისვლას ვერ გაბედავდა, ოდისევსი რომ დაღუპული არ ჰგონებოდათ, ე. ი. ისინი დროის შემყურენი იყვნენ. სასიძოები განასახიერებენ წარმავლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ოდისევსმა უნდა დაამარცხოს ისინი, დახოცოს სასიძოები, ე. ი. დაძლიოს წარმავლობა და ხელახლა მოიპოვოს პენელოპე. ჰომეროსის პოემის მხატვრული გააზრება გვაფიქრებინებს, რომ ნესტან-დარეჯანის საქმროდ ხვარაზმშას შვილის მოწვევა ჟამით, დროითაა განსაზღვრული, ხოლო ეს დრო, ჟამი მარადიულობას ვერ სწვდება, წუთისოფლისეულია, ძველი თაობის აზროვნების შედეგია, რაც უთუოდ უნდა შეიცვალოს, ვინაიდან ინდოეთის მეფის ასული ხვარაზმელი მეფის შვილის საცოლედ ღვთისაგან განგებული არ არის და მართლაც, იგი მისთვის მიუწვდომელიც დარჩება.

თვით ხვარაზმშას შვილის პოზიცია, როდესაც ინდოეთისაკენ მიეშურება მეფის ასულზე დასაქორწინებლად, რის შემდეგაც იგი ქვეყნის ფაქტობრივი მფლობელი და განმგებელი უნდა გახდეს, არანაირად გამოკვეთილი არაა. იგი მამის ნებას ასრულებს და თავისი

ინდივიდუალური დამოკიდებულება ქორწინებისადმი არ გამოუმჟღავნებია. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ იგი ასაკით მეტისმეტად ახალგაზრდაა; საკითხავია, კარავში მისი ძილი ქორწილის წინ მხოლოდ მისი საღი ცნობიერების მიძინებად უნდა აღვიქვათ თუ არა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ; შესაძლოა, მას, მამის ბრძანების მორჩილად აღმსრულებელს, ეს ქორწინება განსაკუთრებულ მოვლენად არ მიაჩნია. ხვარაზმელთა მიზანი ერთია: ისინი ინდოთ მეფის მაღალი ყურადღებით ღირსნი გახდნენ თავიანთ ქვეყანაზე პოლიტიკურ-საზოგადოებრივად და კულტურულად აღმატებულ ქვეყანასთან გათანაბრებისა, რასაც მიელტვოდნენ და რისკენაც მიისწრაფვოდნენ; ამას ხვარაზმის მეფის სიტყვები მოწმობს: „მოგვხვდა ღმრთისაგან, ჩვენ რომე ვინატრიდითა! თვით მაგისებრსა შვილსამცა ჩვენ ხელსა რასა ვჰხდიდითა“ (518/515, 3-4); მაგრამ, როგორც ითქვა, ნესტან-დარეჯანისა და ხვარაზმშას შვილის ქორწინება იმთავითვე განწირულია, იგი ღვთის განგებას არ შეესაბამება, მათი ქორწილი, შეუღლება ღვთისგან განგებული არ არის. ტარიელმა ავთანდილთან საუბრისას ხვარაზმშას შვილის შესახებ განაცხადა: „მაგრა თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ, არა“ (551/548, 2).

ყოველივე ამას ტარიელი გვიამბობს, ამიტომ ჩვენ ამ მოვლენებს ტარიელის პოზიციიდან ვაფასებთ. მას მიაჩნია, რომ ხვარაზმელი მეფის შვილის მომავალი ღვთის მიერაა განსჯილი და გადაწყვეტილი, იგი ღმერთმაც სასიკვდილოდ მიითვალა. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ტარიელის ნააზრევია!

რაც შეეხება ფარსადანის დამოკიდებულებას სასიძოსადმი, იგი მის მოკვლას ტრაგიკულად აღიქვამს, რადგან მხოლოდ სასიძო კი არ დაკარგა, არამედ მას აწუხებს, რომ მისი უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლის სანაცვლო მისმა ოჯახმა უნდა ზღოს: „ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე? თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?“ (565/562, 1-2).

ტარიელი და ხვარაზმშას შვილი ისე უპირისპირდებიან ერთმანეთს, რომ ხვარაზმშას შვილისთვის ცნობილი არაფერია, მხოლოდ ერთმა მხარემ იცის მათი მეტოქეობის ამბავი, მეორეს ამაზე არც უფიქრია, ტარიელის პოზიცია სამართლიანია, როდესაც ინდოეთის სუვერენიტეტის დაცვაზე საუბრობს: „ხვარაზმშა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია? სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!“ (568/565, 3-4). ნესტან-დარეჯანთან შეთანხმების

კვალობაზე, ტარიელი მხოლოდ ინდოეთს მოითხოვს ფარსადან მეფისაგან, ინდოეთის მეფის ასულის ხელს არ ითხოვს, პირიქით, უთვლის, შენი ქალი გაათხოვე, გამარიდეო, მაგრამ ფარსადანმა ყველაფერი ძალიან კარგად იცის და ტარიელს, მიუხედავად მისადმი სიყვარულისა, სამეფოდან გაძევება გადაუწყვიტა. უნდა ვაღიაროთ, რომ შუა საუკუნეების სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმები მოითხოვდა მეამბოხის დასჯას, აქედან გამომდინარე, ფარსადანს რომც არ ნდომოდა ტარიელის დასჯა, იგი იძულებული იქნებოდა ეს ნაბიჯი გადაედგა. ფარსადანს ხვარაზმის მეფის შვილის სისხლიც აწუხებს, რადგან მსხვერპლი სამეფო ოჯახის წევრია და მისი სისხლია დაღვრილი.

ფრიდონი. „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისში ნათქვამი – „**მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანეთის მონება**“ – ფრიდონსაც გულისხმობს. მისი სახე ტარიელისა და ავთანდილისას ვერ უტოლდება და მათ ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია. ქაჯეთის ციხის აღებისას მან დიდი როლი შეასრულა; შეიძლება ითქვას, რომ ქაჯეთთან ომმა მულღაზანზარის მეომრებზე გადაიარა. ზ. გამსახურდიამ ფრიდონი სახისმეტყველითად იმედის სიმბოლოდ გაიაზრა, რაც ნესტან-დარეჯანის მულღაზანზარში გამოჩენას უკავშირდება.

ფრიდონის ამბავს თვით ფრიდონის მონათხრობის მიხედვით ტარიელისაგან ვიგებთ. იგი მულღაზანზარის მეფეა, პაპამისმა მამამისსა და მის ბიძას გაუნაწილა მულღაზანზარის პატარა სამეფო; ძმების გარდაცვალების შემდეგ ბიძაშვილებს შორის შუღლი ჩამოვარდა მამულის გამო და ბრძოლაც გაიმართა. ეს ბრძოლა შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენაა, ამგვარი დაპირისპირებების საფუძველი ძირითადად მამულის გაყოფა და სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაა. ტარიელი ფრიდონს სწორედ ბიძაშვილებთან ომის გადატანისა და თავის სამეფოში ზღვის სანაპიროზე დაჭრილი გადააწყდა. უნდა აღინიშნოს, რომ შოთა რუსთველმა ამ შეხვედრისას ფრიდონის გამოჩენა მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოდ ასახა: „მოყმე ამაყად ყიოდა“ (596/593, 1), რომელშიც ალიტერაციით ბრძოლის ყიჟინისა და შეუპოვარი მებრძოლის ხილვის შთაბეჭდილება იქმნება. დაჭრილი მოყმის ტარიელისეული აღწერა და აღქმა მოწმობს, რომ თუ როგორი შეუპოვარი და ძლიერი ვაჟკაცია ფრიდონი.

შემოარბევდა ზღვის პირ-პირ, მას თურე წყლული სტკიოდა;

ხრმლისა ნატეხი დასვრილი აქვს, სისხლი ჩამოსდიოდა,
მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა (596/593, 2-4).
ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, აწ ესე მე მითქს რომელი,
მართ ვითა ქარი მოქროდა გაფიცხებული, მწყრომელი (597/594, 1-2).

ფრიდონთან გაგზავნილი მონის მეშვეობით ტარიელმა ვერაფერი შეიტყო, რადგან მონას ყურადღება არ მიაქცია. ამ ეპიზოდს ერთგვარი პარალელი ეძებნება ტარიელის არაბეთში გამოჩენით, როდესაც მას მონებმა ვერაფერი შეასმინეს. განსაკუთრებული ფსიქიკური მდგომარეობა გმირებს ერთმანეთთან სულიერად ანათესავებთ. თავად გასაჭირში მყოფი ტარიელი ფრიდონის ხილვამ გააკვირვა და მასთან შეხვედრა, მისი ამბის გაგება მოიწადინა: „მონა მივსწიე, მისისა შეყრისა ვიყავ მნდომელი; შევსთვალე: „დადეგ, მიჩვენე, ლომსა ვინ გაწყენს, რომელი?“ (597/594, 3-4).

დაჭრილ ფრიდონს ტარიელი მოეწონა და ცხენი შეაჩერა. ტარიელმა მას თავისი მკურნალი მონა მიუჩინა და ფრიდონი მალევე განიკურნა, რის შემდეგაც ტარიელმა დახმარება გაუწია და ბიძაშვილების მიერ დაპყრობილი მამული დააბრუნებინა. ტარიელმა ფრიდონისაგან გაიგო ნესტან-დარეჯანის ამბავი, რომ იგი ზანგ მონებს ისევ ზღვა-ზღვა დაჰყავდათ და ისევ ტყვედ იყო. ფრიდონმაც შეიტყო ტარიელის ამბავი, სცადა მისთვის დახმარების გაწევა და ხალხი დაგზავნა ნესტან-დარეჯანის საძებრად. მაგრამ ამაოდ. ვერსად მიაგნეს მზეთუნახავი ქალის კვალს, რის შემდეგაც ტარიელი ადამიანებს გაერიდა, ფრიდონს გამოემშვიდობა და გამოქვაბულში დაიდო ბინა.

წასვლის წინ ფრიდონმა ტარიელს თავისი შავი ცხენი უძღვნა, ის ცხენი, რომელზეც იყო ამხედრებული თვით ფრიდონი, როდესაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. ტარიელის შავი ცხენი ჯადოსნური ზღაპრის ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე რაშის ანარეკლია. ამას ფრიდონის სიტყვებიც მოწმობს, როდესაც ქაჯეთის ციხეზე საომრად მიმავალი ტარიელს ეტყვის: „მაგა ცხენსა ჩემეულსა წამოასწრებს კართა ვერა; ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა, თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა“ (1405/1406, 2-4).

ჯადოსნური ზღაპრის მიხედვით, ცხენი რიტუალური ცხოველია, იგი „გადამყვანად“ ითვლება და ზოგიერთ კონტექსტში სიკვდილის სემანტიკურ გაგებასაც შეიცავს. მაგრამ ცხენი „ვეფხისტყაოსანში“

ამგვარად არ გაიაზრება; ტარიელის ცხენის შავი ფერით მისი პატრონის ხვედრის სიმძიმე და ტრაგიკულობაა მინიშნებული, ხოლო ავთანდილის ცხენის თეთრი ფერით ავთანდილის ცხოვრების ნათელი გზაა მითითებული. ავთანდილი ტარიელის მეშვეობით გაეცნო ფრიდონს და მათ შორისაც ისეთივე თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა, როგორც ტარიელსა და ფრიდონს შორის. ავთანდილი ღირსეულად აფასებს მას, როგორც ლომგულ გმირსა და მტერთა დამმარცხებელს; ყურადღებას იქცევს ავთანდილის მიერ ფრიდონის მოხსენიება ვაჟკაცობის წარმომჩენი ეპითეტებითა და მეტაფორებით, როდესაც ნესტან-დარეჯანის გზა-კვალის მიგნების შემდეგ გამოქვაბულში დაბრუნებამდე წერილს სწერს ფრიდონს და სთხოვს, მოემზადოს ტარიელთან და ავთანდილთან შესახვედრად:

ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ-მოიეფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო! (1318).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრიდონს ავთანდილი, რომელიც ტარიელსა და ფრიდონზე უმცროსია, უწოდებს „სვე-სრულ მეფეთ-მეფეს“, ხოლო ფრიდონი ტარიელს მოიხსენიებს მეფედ და მეფეთ-მეფობით. საომრად ფრიდონის მზადყოფნა მისივე სიტყვებიდან მჟღავნდება, რომელსაც იგი სამთა თათბირზე წარმოთქვამს ქაჯეთის ციხის ასაღებად მზადებისას და ბჭობენ, რა გზით შეიძლება მცირერიცხოვანი, სამასკაციანი რაზმით ყოველმხრივ მიუვალი ციხის აღება. მისი გეგმის მიხედვით, საჭირო იყო იმგვარი მეთოდის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფდა აქამდე აუღებელი ციხის აღებას. ფრიდონს სურს, თავად იკისროს მთელი სიმძიმე და ციხის ქონგურზე მობმული საბელი შეუმჩნევლად გადაიაროს, რადგან მას ბავშვობიდანვე „გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან, მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნვებდიან, მწვრთნიდიან“ (1393/1394, 1-2); საბელზე აბჯრით გავლა „ასრე მიჩს, ვითა გარბენა ველისა“. შემდეგ კი ტარიელი და ავთანდილიც მიეშველებოდნენ. მართალია, ციხის აღების ეს გეგმა გაზიარებული არ იქნა, მაგრამ მასში ფრიდონის გმირობა და ძალგულოვნება ჩანს. ფრიდონის მიერ გამოჩენილი სიმამაცეც იყო ქაჯეთის ციხის აღების წინაპირობა.

ფრიდონის სახე სრულყოფილად ვერ წარმოგვიდგება, თუ არ გავითვალისწინეთ მისი გულისტკივილი მულღაზანზარელი მეომრების ომში დაღუპვის გამო, რაც ტარიელმა და ავთანდილმაც გაიზიარეს:

„ძმათა თქვენთა თავნი ჩვენთვის დაიხოცნეს, იგი შვება საუკუნო ცხადად პოვეს, არ იოცნეს, ერთსა მიხვდეს საზიაროდ, დიდებანი იასოცნეს“ (1454/1455, 2-4).

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი ტოლ-ფარდ პერსონაჟებად არ არიან მიჩნეულნი, რასაც საფუძვლად უნდა დადებოდა ის გარემოება, რომ ფრიდონი, ტარიელისა და ავთან-დილისაგან განსხვავებით, არაა მიჯნური. შოთა რუსთველის გმირი აუცილებლად უნდა იყოს მიჯნური და პოემის დასაწყისში მთელი სამიჯნურო კოდექსია ჩამოყალიბებული. მიჯნურს უნდა ახასიათებ-დეს თვისებათა ერთობლიობა, რომელთაგან თუნდაც ერთის გა-მოკლება უკვე რაინდად არ გვაგულისხმებინებს პერსონაჟს. თუმცა, ფრიდონის, როგორც რაინდის, სახე „ვეფხისტყაოსანში“ სრულიად ნათლად არის ჩამოყალიბებული.

მელიქ-სურხავი. „ვეფხისტყაოსანში“ სულ ორჯერ გამოჩნდა ზღვა-თა სამეფოს მეფე მელიქ-სურხავი, რომელიც საკმაოდ საინტერესო სახეა, რადგან იგი ნესტან-დარეჯანის ხატ-სახის სრულყოფილი წარ-მოსახვისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მან ვაჭართუხუცესისაგან – უსენისაგან შეიტყო მზეთუნახავი ქალის ამ-ბავი და სასახლეში მისი მიყვანა ბრძანა, რათა მეფის ძისთვის შეერთოთ ცოლად. მეფის ძე საომრად იყო წასული. სასახლეში წარდგენილმა ნესტან-დარეჯანმა მოხიბლა იქ მყოფნი, მაგრამ ქალს სიტყვა ვერ წარმოათქმევინეს და, რაც მთავარია, მისმა დუმილმა და ტირილმა მეფეს ნესტან-დარეჯანი ბრძენ ქალად წარმოადგენინა. მისი შეფასებით:

ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების,
მისგან კიდე არვისად სცალს, ვეღარცა ვის ეუბნების.
ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედას-ზედი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი (1183, 3-4; 1284).

მეტად ფასეულია მელიქ-სურხავისეული ეს შეფასება, რადგან მან სრულიად სწორად დაინახა ნესტან-დარეჯანის შინაგანი სამყარო, ბუნება, შენიშნა მისი სულიერებისაკენ მიდრეკილება და ორი სამყაროსადმი დამოკიდებებულება. გავიხსენოთ ნესტან-დარეჯანის საუბარი ფატმანთან, როდესაც მან საკუთარი თავგადასავალი თავადვე ზღაპრად მიიჩნია, მელიქ-სურხავმაც მისი შეხედულებები

ზღაპარს დაუკავშირა. სწორედ მან შეადარა ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანი მტრედს, სიმშვიდის, სიწმინდის სიმბოლოს, რითაც, ფაქტობრივად, პოემაში მისი გონებრივი სიმშვიდე, წყნარი ბუნება, უვნებელი ხასიათი წარმოაჩინა, რადგან მტრედი ერთადერთია ფრინველთა შორის, რომელიც ცხოველურ საკვებს არ იღებს, რასაც სიმბოლური დატვირთვა ნამდვილად შეიძლება მიენიჭოს.

მელიქ-სურხავის სახელი აღმოსავლური წარმომავლობისაა და იგი მმართველს, მფლობელს ნიშნავს, რომელიც წითელი ფერის სამოსელს ატარებს. ეს სახელი თავისი შინაარსით სიმბოლურად ბერძნულ პორფიროგენეტს უახლოვდება. მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი მემკვიდრისთვის სურს ნესტან-დარეჯანის შერთვა, რითაც ტარიელის მოწინააღმდეგე გამოდის, იგი მაინც კეთილშობილი მეფე ჩანს; მან არ იცის მზეთუნახავი ქალის ვინაობა, არ იცის ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიყვარულის ისტორია; მაგრამ მან, როგორც ზემოთ აღინიშნა, იშვიათად დადებითი შეფასება მისცა ნესტან-დარეჯანს და მასში დიდი სიბრძნე დაინახა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ ქალი ცალკე დარბაზში მოეთავსებინათ, მცველები დაეყენებინათ და როდესაც ღვთის ნებით ძე მისი ომიდან გამარჯვებული მობრუნდებოდა, იგი ათქმევინებდა ყველაფერს ულამაზეს ქალს, „მნათობთა დასაგვანსა“ და ქორწილიც გაიმართებოდა. ფატმანის სიტყვით, მეფის ძე სახელოვანი და მშვენიერი იყო: „ხელმწიფისა შვილსა გითხრობ კარგსა ყმასა, გულოვანსა; უებროსა ზნედ და თვალად, შვენიერსა პირსა, ტანსა“ (1186, 1-2). მეფის ძის მოსვლამდე კი გადაწყვიტა, „მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზისა მოშორვებული“ (1185, 4). მაგრამ ქალმა გაპარვა მოახერხა, რამაც მელიქ-სურხავი დააღონა, „მას აქათ იგლოვს ხელმწიფე და ყოვლნი მათნი ხლებულნი“ (1203, 2) და ზღვათა სამეფო იისფრად შეიღება: „მზე მოგვეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლე-კლებულნი“ (1203, 4). მელიქ-სურხავის სამეფო ნესტან-დარეჯანის ღირსი არაა, იგი ამ მზის მსგავს ქალს არ იმსახურებს, რადგან აქ ყველაფერი რიგზე არ არის, ბოროტი ადამიანები ცხოვრობენ და ბოროტების ჩადენა თავისუფლად შეუძლიათ, რასაც ჭაშნაგირის მაგალითი მოწმობს. მიუხედავად ამისა, ზღვათა სამეფო პოემის დასასრულს, ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოხსნის შემდეგ სიკეთით აღივსო.

პოემაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა მელიქ-სურხავი, მას ტარიელმა შეხვედრა სთხოვა და, როგორც ფატმანის მეფესა და პატრონს, როგორც ნესტან-დარეჯანის სიკეთის მოსურნეს, ქაჯეთის სამეფო

საჩუქრად უბოძა. ზღვათა სამეფოს მეფემ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს ქორწილი გადაუხადა როგორც ძესა და ასულს, რითაც იგი დადებითი კონოტაციებით წარმოჩნდა „ვეფხისტყაოსანში“.

ხატაეთის მეფე რამაზი, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, შუა საუკუნეების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და წესების კვალობაზე, ნიმუშია მოღალატე, ფლიდი და ცრუ ადამიანისა, რადგან იგი ტარიელთან შეხვედრას ღალატით გეგმავს. თავხედური და ამპარტავნებით აღსავსე წერილი მისწერა ტარიელს, არ დაემორჩილა მას, რის შემდეგაც ტარიელი დიდი ლაშქრით ხატაეთისაკენ დაიძრა. აქ გამოამჟღავნა სივერაგე რამაზ მეფემ და ტარიელის მიტყუება გადაწყვიტა. მაგრამ ცრუ და მოღალატე ადამიანს არასოდეს შერჩენია ავკაცობა, არც რამაზს შერჩა, ტარიელთან ბრძოლისას დამარცხდა. ფარსადანის წინაშე ტარიელმა იგი შეპყრობილი და დამორჩილებული მიიყვანა: „ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე, ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!“ (471/468, 3-4). მეფემ იშვიათი დიდსულოვნება გამოიჩინა და მიიღო „ვითა შვილი სააკვანე“, მიუტევა და შეიწყალა, ტარიელსაც უბრძანა ხატაელი მეფის შენდობა და მასთან შერიგება. სწორედ აქ წარმოჩნდა ტარიელის მეფური გულმოწყალება: „ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა“ (473/470, 1-2). მტრის დამორჩილების, მისთვის შენდობისა და შეწყალების ამგვარი წესი შუა საუკუნეების სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

დასკვნისათვის. „ვეფხისტყაოსანში“ ძირითადად ორი სახელმწიფოს ამბავია მოთხრობილი: არაბეთისა და ინდოეთისა, ჩანს ძველი თაობის სამი მეფე: როსტევანი, ფარსადანი და სარიდანი. მეფის იდეალური სახე პერსპექტიულად როსტევანის დახასიათებაშია გაცხადებული. არაბეთში ყველაფერი წესისამებრ, ღვათაებრივი სიბრძნის კვალობაზე მიემართება. ეს სიბრძნე ინდოეთში არ მოქმედებს, იგი მოსაპოვებელია. არაბეთისაგან განსხვავებით, აქ ბევრი რამ მოსაწესრიგებელია, შესაცვლელია, გასაახლებელია, საღვთო სიბრძნის კვალობაზეა მოსაწყობი. ინდოეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემაში საქართველოს ისტორიული სინამდვილე ირეკლება, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარების რუსთველისეული აღქმა წარმოჩნდება, კერძოდ, თამარის გამეფებასთან, სამეფოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული სირთულეები, პოლიტიკური

კონფლიქტები იკითხება. რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს ისტორიის ზუსტი ანალოგი არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან იგი მხატვრული ნაწარმოებია, ხოლო მწერალი თავის ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ერთი კი ნათელია, საქართველოში არსებულმა კონფლიქტურმა სიტუაციამ თავისებური ასახვა პოვა შოთა რუსთველის პოემაში. ამავე დროს, რუსთველის პოემამ დასახა სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ტახტის მემკვიდრის დაქორწინების პრობლემის მოგვარების ახალი გზა, რომელმაც გავლენა მოახდინა საქართველოს შემდგომ ცხოვრებაზე პოლიტიკური თუ კულტურულ-სოციალური თვალსაზრისით. პოემაში იკითხება საქართველოს რეალური ისტორიული ვითარების, კერძოდ, გიორგი მესამის პოლიტიკისა და თამარის პირადი ცხოვრების ანარეკლი; პოეტი მხატვრულ აზროვნებაში გარდატეხილი სახეებითა და გამომსახველობითი საშუალებებით წარმოაჩენს თავის დამოკიდებულებას თავისი თანამედროვე საქართველოს სინამდვილეში მიმდინარე მოვლენებისადმი და მეტაფორულად, ენიგმურად ავლენს იმ უარყოფით ტრადიციებს, რომელთა შეცვლა აუცილებელია.

დამოწმებული ლიტერატურა:

ავერინცევი, 1973: С. Аверинцев, Золото в системе символов ранневизантийской культуры, в сб. Византия. Южные Славяне и Древняя Русь. Западная Европа. М., 1973. ახალი აღთქმა, 1995: ახალი აღთქუმაჲ, საქართველოს საპატრიარქოს გამოც., თბ., 1995.

ბეინენი, 2006: ბ. ბეინენი, სამეფო მემკვიდრეობა და ალტრუიზმი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, მოხსენება V საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006.

გამსახურდია, 1991: ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ., 1991.

ერისთავი, 1995: თ. ერისთავი, „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება, თბ., 1995.

ინგოროყვა, 1968: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო პავლე ინგოროყვამ, თბილისი, 1968.

კეკელიძე, 1956: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერ-ატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.

ლოსკი, 1991: В. Лосский, Очерк мистического богословия Восточной церкви, в кн. Мистическое богословие. Киев. 1991.

მატიე, 1956: Матье М. Э., Древнеегипетские мифы, М.- Л., 1956.

მინინი, 1991: П. Минин, Главние направления древне-церковной мистики. в кн.: Мистическое богословие. Киев. 1991.

შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, I, ტექსტი ძირითადი ვარიან-ტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1966.სულხან-საბა ორბელიანი, 1959: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, თბ., 1959.

სულავა, 2006: ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ – ლიტერატურული და საღვთისმეტყველო პარადიგმები. კრებ.: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლიტ. ინსტიტუტის გამოც. 2006.

ცანავა, 2005: რ. ცანავა, მითორიტუალური მოდელები, სიმბო-ლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნო-ლოგიური პარალელები, თბ., 2005.

ჯავახიშვილი, 1956: ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერ-ლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956.

სარჩევი

პოეზია
ვაჟა ოთარაშვილი 3

პოეზია
გიგა ვეფხვაძე 8

პროზა
გიორგი სოსიაშვილი 15
სალამანდერ...
გადაქართულება

პროზა
ზვიად ბერიძე 24
გველი

ემიგრანტული პოეზია
ნანა მეფარიშვილი, აშშ 32

ქართველები უცხოეთში
მაია ქუქჩიშვილი 41
სომხეთის ქართული სათვისტომო „ივერია“

ემიგრანტული პოეზია
ნინო სპანდერაშვილი, სომხეთი 46

ემიგრანტული პოეზია
ლიანა სამადალაშვილი, სომხეთი 52

ნარკვევი
ბუმბულის სამყაროში 55

ინტერვიუ
ბესო ადეიშვილი 59
„ცხოვრებაში ერთხელ მაინც სამშობლოს
საზღვრებს უნდა გასცდე“

პროზა
ზელიმხან მაღრაძე 65
მწყდართა გორა და მჭევარის მთა

ლეგენდა
ამალია კუპრავიშვილი 88
უკვდავების წყარო

ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ
მარკუს ფაბიუს კვინტილიანე *92*
მჭევრმეტყველეგის სწავლეგა

ᲔᲡᲔ
ლალი ბერიძე *101*
ლიტერატურის უდიდესი პესიმისტი

ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ
ილზე აიხინგერი *105*
ფანჯრის თეატრი

ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ
შერვუდ ანდერსონი *108*
ძმეგი

რევაზ ჭილაძე *117*
შემთხვევეგი გზეგზე ...

ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲐᲜᲐ
ნესტან სულავა *120*
მეფის სახისმეტყველეგისათვის „ვეფხისტყაოსანში“

გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com